# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა-ორშაბათი, 6-7 დეკემბერი, 1998 წელი.

№317-318 (3018)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 50 თეთრი. თბილისს გარეთ – 55 თეთრი.


პრეზიდენტი

# საბაზრო ეკონომიკა თავის კანონზომიერებას გვიკარნახებს

## მხარდაჭერას გვიდასტურებენ

„დედამიწაზე არ არსებობს სხვა ქვეყანა, რომელთანაც გერმანიას უფრო ინტენსიური და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდეს, ვიდრე საქართველოსთან“, განაცხადა საქართველოში გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვოლფდიტრიხ ფოგელმა 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე.

ამ დღეს ახლადდანიშნულმა ელჩმა რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს. „შეგვიძლიათ იამაყოთ: თქვენი ქვეყანა წამყვან როლს ასრულებს რეგიონში არა მარტო კულტურის სფეროში,

იხ. მე-2 გვ.

## საქართველოს მთავრობის რიგგარეშე სხდომა

საქართველოში ბოლო დროს გამწვავებულ საბიუჯეტო კრიზისთან და მის თანამდევ ეროვნული ვალუტის დევალვაციასთან დაკავშირებული პრობლემები განიხილეს 4 დეკემბერს მთავრობის რიგგარეშე სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით. სხდომაზე მოწვეული იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, მისი მოადგილეები, საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელები, რომლებიც განაგებენ ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებს.

სხდომის გახსნისას ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ფინანსური სტაბილიზაციის საგანგებო სამთავრობო კომისიის წინა დღეს გამართულ სხდომაზე თითქმის ყველა დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ არა აქვს აზრი თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკის ინტერვენციის გაგრძელებას. სავალუტო რეზერვები შეზღუდულია, მოთხოვნილება კი იზრდება, და შეიძლება ისე მოხდეს, რომ ეროვნული ბანკი ანუ სახელმწიფო ურეზერვებოდ დარჩეს. მაშინ კი, გაცილებით უარეს შედეგებს მივიღებთ. ამავე დროს გასათვალისწინებელია

იხ. მე-2 გვ.

> „ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც აღმოუჩენს მხარდაჭერას საქართველოს როგორც ორმხრივი დახმარების სახით, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფარგლებში“

თანადგომა

## „საქართველოში ვითარება გაართულა მსოფლიო საფინანსო კრიზისმა“

### აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური განცხადება

4 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ **„ეროვნული ვალუტის კურსის გათავისუფლებისა და მისი საბაზრო მექანიზმებით განსაზღვრის თაობაზე“** მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება, სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, **„საქართველოს მიერ გადადგმული კიდევ ერთი მძლავრი ნაბიჯია ჯანსაღი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების გზაზე“.**

„საქართველომ არსებით წარმატებას მიაღწია დემოკრატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თვალსაზრისით. მაგრამ, მსგავსად სხვა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა, ვითარება გაართულა მიმდინარე მსოფლიო საფინანსო კრიზისმა. ეროვნული ბანკის დღევანდელი ნაბიჯი ნაწილია იმ ფართო პროგრამისა, რომელსაც საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კოორდინაციით ახორციელებს შექმნილი კრიზისის დაძლევის, ბიუჯეტის ფისკალური ბალანსის აღდგენისა და ინვესტორთა ნდობის განმტკიცების მიზნით.

ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ გადამწყვეტ ღონისძიებებს, რათა დაიძლიოს აღნიშნული ეკონომიკური სირთულეები და უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს მოსახლეობის სამომავლო კეთილდღეობა. თავის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც მხარს დაუჭერს ამგვარ ქმედებებს, როგორც ორმხრივი თანამშრომლობის, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფარგლებში“, ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.



დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 3 დეკემბერი ქ. თბილისი

### ო. ვირუბოვის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სპორტის მედიცინის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ოთარ ვირუბოვი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

ვიზიტის წინ

## უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვალერი პავლეს ძე პუსტოვოიტენკო

დაიბადა 1947 წლის 23 თებერვალს. უკრაინელია. დაამთავრა დნეპროპეტროვსკის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. 1961 წლიდან იყო მუშა, ინჟინერი. ხელმძღვანელობდა „დნეპროვაქმშენის“ ტრესტს. 1986 წლიდან ქალაქ დნეპროპეტროვსკის სახალხო დეპუტატთა ბაბუშკინოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. 1987 წლიდან – დნეპროპეტროვსკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ კი თავმჯდომარე. 1991-1993 წლებში დნეპროპეტროვსკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეა. 1993 წლიდან – მინისტრი, საკრედიტო-საფინანსო კავშირის „ექსპობანკის“ თავმჯდომარის მოადგილე. 1994 წლის ივლისში კვლავ დაინიშნა უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მინისტრად.

1996-2000 წლებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის წევრი. უკრაინის პრეზიდენტთან არსებული კადრებთან მუშაობის საბჭოს თანათავმჯდომარე.

უკრაინის 22-ე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატი. უკრაინის სახალხო-დემოკრატიული პარტიის პოლიტაღმასკომისა და პოლიტსაბჭოს წევრი 1996 წლიდან.



1997 წლის 16 ივლისიდან – უკრაინის პრემიერ-მინისტრი.

ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

ცნობიერება

## ზღვარი ცდომილებისა

ნებისმიერი საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერება მთლიანობაში ეპოქის ზუსტი ასახვაა. ეს მით უფრო ითქმის დემოკრატიული, ღია საზოგადოებების მიმართ. ამავე დროს, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, როგორც წესი, მყარი ცნობიერების საფუძველია და ერთდროულად ამგვარივე (სტაბილური) ცნობიერების შედეგიცაა.

იხ. მე-4 გვ.

საკრებულო

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ქალაქ თბილისის საკრებულოს პირველი სხდომა დანიშნულია 1998 წლის 9 დეკემბერს, 12 საათზე მერიის სხდომათა დარბაზში.

გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

პრეზიდენტი

# საბაზრო ეკონომიკა თავის კანონზომიერებას გვიკარნახებს

## საქართველოს მთავრობის რიგგარეშე სხდომა

(პირველი გვერდიდან)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია. თუ საქართველო დააკმაყოფილებს მას, და ამავე დროს რადიკალურად გაუმჯობესდება გადასახადების ამოღება და ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში სერიოზული ცვლილებები მოხდება, მაშინ გაგრძელდება ეკონომიკური რეფორმების წინსვლის მიზნით ქვეყნისათვის ფინანსური დახმარების გაწევის კურსი. საამისო წყაროები კი არის და საკმაოდ სოლიდურიც. კერძოდ, მსოფლიო ბანკი მზად არის გამოყოს 20 მილიონი დოლარი, დაახლოებით 25 მილიონს გვპირდება ევროკავშირი, 40–50 მილიონის გამოყოფას – დონორი ქვეყნები, რომელთა წარმომადგენლები 11 დეკემბერს იკრიბებიან თავიანთ შეხვედრაზე ვაშინგტონში, 8 მილიონი დოლარის ოდენობით ცალკე გრანტის მიღებაა მოსალოდნელი ჰოლანდიის მთავრობისაგან, რომელიც თითქმის ყოველ წელს უწევს საქართველოს ფინანსურ დახმარებას.

სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი მანაგაძეს პირველს მიეცა სიტყვა. მან აღნიშნა, რომ რუსეთის ფინანსური კრიზისით გამოწვეულმა „შოკმა“ განაპირობა უცხოურ ვალუტაზე მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და ლარის სტაბილური კურსის შენარჩუნების მიზნით ეროვნული ბანკი იძულებული იყო დიდი მოცულობებით განეხორციელებინა ინტერვენციები სავალუტო ბირჟაზე. მარტო ბოლო სამი თვის განმაელობაში მათ შეადგინეს 54 მილიონი დოლარი. ამასთანავე, საგარეო-ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების გამო, პროცენტის განაკვეთები ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე გაიზარდა და დაფიქსირდა 80 პროცენტის ოდენობითაც კი. გასაგებია, აღიარა ირაკლი მანაგაძემ, რომ ასეთი ფისკალური კრიზისის პირობებში ინტერვენციამ, როგორც სავალუტო ბაზრის რეგულირებისა და მართვის ინსტრუმენტმა, პრაქტიკულად ამოწურა თავისი შესაძლებლობები და უკვე ველარ შეძლებს ეკონომიკის გაჯანსაღების უზრუნველყოფას. ამიტომაც, თქვა მან, არ არის გამორიცხული, რომ ეროვნული ბანკის საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნიოს ორშაბათიდან, 7 დეკემბრიდან შეწყვიტოს ინტერვენციები თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე, რათა ლარის კურსის ფორმირების ფუნქცია მთლიანად იკისროს ბაზარმა.

ამასთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა სხდომის მონაწილეებს გააცნო ის კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც არის გათვალისწინებული ლარის შესაძლო დევალვაციისაგან საბანკო სისტემის დაცვის მიზნით. ფინანსთა მინისტრმა დავით ონოფრიშვილმა, ეკონომიკის მინისტრმა ლადო პაპავამ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ, სხვა გამომსვლელებმაც წამოაყენეს კონსტრუქციული წინადადებანი იმ ზარალის მინიმალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც ეროვნული ვალუტის კურსის „გათავისუფლებამ“ შეიძლება მიაყენოს როგორც ქვეყნის საბანკო სისტემას, ისე მთლიანად ეკონომიკას. თითქმის ყველამ აღნიშნა, რომ შექმნილ პირობებში ეროვნული ბანკის მოქმედება ის ერთადერთი სწორი გზაა, რომელმაც შეიძლება მომავალში უზრუნველყოს ფინანსური ბაზრის სტაბილურობა, მაგრამ იმ პირობით, რომ ხელისუფლების ყველა რგოლი, ყველა სამსახური და სტრუქტურა, ქვეყნის ყველა მოქალაქე განიმსჭვალება უდიდესი პასუხისმგებლობით საქართველოს მომავლისათვის, მისი ხვალინდელი დღისათვის.

ეს ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთ გამოსვლებში საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა მიხეილ ჩიქვილაძემ და თამაზ მაღლაკელიძემ, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრებმა კახა თარგამაძემ და ვახტანგ ქუთათელაძემ, ქვეყნის პრეზიდენტის რწმუნებულებმა ქვემო ქართლსა და კახეთში ლევან მამალაძემ და გიორგი არსენიშვილმა, სხდომის სხვა მონაწილეებმა. კერძოდ, წამოაყენეს წინადადება, რომ დეკემბერში საგანგებო ეკონომიკური მდგომარეობა გამოცხადდეს ქვეყანაში, მაქსიმალურად ამოქმედდეს ყველა არსებული რეზერვი და საშუალება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ზარალი, რომელიც შეიძლება განიცადოს ამ ზამთარს მოსახლეობამ, განსაკუთრებით მისმა ნაკლებად დაცულმა ფენებმა. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ ჯიბუტმა, რომელმაც ასევე მხარი დაუჭირა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოზიციას, აღნიშნა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ თავიდან ავიცილოთ, არ დავუშვათ საქონლის დეფიციტის პრობლემის გამწვავება. წამალი მწარე უნდა იყოს, რომ სწრაფად იმოქმედოს, თქვა მან. ამასთან, მიხეილ ჯიბუტს მიაჩნია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ, უწინარეს ყოვლისა, იმ სუბიექტური ფაქტორების აღმოფხვრაზე, რომლებმაც ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანეს.

სხდომაზე კანონის უზენაესობის აუცილებლობაზე ილაპარაკეს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებმა ელდარ შენგელაიამ და ედუარდ სურმანიძემ, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს სახალხო დამცველმა დავით სალარიძემ.

საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის, ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის, ქვეყნის წინაშე მდგომი სხვა მწვავე პრობლემების გადაჭრისათვის გამიზნული ბევრი კონკრეტული წინადადება წამოაყენეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ, კავშირგაბმულობის მინისტრმა სერგო ესაკიამ, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა თეიმურაზ გიორგაძემ, კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა, ქალაქ თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ. თითოეულმა ორატორმა ამ პრობლემების მთელი სირთულის შეგნებით განაცხადა, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფი დარგები და სფეროები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ქვეყნის საბიუჯეტო კრიზისიდან გამოყვანას, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დაიცვან საქართველოს იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე.

იმაზე, თუ მუშაობის რა კონკრეტულ მიმართულებებზე უნდა იყოს კონცენტრირებული ქვეყნის როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება ამ ეტაპზე, ილაპარაკეს სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ და პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ პანიკის, არაჯანსაღი აჟიოტაჟის ელემენტები. ახლა მთავარია, თანამიმდევრულად განვახორციელოთ ის დასახული ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებს შესაძლო არასასურველ შედეგებს. კერძოდ, სახელმწიფო მინისტრმაც და პარლამენტის თავმჯდომარემაც თქვეს, რომ ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ მოიმატოს პურის ფასმა, არ გაიზარდოს ნავთობპროდუქტების, პირველი საჭიროების სხვა საქონლის ფასები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მოსახლეობა სწორად იყოს ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რადგან მხოლოდ ყველას და თითოეულის საერთო ძალისხმევით შეძლებს საქართველო ამ რთული გამოცდის ჩაბარებას საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრების გზაზე.

ეს აზრი მთლიანად გაიზიარა ქვეყნის პრეზიდენტმაც. სხდომის შედეგების შეჯამებისას ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ დღეს, ალბათ, არ არის ურთიერთბრალდებების და ანგარიშსწორების დრო. როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციის მთელი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქებას. როგორც მან აღნიშნა, რაოდენ მწარეც უნდა იყოს სიმართლე, იგი უნდა ითქვას. უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ლარის კურსი ამიერიდან დამოკიდებული იქნება ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებაზე, იმაზე, თუ რა მდგომარეობა იქნება ქვეყანაში, როგორი იქნება მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, საწყის ეტაპზე ეს ძნელად, მტკივნეულად აღიქმება, მაგრამ შემდგომში, ბაზრის კანონზომიერებათა შესაბამისად, ეს რთული პროცესი დარეგულირდება. ედუარდ შევარდნაძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სახელმწიფო კანცელარიის სოციოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელთა თანახმად მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მოითხოვს პრეზიდენტისაგან, რომ არ დაუშვას ემისია ქვეყანაში, რადგან ახსოვს მისი მწარე გაკვეთილები კუპონის მიმოქცევის დროს. ამიტომ, თქვა მან, ხალხი მხარს უჭერს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების კურსს.

პრეზიდენტი მიესალმება პრობლემის განხილვაში პარლამენტის ხელმძღვანელობის აქტიურ მონაწილეობას, რაც, როგორც მან თქვა, ცხადყოფს მთავრობისა და პარლამენტის ერთსულოვნებას იმ საკითხში, რომ უნდა გამოინახოს ოპტიმალური გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. ეს კი იმის გარანტიაა, რომ სახელმწიფო შეძლებს წარმოქმნილი სირთულეებისა და სიძნელეების დაძლევას და ნორმალური ცხოვრების ფაზაში შესვლას. ედუარდ შევარდნაძემ ამასთან ხაზი გაუსვა, რომ საქართველო მარტო არ არის. როგორც მან თქვა, ეჭვს არ იწვევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კეთილი განწყობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ქვეყანამ მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, დონორი ქვეყნების ანალოგიური სერიოზული დახმარება და მხარდაჭერა მიიღოს. ამას დაემატება საკმაო თანხებიც, რომელიც სახელმწიფომ უნდა მიიღოს სახელმწიფო ქონების, კერძოდ, თელასისა და სხვა დიდი ობიექტების პრივატიზაციის გზით. თუ ყველაფერ ამას შევაჯამებთ, მდგომარეობა არც ისე უიმედოა, თქვა პრეზიდენტმა. რესურსები გაჩნდება, მაგრამ ამისათვის გარკვეული მსხვერპლი უნდა გავიღოთ. მსხვერპლი უნდა გაიღოს პრეზიდენტმაც, მთავრობამაც, პარლამენტმაც, მთელმა ქვეყანამ. რა თქმა უნდა, ძნელია ეს მოსთხოვო ადამიანებს, რომლებსაც ისედაც მიზერული შემოსავალი აქვთ, მაგრამ საქართველო, რომელმაც უმძიმესი განსაცდელი გადაიტანა ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე, დარწმუნებული ვარ, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, ამ სერიოზულ გამოცდასაც გაუძლებს.

სახელმწიფოს მეთაური დაწვრილებით შეჩერდა იმ რეზერვებსა და შესაძლებლობებზე, რომლებიც უნდა ამოქმედდეს ყველაზე შემჭიდროებულ ვადებში. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტში გადასახადების გეგმაზომიერი ჩარიცხვის უზრუნველყოფას, უნდა გამოცხადდეს უკომპრომისო ბრძოლა კონტრაბანდის, აგრეთვე კორუფციის წინააღმდეგ. მან თქვა, რომ უახლოეს დღეებში აპირებს პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ საშინელი ბოროტების აღმოსაფხვრელად საიმედო სამართლებრივი საფუძვლისა და გარანტიის შექმნას. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომ დეკემბრის ხელფასი და პენსიები ყველამ მიიღოს. ამასთანავე, უნდა მიევაღწიოთ, რომ მომავალი წლის უკვე პირველ ორ-სამ თვეში დაიფაროს ხელფასებისა და პენსიების ყველა დავალიანება. რაც შეეხება ზარალს, რომელიც შეიძლება განიცადოს მოსახლეობამ იმის შედეგად, რომ ლარის კურსი რეალური ხდება, პირველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით განიხილება ხელფასების, პენსიების და დახმარებების 15-20 პროცენტით მომატების შესაძლებლობა. მწამს, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, რომ ქვეყანა დაძლევს კრიზისს, და თავს დააღწევს ამ მძიმე მდგომარეობას.

საქინფორმი.

(პირველი გვერდიდან)

არამედ დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და რეგიონული თანამშრომლობის განვითარების სფეროებშიც“, მიაჩნია გერმანელ დიპლომატს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობს საქართველოში დღეს შექმნილ მძიმე ეკონომიკურ-ფინანსურ სიტუაციას. ვოლფდიტრიხ ფოგელმა გაიხსენა პოლონეთში თავისი თორმეტწლიანი მოღვაწეობა, რომელიც ამ ქვეყნის უმძიმესი ფინანსური კრიზისის პერიოდს დაემთხვა, და პარალელი გაავლო საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასთან: „მაშინ ბალცეროვიჩის მიერ შოკური თერაპიის განხორციელება დიდ რისკთან და სიმამაცესთან იყო დაკავშირებული. სამაგიეროდ, დღეს პოლონეთში სტაბილური ვითარებაა“.

„ჩემი ქვეყნის სახელით მინდა დაგარწმუნოთ, რომ მხარში ამოგიდგებით ამ მძიმე პრობლემის დაძლევაში“, განაცხადა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა. როგორც მან ხაზგასმით აღნიშნა, დასავლეთის ქვეყნების კმაყოფილება იმის გამო, რომ, სიძნელეების მიუხედავად, საქართველომ არ გადაუხვია დემოკრატიული განვითარების გზას, – მნიშვნელოვანი საფუძველია იმისათვის, რომ ფინანსური კრიზისიდან გამოყვანის მიზნით საქართველოს კიდევ უფრო აქტიურად დაეხმარებიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები.

* * *

5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კენეტ იალოვიტცი, რომელმაც ქვეყნის მეთაურს გადასცა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება.

კენეტ იალოვიტცმა საქართველოს პრეზიდენტს აცნობა, აგრეთვე, რომ ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის გათვალისწინებით, ამერიკის მთავრობამ გადაწყვიტა 35 ათასი ტონა ხორბალი გამოუყოს საქართველოს. გარდა ამისა, ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს გამოყოს 5 მილიონი დოლარი საქართველოში ენერგოშემცველებზე ტარიფების შესაძლო გაზრდის გამო სოციალურად დაუცველი ფენების პრობლემათა შესამსუბუქებლად.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლიერება გამოთქვა ამ ოპერატიული და ძალზე მნიშვნელოვანი დახმარების გამო და ამერიკის ელჩს გადასცა თხოვნა მისი ქვეყნის მთავრობისადმი, მხარი დაუჭიროს საქართველოს დონორი ქვეყნების ვაშინგტონის შეხვედრაზე.

* * *

11 დეკემბერს ვაშინგტონში დაგეგმილ დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეხვედრაზე საქართველოსათვის მხარდაჭერის თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მირეი მუსოს. შეხვედრაზე, რომელიც 5 დეკემბერს გაიმართა, ისაუბრეს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისის დაძლევის მიზნით.

საქართველოს პრეზიდენტი და ფრანგი დიპლომატი შეეხნენ, აგრეთვე, აფხაზეთში კონფლიქტის პრობლემას. გამოითქვა ორმხრივი სურვილი, რომ მოლაპარაკებები კონსტრუქციულად გაგრძელდეს და გაფორმდეს დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საქართველოსა და მსოფლიო თანამეგობრობის აზრი და მოთხოვნები.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

## თანადგომა

# მსოფლიო ბანკი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ საქართველომ დაძლიოს ამჟამინდელი პრობლემები

როგორც მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუდი ო'კონორმა განაცხადა, წლის ბოლოსათვის შესაძლებელია საქართველომ მიიღოს მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტის დარჩენილი ტრანში – 20 მილიონი დოლარი. ეს თანხა ქვეყნის ბიუჯეტში ჩაირიცხება ნიდერლანდის სამეფოს მიერ გამოყოფილ 16 მილიონ გულდენთან (8 მილიონი დოლარი) ერთად და ძირითადად სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე იქნება ორიენტირებული.

რაც შეეხება სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტის მეორე ტრანშს, მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მიღების აუცილებელი პირობა, ლტოლვილებისთვის განკუთვნილი ხარჯების დაფინანსებასთან ერთად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების დაჩქარებაა. ეს ის უმთავრესი ღონისძიებებია, რომლებიც უახლოეს ხანში უნდა განახორციელოს ფინანსთა სამინისტრომ. ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ელექტროენერგიის საფასურის ამოღებისა და გადასახადების აკრეფის გაუმჯობესებას. დღეისთვის მთლიანი თანხა, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში მიმდინარე პროექტებისთვისაა გამოყოფილი, 373,9 მილიონ დოლარს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოში შექმნილ სიტუაციას, ჯუდი ო'კონორის შეფასებით, იგი კრიზისულად არ შეიძლება მივიჩნიოთ: „მსოფლიო ბანკი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველო გამოვიდეს ამ სიტუაციიდან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება 11 დეკემბერს ვაშინგტონში დაგეგმილ შეხვედრას". მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის შეფასებით, საქართველოს, ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა ქვეყნებს, შეეხო საგარეო შოკი, და ეროვნული ბანკი მის დასაძლევად თავის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს იყენებს. მსოფლიო ბანკი, თავის მხრივ, ეძიებს გზებს ამ თვალსაზრისით საქართველოსთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად. ჯუდი ო'კონორი დარწმუნებულია, რომ საქართველო, რომელმაც მოკლე პერიოდში ბევრი ობიექტური პრობლემის დაძლევა და სერიოზული პროგრესის მიღწევა შეძლო, ამ კრიზისსაც დააღწევს თავს.

# სავალუტო ფონდის მორიგი ტრანშის მიღების მთავარი პირობა სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაა

„საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხარს უჭერს საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას ლარის კურსის გათავისუფლების თაობაზე და მიაჩნია, რომ ეს არის უაღრესად დროული ნაბიჯი", განაცხადა ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში პანტერ მონრომ. საქართველოსადმი სავალუტო ფონდის მხარდაჭერის გამოსახატავად ამ დღეებში თბილისში ჩამოვა ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიაჩნია, რომ საქართველომ მომავალშიც უნდა გადადგას დამატებითი ნაბიჯები და სერიოზულად იმუშაოს საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდაზე, რადგან სწორედ ეს არის გარანტი იმისა, რომ უზრუნველყოფილი იქნება ხელფასებისა და პენსიების დაფინანსება და ლარის კურსის სტაბილურობა. ახალი რეალობა მოითხოვს საქართველოში აქციზური მარკების რაც შეიძლება სწრაფად შემოღებას. ეს ყველაფერი შემადგენელი ნაწილია საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლობის პროგრამისა, რომლის წარმატებით შესრულების შემთხვევაში, როგორც პანტერ მონრომ განაცხადა, საქართველო მიიღებს ფონდის მორიგ ტრანშს 37 მილიონი დოლარის ოდენობით და, ამავე დროს, შესაძლებელი გახდება დამატებითი დაფინანსების გამოყოფაც.

გარდა ამისა, ამ პირობების დაკმაყოფილება საქართველოს მსოფლიო ბანკისა და ევროკომისიისაგან დამატებითი დაფინანსების სახით 72 მილიონი დოლარის მიღების შესაძლებლობას აძლევს. ეს თანხა ძირითადად დახარჯული რეზერვის აღდგენას მოხმარდება.

დახმარებისათვის მზად არის ევროკავშირიც. როგორც ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტს ევროკომისარმა ვან დერ ბრუკმა აცნობა, ევროკავშირი წლის ბოლომდე საქართველოს გამოუყოფს 16 მილიონ ეკიუს (22 მილიონ დოლარს). ამასთან, მისივე ინფორმაციით, შესაძლოა გამოიძებნოს დამატებითი საშუალებები კიდევ 8 მილიონი დოლარის გამოსაყოფად.

## ევრობანკის მილიონები

როგორც ცნობილია, 10 ნოემბერს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს რკინიგზის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის თანახმად გამოიყო კრედიტი 20 მილიონი დოლარის ოდენობით. 2 დეკემბერს კი ევრობანკის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტიც დაამტკიცა. იგი საქენერგოგენერაციისათვის 37,7 მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

ამ ხელშეკრულებებს 15 დეკემბერს, თბილისში ევრობანკის დელეგაციის ვიზიტის დროს მოაწერენ ხელს.

**საქინფორმი.**

## დედაქალაქი

### დასრულდა სარდალთა საბჭოს სხდომა

დასრულდა დსთ წევრი ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა საკოორდინაციო საბჭოს 32-ე სხდომა, რომელიც თბილისში 3-5 დეკემბერს მიმდინარეობდა.

საბჭოს სხდომის პარალელურად გაიმართა ორმხრივი შეხვედრა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესა და რუსეთის ფედერაციის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის კონსტანტინე ტოცკის შორის, – აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურში.

შეხვედრაზე ხელი მოაწერეს ოქმებს: საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დაცვის ქვეშ მყოფი საქართველოს საზღვრის ცალკეული მონაკვეთების და, ასევე, მათ განკარგულებაში მყოფი უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემის თაობაზე.

**პრაიმ-ნიუსი.**

### ადამ მიცკევიჩის ორასი წლისთავისათვის

ადამ მიცკევიჩის პოეზიამ საქართველოში 160 წლის წინათ გაიჟღერა, როცა სოლომონ რაზმაძემ მისი „პარისი" თარგმნა. ამ პოემით აღფრთოვანებული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი. „მერანისა" და „პარისის" მსგავსებაზე ქართველი მეცნიერებიც მიუთითებდნენ.

ადამ მიცკევიჩის სონეტებს შესანიშნავად თარგმნიდა გიორგი ერისთავი, პოლონელი პოეტის ლექსებისა და პუბლიცისტური წერილების თარგმანი გიორგი წერეთელს ეკუთვნის. მისივე თაოსნობით შუქდებოდა მიცკევიჩის შემოქმედება ჟურნალ „კვალში". პოეტის სახელი უკვე საუკუნენახევარია ჩვენში არა მარტო პოლონური პოეზიის, არამედ მთლიანად პოლონეთის სიმბოლოდ იქცა.

წლეულს ადამ მიცკევიჩის იუბილე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლონელთა კულტურულ საგანმანათლებლო კავშირმა ითავა. სამეცნიერო სესიაში საქართველოში მცხოვრები პოლონელი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ.

იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა.

### გაიხსნა „ბიზონ-კლუბი"

ამიერიდან ჩვენ დედაქალაქს ახლადგახსნილი მაღაზია „ბიზონ-კლუბი" დაამშვენებს. ქალისა და მამაკაცის მაღალხარისხოვან ტანსაცმელთან ერთად საოჯახო საქონელსა და ავეჯსაც შემოგვთავაზებენ. ევროპული სტანდარტების დონეზე საუკეთესო დიზაინით გაფორმებული მაღაზია ქართველი და სკანდინაველი ბიზნესმენების ერთობლივი ინიციატივით გაიხსნა. „ბიზონ-კლუბის" პროდუქცია ცნობილია პოლანდიაში, ბელგიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადასა და საფრანგეთში. რამდენიმე ხნის წინათ მან რუსეთისა და ბალტიისპირეთის ბაზარიც დაიპყრო.

**ლელა დონაძე.**

## ინფორმაცია

### დამატებით რამდენიმე მილიონ ლარს ელოდებიან

სახელმწიფოს კაპიტალურ შემოსავლებში, მთავრობის მიერ იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გაცემული ობიექტებიდან მისაღები შემოსავლები მნიშვნელოვანი რეზერვია. მიუხედავად იმისა, რომ ეს საწარმოები და ორგანიზაციები თავის დროზე უმცირესი ფასებით გაიყიდა, მათ მიერ გადასახდელი თანხების დროული დაფარვის შემთხვევაში, მოსალოდნელია ბიუჯეტში დამატებით რამდენიმე მილიონი ლარის მიღება. დღეისთვის, იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გაცემული 87 ობიექტიდან შემოსულია 4,9 მლნ აშშ დოლარი, ხოლო გადასახდელია კიდევ თითქმის 8 მლნ დოლარი.

### გაისად ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო შემოსავლები გაიზრდება

1999 წელს წინა წელთან შედარებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროების ოდენობა იზრდება, რაც განპირობებულია, როგორც უცხოური კრედიტის მატების, ასევე ქვეყნის შიგნით სახელმწიფოს, როგორც მსესხებლის გადახდისუნარიანობის შესუსტებით.

სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების მიხედვით, დავალიანების არსებობისა და არაეფექტიანი განთავსების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გამო 1999 წელს მათი ემისიის ხარჯზე ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა მხოლოდ 12,0 მლნ ლარის ოდენობითაა გათვალისწინებული. სპეციალისტთა აზრით, მთავრობა ბიუჯეტში საგადასახადო და სხვა შემოსავლების აკუმულირების გაუმჯობესებაში დარწმუნებული არის და მოკლევადიანი ვალდებულებების აღებისგან თავს წინასწარ იზღვევს. ლარის შემდგომი დევალვაციის პირობებში კი ამ თანხის მოზიდვა საეჭვო იქნება.

### არძინბა საქართველოს მეგობარ ქვეყნებს მიმართავს

გალის რაიონში „თეთრი ლეგიონის" მიერ აყვანილი აფხაზეთის შსს თანამშრომლები 20 ნოემბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ტყვეობაში იმყოფებიან, ნათქვამია საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩებისადმი ვლადისლავ არძინბას მიმართვაში, რომელიც გუშინ სააგენტო აფხაზპრესმა გაავრცელა.

არძინბა მიმართავს ელჩებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლდნენ ტყვეები.

### რუს ჯარისკაცებს ენაცვლებიან

აფხაზეთში, რუსეთის სამშვიდობო ძალებში გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლების საგუშაგოებზე ხდება რუსი ეროვნების ჯარისკაცების ჩრდილოკავკასიელებითა და აფხაზებით ჩანაცვლება, – აცნობეს პრაიმ-ნიუსს აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრში.

ამავე ცენტრის ცნობით, 26 ნოემბერს გალის რაიონის ქვედა ზონაში შემოვიდა 80-90-კაციანი ჯგუფი, რომელიც ჩრდილოკავკასიელებით არის დაკომპლექტებული, ამჟამად მიმდინარეობს მათი გადანაწილება საგუშაგოებზე.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და გეამ.**

## მეზობლებთან

### აზერბაიჯანი

### ახალი შეთანხმებები ნავთობის შესახებ

აზერბაიჯანის მილი-მეჯლისმა, როგორც აზერბაიჯანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან, მოახდინა ნავთობის შესახებ „აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის ყველაზე ხელსაყრელი" შეთანხმებების რატიფიკაცია. დეპუტატებს შორის ხანგრძლივი დებატების შემდეგ დამტკიცდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის კონტრაქტი ამერიკის „მობილთან" და „შევრონთან", საფრანგეთის „ტოტალთან" ახალი საზღვაო ნავთობის საბადოების დაზვერვასთან დაკავშირებით. ამ კონტრაქტებით აზერბაიჯანის მხარის წილი 50 პროცენტია. სუბსიდიების ნახევარი კი უნდა დააბანდონ უცხოელებმა.

აზერბაიჯანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეგვახსენებენ, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წილი იზრდებოდა ნავთობის ყოველი ახალი კონტრაქტის დადებასთან ერთად. სახელმწიფო ნავთობის კომპანიის პრეზიდენტს ნატიკ ალიევს მიაჩნია, რომ ეს ტენდენცია აიხსნება აზერბაიჯანში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის ზრდით და ყოველი ახალი კონტრაქტი ამცირებს ნავთობის კონსორციუმების შესაძლებლობას „ზემოქმედება მოახდინონ" აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანიაზე მოლაპარაკებისა და შემდგომი მოქმედების დროს.

### ნავსადგური გაზრდის ტვირთბრუნვას

დაიწყო ბაქოს საერთაშორისო ნავსადგურის რეკონსტრუქცია, რომელიც გაზრდის ტვირთბრუნვას „ტრასეკას" პროგრამაში ჩაბმასთან დაკავშირებით.

სამუშაოები ორ ეტაპად წარიმართება. გათვალისწინებულია მულტიმოდელის საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობა, საბორნე ტერმინალის განახლება, ბაქოსა და აფშერონის ნავთობის ტერმინალების რეკონსტრუქცია.

### სომხეთი

### მოსამართლეთა გამოცდა

სომხეთში გაიმართა გამოცდა მოსამართლეთა პროფესიული ვარგისიანობის გამოსავლენად. საგამოცდო კომისიას ხელმძღვანელობდა სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი დავით არუთინიანი.

ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ტესტირება საჭიროა, რათა სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად მომავალი წლის 12 იანვრიდან რესპუბლიკაში ამოქმედდეს ახალი სასამართლო-სამართლებრივი სისტემა.

### „კონსტიტუციური მართლმსაჯულება" – საერთაშორისო ჟურნალი

პირველი საერთაშორისო ჟურნალის „კონსტიტუციური მართლმსაჯულების" პრეზენტაცია გაიმართა ერევანში. სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს სომხეთის კონსტიტუციური სასამართლოს თავმჯდომარე გაგიკ არუთინიანი, არიან რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის კონსტიტუციური სასამართლოებისა და საბჭოების წარმომადგენლები. ჟურნალის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის სომხეთის მხარეს და მას მხარი დაუჭირა რუსეთმა. ჟურნალი გამოდის ყველა იმ რესპუბლიკის ენებზე, რომელთა სასამართლოების წარმომადგენლები შედიან სარედაქციო საბჭოში.

**საქინფორმი.**

## განცხადება

# ბოროტმოქმედთა ცინიზმი და სისასტიკე

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობის კომიტეტი გამოხატავს თავის აღშფოთებას 1998 წლის 2 დეკემბერს სამგორის რაიონის ქართველ ებრაელთა სასაფლაოზე ჩადენილი ვანდალური აქტის გამო.

ეს ფაქტი მით უფრო შემაძრწუნებელია, რომ ქართველ და ებრაელ ხალხებს ოდითგანვე განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა. საქართველოში არასოდეს ყოფილა ანტისემიტური განწყობა. ამ ორი ხალხის ძმობის 26-საუკუნოვანი იუბილე ორიოდე თვის წინ დიდი ზეიმით აღინიშნა და ყოველივე ამის ფონზე აღნიშნული ფაქტი შეურაცხყოფს მთელ ქართველ ხალხს.

დღეს საქართველო ისწრაფის კიდევ უფრო გააღრმავოს და ინტენსიური გახადოს ურთიერთობა ისრაელთან. ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ვიზიტი ისრაელში 29 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე. ის გარემოება, რომ ბარბაროსული აქტი სწორედ პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტს დაემთხვა, ბოროტმოქმედთა განსაკუთრებულ ცინიზმსა და სისასტიკეს მოწმობს.

მიუტევებელი ბოროტება, რომელიც სამგორის ქართველ ებრაელთა სასაფლაოზე მოხდა, მიგვაჩნია გამიზნულ პროვოკაციად, რომელიც მიმართულია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა აღმავლობის წინააღმდეგ და უნდა დაისაჯოს კანონის მთელი სიმკაცრით.

დარწმუნებული ვართ, რომ ეს სამარცხვინო აქტი ვერ შეასუსტებს საუკუნოვან კავშირს ორ ხალხს შორის და საქართველოში ანტისემიტური განწყობის უმცირესი გამოვლინებაც კი ვერასოდეს ვერ მოიკიდებს ფეხს ამ საშინელი ბოროტმოქმედების ავტორთა მიზნების მიუხედავად.

საგარეო ურთიერთობის
კომიტეტის თავმჯდომარე
**კახა ჩიტაია.**

თავდაცვისა და უშიშროების
კომიტეტის თავმჯდომარე
**რეზო ადამია.**

1998 წლის 4 დეკემბერი.

## ცნობიერება

(პირველი გვერდიდან)

# ზღვარი ცდომილებისა

საკითხი – რომელი რომელს განაპირობებს – უაღრესად რთულია და მრავალ სპეციფიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული. ის კი ცხადია, რომ ისტორიული გარღვევები და რთული პერიოდების დაძლევა მხოლოდ იმ ერებმა შეძლეს, რომელთა ცნობიერება სწორედ რომ პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის საფუძველი შეიქმნა. შორეულ მაგალითებს რომ არ მივმართოთ, ვფიქრობ, ნათქვამის დასტურად აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოურ სახელმწიფოთა მდგომარეობის ანალიზიც საკმარისია.

გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენი გარდამავალი ეპოქა სწორედ ცნობიერების განმსაზღვრელობას გვავალებს. თუ საკითხს პირიქით მივუდგებით, მაშინ უთუოდ მარქსიზმის ფარგლებში დავრჩებით და ხსნას მხოლოდ ყოფიერებისაგან უნდა ველოდოთ. ეს განვლილი მცდარობა რომ აღარ გავიმეოროთ, მაშინ აუცილებელი ხდება ვიპოვოთ ზღვარი ცდომილებისა; უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მოსაძებნია ის კრიტერიუმი, რომელიც ცნობიერებითი ქაოსის აღკვეთასა და ცდომილების დაძლევას შეუწყობს ხელს. დამოუკიდებლობის მთელი სირთულე ის არის, რომ სწორი აზრის დამოუკიდებელ მიგნებას გვთხოვს.

თუ ამ თვალსაზრისით გავაანალიზებთ ჩვენს მიერ განვლილი ათი წლის გამოცდილებას, მაშინ აღმოჩნდება, რომ რეალურ დამოუკიდებლობას იმდენად ვცილდებით, რამდენადაც დიდია მერყეობა საპირისპირო ღირებულებებსა და პრინციპებს შორის. ერთია პოლიტიკური პლურალიზმი და, მეორეა, ერთი და იგივე წრეში ტრიალი, რომელიც სწორედ პლურალიზმის არსის არასწორმა გაგებამ შეიძლება გამოიწვიოს.

სრულიად გასაგებია, რომ დამოუკიდებლობის საწყის ეტაპს ახასიათებდა დემოკრატიისა და თავისუფლების გამარტივებული და, არცთუ იშვიათ შემთხვევაში, რომანტიკული ცნობიერება, მაგრამ გაუგებარია, როცა დროის მცირე მონაკვეთში საზოგადოება რადიკალურად საპირისპირო ცნობიერებას ავლენს ერთი და იგივე ფაქტების შეფასებაში. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, რომ მრგვალი ოთხკუთხედის აღმოჩენის უკურნებელმა სენმა შეგვიპყრო. სხვაგვარად ვერ აიხსნება უეჭველ ფაქტებში საეჭვოს აღმოჩენის პერმანენტული მოთხოვნილება.

**სრულიად გასაგებია, რომ დამოუკიდებლობის საწყის ეტაპს ახასიათებდა დემოკრატიისა და თავისუფლების გამარტივებული და, არცთუ იშვიათ შემთხვევაში, რომანტიკული ცნობიერება, მაგრამ გაუგებარია, როცა დროის მცირე მონაკვეთში საზოგადოება რადიკალურად საპირისპირო ცნობიერებას ავლენს ერთი და იგივე ფაქტების შეფასებაში. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, რომ მრგვალი ოთხკუთხედის აღმოჩენის უკურნებელმა სენმა შეგვიპყრო. სხვაგვარად ვერ აიხსნება უეჭველ ფაქტებში საეჭვოს აღმოჩენის პერმანენტული მოთხოვნილება.**

პოლიტიკურ მეტამორფოზას, ჩვენში, სამწუხაროდ, არავითარი სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა არ აკავებს. ეს მანკიერი პროცესი ახსნადია იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური პარტიები, ვიდრე მათ მყარი იდეოლოგიური და სოციალური საყრდენი არ გააჩნიათ, ჯერჯერობით მხოლოდ კერძო და მერკანტილური პრინციპებით სარგებლობენ. მაგრამ როცა იგივე პრინციპები გამოიყენება უაღრესად ცალსახა და გამჭვირვალე ფაქტების მუდმივი გაბუნდოვნებისათვის, მაშინ ეს ჩიხში მოქცევის, საზოგადოებრივი ცნობიერების შეფერხების მცდელობაა.

დღემდე ვერაფრით დაგვიდგენია მოღალატეა ჩვენი პრეზიდენტი თუ პატრიოტი; დემოკრატი თუ დიქტატორი, რუსოფილია თუ მეძასავლეთელი (მადლობა ღმერთს, ამ ბოლო საკითხის გარკვევაში ისევ რუსეთი დაგვეხმარა, როცა მისმა ტელეარხებმა იგორ გიორგაძის სერიალები შემოგვთავაზა);

ვერ იქნა და ვერ განვსაზღვრეთ, რა სჯობია საქართველოსთვის: ჩრდილოეთის, დასავლეთის თუ სამხრეთის ორიენტაცია (იქნებ ყველა ერთად და არც ერთი ცალკე!).

გასაგებია, რომ ეს ყველაფერი გლობალურ პოლიტიკას უკავშირდება და რთულია (თუმცა, გაუთავებელი პლურალიზმის შედეგები იმდენადვე საზარალოა, როგორც დიქტატურისა). მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღემდე ვერ შევძელით თუნდაც ისეთი სტრუქტურის ერთმნიშვნელოვანი შეფასება, როგორც „მხედრიონია“. სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში სამჯერ (მაგრამ არა სამგვარად!) შეიცვალა მისდამი საზოგადოების დამოკიდებულება.

ზოგიერთი პოლიტიკური ძალისა და მასმედიის ნაწილის მიერ წარმოებული ეს არცთუ სერიოზული თამაში შეიძლება ჩვენი შვილების წინააღმდეგ მიმართულ ბუმერანგად იქცეს. უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ გაღატაკებული მოსახლეობით სპეკულირება ნებისმიერი თამაშის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომაა, რომ ჩვენი მძიმე ყოფიერების მიზეზები ჩვენსავე ცნობიერებაში უნდა ვეძებოთ.

ბოლოდროინდელი პრესის ანალიზი კიდევ ერთ სამწუხარო ცდომილებაზე მიგვანიშნებს: პოლიცია უფასურდება პატიმართა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის სრულიად სამართლიანი მოთხოვნის ხარჯზე. ეს კი კვლავ ზღვარის დარღვევაა.

უხერხულად გვეჩვენება (მით უფრო, სტატიის ფარგლებში) ვასაბუთოთ პოლიციის ფუნქცია, მაგრამ, ზღვარის დადგენის უპირველესი საშუალება სწორედ იგია.

დემოკრატიულად მოწინავე ყველა ქვეყანა სათუთად უფრთხილდება საკუთარ პოლიციას. ღია საზოგადოება და სამოქალაქო კონტროლი იქ მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ესოდენ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურა ზუსტად ახორციელებდეს უმთავრეს ფუნქციას.

ვფიქრობ, არავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი იმაში, რომ ამავე მოწინავე ქვეყნების პოლიციელს არაერთი გადაცდომა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ განსხვავებით ჩვენგან, იქ, როგორც ჩანს, პოლიციელსა და პოლიციას ურთიერთისგან საკმაოდ კარგად ასხვავებენ, რაც შეფასებებში გადახრის ერთგვარი გამომრიცხავია.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენს პოლიციას, ალბათ, ყველაზე უფრო სათუთი მოპყრობა ესაჭიროება. განსხვავებით განვითარებული ქვეყნების პოლიციისაგან, ჩვენი გასაჭირი არა იმდენად ფინანსურ და მატერიალურ პრობლემებშია, რამდენადაც მისადმი არასწორ დამოკიდებულებაში. ამ დამოკიდებულების მიზეზი ხშირად ჩვენივე გულმავიწყობა და პრობლემათაგან, ფაქტობრივად, განზე დგომაა; არცთუ იშვიათ შემთხვევაში კი, იმ რეალობათა გაუთვალისწინებლობაც, რომელშიც ერთობლივი ცხოვრება გვერგო პოლიციასაც და საზოგადოებასაც.

**ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენს პოლიციას, ალბათ, ყველაზე უფრო სათუთი მოპყრობა ესაჭიროება. განსხვავებით განვითარებული ქვეყნების პოლიციისაგან, ჩვენი გასაჭირი არა იმდენად ფინანსურ და მატერიალურ პრობლემებშია, რამდენადაც მისადმი არასწორ დამოკიდებულებაში. ამ დამოკიდებულების მიზეზი ხშირად ჩვენივე გულმავიწყობა და პრობლემათაგან, ფაქტობრივად, განზე დგომაა; არცთუ იშვიათ შემთხვევაში კი, იმ რეალობათა გაუთვალისწინებლობაც, რომელშიც ერთობლივი ცხოვრება გვერგო პოლიციასაც და საზოგადოებასაც.**

ვფიქრობ, რომ კრიმინოგენურ სტაბილურობაში პოლიციის დამსახურების არდანახვა იმდენადვე უმადურობაა, რამდენადაც გულგრილობაა დღევანდელ ნაკლოვანებათა არდანახვა. ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგება უთუოდ მოითხოვს პოლიციის ფუნქციურ მომძლავრებასაც და კანონის ზუსტ ფარგლებში მის მოქცევასაც. სრულიად გასაგებია, რომ საზოგადოების მოთხოვნები ხშირად უსწრებს პოლიციის ფუნქციურ, სტრუქტურულ და მენტალურ ცვლილებებს. ეს თანაფარდობა თითქმის დაუძლეველია იმავე მოწინავე ქვეყნებისთვისაც, მაგრამ ცალკეული ფაქტების განზოგადებათა მასშტაბი იქ პოლიციის დისკრედიტაციამდე არ ვრცელდება.

ჩვენი სინამდვილის სპეციფიკური ნეგატივი კი სწორედ ისაა, რომ ცალკეული პოლიციელის თუნდაც სამართლიანი კრიტიკა პოლიციის კრიტიკამდე ვრცელდება (რასაც, რა თქმა უნდა, არ ვაკეთებთ და არც არასოდეს გავაკეთებთ მასწავლებლისა და სკოლის, მეცნიერისა და მეცნიერებათა აკადემიის და სხვათა მიმართებაში).

მაგრამ თუ ზემოაღნიშნული გადახრა, ასე თუ ისე, მოსათმენ ფარგლებში თავსდება, სამაგიეროდ, შემაშფოთებელი უნდა იყოს კერძო ინტერესთა რეალიზაციისათვის პოლიციის მესვეურთა წინააღმდეგ გაჩაღებული ლამის ჯვაროსნული კამპანიები. იმ ვითარებაში, რომელშიც ჩვენი პოლიციელები იმყოფებიან, ეს მართლაც სახიფათო თამაშია და ამიტომ აქ არც კახა თარგამაძით და არც სოსო ალავიძით არ ამოიწურება საკითხი. ლაპარაკია ცდომილების იმ ზღვარზე, რომელიც, ერთი მხრივ, პირადი და სახელმწიფოებრივი ინტერესების სწორ თანაფარდობას გვავალებს და, მეორე მხრივ, მაკომპრომენტირებელ მასალათა საფუძვლიანობას მოითხოვს.

ჩვენში კი ერთიც და მეორეც ადვილად ხელსაყოფია და ურთიერთშეურაცხყოფა და ტალახსროლა ჩვეულებრივ საგაზეთო თემატიკად იქცა.

შესაძლოა, რომელიმე პოლიტიკური ძალისათვის ესა თუ ის ხელისუფლება მიუღებელი იყოს, მაგრამ გაუმართლებელია, როცა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას ძალოვანი სტრუქტურების დისკრედიტაციით ცდილობენ. ხელისუფლების მიხედვით არ უნდა იცვლებოდეს ჩვენი დამოკიდებულება პოლიციისადმი, რადგან მას სამართლებრივი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ევალება ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში.

ის, რომ ჩვენთან დაინერგა ძალოვანი სტრუქტურების მესვეურთა სისტემატური და ზღვარსგადაცილებული, არცთუ იშვიათ შემთხვევაში კი უსაფუძვლო კრიტიკის პრაქტიკა, ვფიქრობ, ერთიანად საზიანოა ყველასათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

– რაც უნდა უსაფუძვლო იყოს სადისკრედიტაციო კამპანია, იგი თავის უარყოფით შედეგებს მაინც იძლევა. იწვევს სტრუქტურის წარმომადგენელთა გაუცხოებას როგორც საკუთარი პროფესიული სტატუსის მიმართ, ისე სამოქალაქო საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, მასმედიის მიმართ. საზოგადოებისა და პოლიციის ურთიერთობაში წარმოშობილ თუნდაც მცირედ გაუცხოებას უკვე ურთიერთდაპირისპირების მუხტი უჩნდება;

– მუდმივი და ზღვარგადაცილებული წნეხი ხელს უშლის ძალოვანი სტრუქტურების ობიექტურობას, დროული და სწორი გადაწყვეტილების მიღებას. იმის წინასწარი განცდა, რომ ნებისმიერი მოქმედება და გადაწყვეტილება უთუოდ საზოგადოებრივი კრიტიკის საგანი გახდება, იწვევს ინერტულობასა და მერყეობას;

– პოლიციისა და პოლიციელისადმი უნდობლობის დანერგვა, რომელიც ჩვენში, ნებსით თუ უნებლიეთ, ხორციელდება, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში წარმოშობს კანონდაუმორჩილებლობის სინდრომს. პოლიციელის ავტორიტეტის დისკრედიტაციის პირდაპირი შედეგია შავი სამყაროსა და დამნაშავის პოპულიზაცია;

– თუ ძალოვანი სტრუქტურები და მათი მესვეურები პოლიტიკური ინტრიგების საგნად ვაქციეთ, მაშინ, ნებსით თუ უნებლიეთ, მათაც პოლიტიკისაკენ ვუბიძგებთ. კერძო ინტერესთა დაპირისპირებამ შესაძლოა პოლიტიზებული პოლიცია მოგვცეს შედეგად. უახლოეს წარსულში პოლიციის პოლიტიზებამ გამოიწვია ამ სტრუქტურის ლამის ფუნქციური ვაკუუმი, რომელიც იმ ძალებმა შეავსეს, ლამის რომ ავტომატთა კაკანში გვაძინებდნენ.

ასე რომ, აქ ლაპარაკი არ არის ფაქტების მიჩქმალვასა და სამოქალაქო კონტროლის იგნორირებაზე, არამედ, პირიქით, მათი ეფექტიანობის გაზრდაზე. მაგრამ ამისათვის საჭიროა სწორი მიდგომა და შესაბამისი პრინციპებით სარგებლობა. პოლიციისადმი საზოგადოებრივი თანადგომის მოთხოვნა არსებითად ამას გულისხმობს. ჯერჯერობით კი ჩვენი პრაქტიკა საწინააღმდეგოზე მეტყველებს. კომპრომირების მიზნით ამა თუ იმ თანამდებობის წარმომადგენელთა პირადი ქონების პრესაში გამომზეურება ამ ქონების უკანონობის თავისთავადი საბუთი რომ არ არის, ალბათ, ყველასთვის გასაგებია, მაგრამ ამავე კონტექსტში ლოგიკურად წარმოიშვება კითხვა: თუნდაც დიდი, მაგრამ კანონიერი ქონება უნდა მივიჩნიოთ თუ არა თანამდებობის პირის „კომპრომატად?“ ამ შეკითხვის საფუძველი იგივეა, რასაც კომპრომატორები ემყარებიან – ჩვენში ჯერჯერობით შემორჩენილი კომუნისტური სტერეოტიპი. მისი მიხედვით კი, სიღატაკე პატიოსნების და, ლამის, პროფესიონალიზმის უმთავრესი კრიტერიუმია. ამიტომაც გვქონდა გაუკუღმართებული პრაქტიკა: გარეგნული პატიოსნების, ანუ სიღატაკის ფორმით კარიერის შექმნა. გამჭვირვალობის პრინციპი კი ქონებრივი ცენზის ლეგალიზაციას მოითხოვს.

ბოლოს და ბოლოს ამ კონტექსტით საკითხი დგება შემდეგნაირად: რა უფრო სამართლიანია, ქონების სამართლიანობა თუ სიღატაკის ნიღბით მოპარული და უკანონო ქონების დამალვა. თუ საკითხს დღევანდელი ფასეულობით შევხედავთ, კანონიერი ქონება, მიუხედავად მასშტაბებისა, ისევე არ არის პატიოსნების „კომპრომატი“, როგორც უქონლობა არ არის პატიოსნების. მით უფრო, პროფესიონალიზმის უპირობო დასტური.

ასე რომ, სამოქალაქო კონტროლი არც პოლიციისა და რომელიმე თანამდებობის პირთა კრიტიკას გამორიცხავს და არც პირადი ანგარიშსწორების მიზნით უსაფუძვლო „კომპრომატებს“ გულისხმობს.

გარდამავლობითაც ხასიათდება და ეს სავსებით ბუნებრივი მდგომარეობაა, მაგრამ სწორედ ღირებულებათა ცვლილებების ეს რთული პროცესი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის მრავალფეროვან პრობლემათა გადაჭრა-შეფასებაში ცდომილების ზღვარის დაცვას.

**ჯიმი ჯალიაშვილი,**
პოლიტიკურ მეცნიერებათა
დოქტორი.

# ჯორჯ მაიკლს სურს, წაალგეს საზოგადოებას



ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚ მომღერალს ჯორჯ მაიკლს, რომელიც გასული წლის აპრილში დააპატიმრეს ბევერლი — ჰილზის მემორიალურ პარკში უღირსი აქტის ჩადენის ბრალდებით, მიესაჯა 80 საათის საზოგადოებრივი სამუშაოები. მაშინ მოსამართლე ჩარლზ რუბინმა მომღერალს მოსთხოვა, მისჯილი ვადა მოეხადა საქველმოქმედო ორგანიზაცია „ეინჯელ ფუდში“, რომელიც შიდსიანი ავადმყოფებისათვის პროდუქტების დამზადებითა და შინ მიტანით არის დასაქმებული. შეუდგა თუ არა მუშაობას, მომღერალმა „ეინჯელ ფუდის“ შენობასთან პრესკონფერენცია გამართა, რათა ეს მოვლენა ჰოლივუდსა და მთელ კალიფორნიას შეუმჩნეველი არ დარჩენოდა.

ᲬᲘᲜᲐ კვირას უშუალო დემოკრატიის სისტემამ შვეიცარიელ ამომრჩევლებს საშუალება მისცა, შეეზანზარებინათ მსოფლიო. რეფერენდუმზე გამოტანილი საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებდა აფთიაქებში ნებისმიერი ნარკოტიკის თავისუფალ გაყიდვას, მარიხუანადან ჰეროინუმამდე. მაგრამ რეფერენდუმის მონაწილეთა 73,9 პროცენტმა უარყო ეს რევოლუციური გადაწყვეტილება.

ეგრეთ წოდებულ „დროლეგ“ ინიციატივას მხარი დაუჭირეს მემარცხენე ათასი ხმარობს მძიმე ნარკოტიკებს. თუმცა, ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპაში, ნარკომანთა შორის სიკვდილიანობა კლებულობს, რასაც ვერ მიაღწიეს სხვა ქვეყნებმა. შარშანდელ რეფერენდუმზე შვეიცარიელებმა არ სცნეს საჭიროდ პოლიტიკის გამკაცრება მძიმე ნარკოტიკების დარგში.

ხელისუფალნი, რომლებიც ზრუნავენ ნარკომანებისათვის, ამავე დროს, უარს როდი ამბობენ ნარკოდილერებთან ბრძოლაზე. ჯერ კიდევ რამ-

## შვეიცარია: მემარცხენეები ჰეროინიუმის თავისუფალ გაყიდვას მოითხოვენ



ჰოლანდიაში მარიხუანას დაუფარავად ეწევიან.

დენიმე წლის წინათ ციურიხსა და ბერნში სულ იოლად შეიძლებოდა ჰეროინიუმის პოვნა და უფასო ერთჯერადი შპრიცის მიღება. ნარკომანები პირდაპირ ქალაქის პარკებში იჩხირებოდნენ. მაგრამ რამდენიმე წლის წინათ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დამნაშავეობის მკვეთრი ზრდის გამო, მთავრობამ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ამ პრაქტიკისათვის. „დროლეგ“ ინიციატივის წარმატება ქვეყანას საფრთხეს უქადდა გიგანტურ „ნარკოპარკად“ გადაქცევისა. რეფერენდუმის შედეგი წინასწარ იყო აშკარა. „ნარკობაზრის დეკრიმინალიზაციის მომხრენი თავიანთ გამანადგურებელ დამარცხებას აბრალებენ თვით ნარკომანთა დაბალ საარჩევნო აქტიურობას. თუმცა, ეს როდი შეუშლის ხელს მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციისათვის მიმდინარე კამპანიის გააქტიურებას. მთავრობა აღიარებს, რომ არსებული კანონები „სცილდება რეალობას“. უკანასკნელმა გამოკითხვამ ცხადყო მარიხუანას მოხმარების მკვეთრი ზრდა: 15-დან 39 წლამდე შვეიცარიელთა 27 პროცენტს ერთხელ მაინც აქვს მოწეული „პლანი“.

მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციის საკითხს დღეს აქტიურად განიხილავენ ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაში, სადაც ზოგიერთ შტატში უკვე ნებადართულია მარიხუანას გამოყენება ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად. მსუბუქი ნარკოტიკების მავნებლობაზე ჯერ კიდევ კამათობენ მედიკოსები. სპეციალისტებმა, რომლებიც ამ პრობლემას განიხილავდნენ ლონდონში გამართულ კონფერენციაზე, გამოიტანეს დასკვნა, რომ დასავლეთში მარიხუანასა და ჰაშიშის ლეგალიზაციამდე სულ რაღაც ათი წელიწადი დარჩა.

ყაიდის პოლიტიკოსებმა და თვით მმართველ კოალიციაში შემავალმა ერთ-ერთმა პარტიამ. ოთხი წლის განმავლობაში აქტივისტები მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაცია გაანადგურებს შავ ბაზარს, შეამცირებს დამნაშავეობის დონეს და ხელს შეუწყობს დამატებითი სახსრების წარმართვას ნარკომანიის პროფილაქტიკისათვის. წინადადება წამოაყენეს, სახელმწიფო კონტროლი დაეწესებინათ ნარკოტიკების ბაზრისათვის, რომლის წლიური ბრუნვა, 1,6 მილიონ დოლარად არის შეფასებული. მთავრობა აგიტაციას უწევდა ასეთი რადიკალური ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებიც ქვეყანაში მოიზიდავდნენ ნარკომანებს მთელი ევროპიდან. გარდა ამისა, შვეიცარია იძულებული გახდებოდა, უარი ეთქვა ნარკოტიკებთან ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობაზე.

მოსახლეობამ ყურად იღო ეს არგუმენტები. ინიციატივა ვერ გავიდა ვერც ერთ კანტონში. ამრიგად, ძალაში დარჩა შვეიცარიის ხელისუფალთა ახლანდელი „ნარკოკურსი“, ისეთი უაღრესად ლიბერალური და ნოვატორული. ნარკომანებისათვის ჰეროინიუმის უფასო დარიგების სამწლიანმა ექსპერიმენტმა დადებითი შედეგები მოიტანა: ჭარბი დოზის მიღების შემთხვევებმა იკლო, ნარკომანთა სოციალური რეაბილიტაცია უფრო წარმატებით მიმდინარეობს. ოფიციალური მონაცემებით, 7 მილიონ შვეიცარიელთაგან დაახლოებით 30

# RADIO LIBERTY, BBC, CNN და სხვანი



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ორბიტული მოდული „იუნიტი“, რომელიც კოსმოსში აიტანა „ენდევორ ხომალდმა“, დღეს შეუპირაპირდება რუსეთის ბლოკს „ზარიას“. ამრიგად, დაიწყება საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მშენებლობა. „ენდევორის“ ეკიპაჟში შემავალი რუსი კოსმონავტი სერგი კრიკალიოვი მოდულის ბორტზე გადავა და შეაფასებს მის მდგომარეობას.

ᲝᲗᲮᲘ კაცი დაიღუპა ეკატერინბურგში სამხედრო საწყობის ძლიერი აფეთქების შედეგად. დენთის მუხტების აფეთქება მოხდა ურალის სამხედრო ოლქის საწყობებში გაჩენილი ხანძრის დროს.

ᲐᲨᲨ პრეზიდენტი კლინტონი 12 დეკემბერს ვიზიტად მიემგზავრება ისრაელში, რათა დაძლიოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე წამოჭრილი დაბრკოლებანი.



ხვალ ვიზიტის მოსამზადებლად ახლო აღმოსავლეთში ჩადის აშშ საგანგებო დესპანი როსი. პალესტინელებმა გამოაცხადეს, რომ შეუდგნენ ყოველდღიურ საპროტესტო აქციებს, მათ შორის, შიმშილობას. ისინი მოითხოვენ პალესტინელ ტუსაღთა განთავისუფლებას ისრაელის ციხეებიდან. პალესტინელებისა და იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მცხოვრები ისრაელი მედაბურების ამასწინანდელ შეტაკებათა შემდეგ ისრაელის პრემიერმა ნეთანიაჰუმ დროებით შეაჩერა ისრაელის ჯარების გამოყვანა.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ მონაცემებით, ინდონეზიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 50-ს მიაღწია. მიწისქვეშა ბიძგით გამოწვეულმა ნგრევამ მოიყოლა ათასამდე სახლი. უბედურების ზონიდან გაიხიზნა რამდენიმე ათასი კაცი.



ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ჟენევის საელჩომ შვეიცარიის ხელისუფალთ მიმართა თხოვნით, შეახვედრონ უკრაინის ოპოზიციური პარტიის „გრომადას“ ლიდერს ლაზარენკოს, რომელიც 2 დეკემბერს დააკავეს ბაზელში. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ არ მოეპოვება არავითარი ინფორმაცია უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაპატიმრების მიზეზების შესახებ. გუშინ შვეიცარიის ხელისუფლებმა დაჰკითხეს პავლე ლაზარენკო. მათ აქვთ უკრაინის სამართალდამცველი ორგანოების 20-ზე მეტი თხოვნა ლაზარენკოსა და „გრომადას“ მეორე ლიდერის აგაფონოვის საქმის გამოძიებაში დახმარების შესახებ, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან, რომ შვეიცარიის ბანკებში უკანონოდ გადარიცხეს 40 მილიონი დოლარი.

ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲨᲘ იქმნება ახალი დემოკრატიული პარტია. მოსკოვში მიმდინარე ყაზახეთის დემოკრატიული ძალების კონგრესის გადაწყვეტილებით, საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში ჩაუდგება ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი აკეჟან კაჟეგელდინი. ოპოზიციას უმთავრეს ამოცანად მიაჩნია აქტიური მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კაჟეგელდინი — მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ნაზარბაევის მთავარი მეტოქე — ამოაგდეს კანდიდატთა სიიდან.



ᲙᲝᲡᲝᲕᲝᲔᲚ ალბანელთა ლიდერმა რუგოვამ საერთაშორისო გაერთიანებას მოუწოდა, ხელი შეუწყოს პროვინციაში მდგომარეობის ნორმალიზაციას. ეუთოს მისიის აქ ყოფნა თავიდან აგვაცილებს ძალადობას, ხაზი გაუსვა რუგოვამ პრიშტინში გამართულ პრესკონფერენციაზე. აშშ წარმომადგენელმა უოლკერმა ბრიუსელში განაცხადა, რომ უკვე იანვრის დამდეგს ეუთოს მისია მზად იქნება, შეუდგეს კოსოვოში დაზავების დაცვისადმი კონტროლს. ბოლო დღეების მანძილზე კოსოვოში სხვადასხვა ინციდენტების დროს დაიღუპა 12 კაცი, ძირითადად, ალბანელები.

10 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ მეტი კაცი შეიკრიბა პროფკავშირების მიერ მოწყობილ საპროტესტო მიტინგზე კიშინიოვის მთავარ მოედანზე. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ ხელფასის, პენსიისა და სტიპენდიის მრავალი თვის დავალიანების დაფარვას. მთავრობა შეჰპირდა პროფკავშირებს, რომ ბიუჯეტზე მყოფ მოქალაქეებს ანგარიშს გაუსწორებს პროდუქტებით და გაუსტუმრებს კომუნალური მომსახურების დავალიანებას. აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ სათავეში ჩაუდგებიან საყოველთაო გაფიცვას, თუ ხელისუფალნი არ შეუსრულებენ ყველა მოთხოვნას. გაუსტუმრებელი ხელფასისა და პენსიის საერთო დავალიანებამ მოლდავეთში 140 მილიონ დოლარს მიაღწია.

ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲘᲡ შეიარაღებული ძალების განცხადებით, წითელი ქმერების პარტიზანული რაზმების ნაშთებმა გადაწყვიტეს, დანებებოდნენ მთავრობას გამართული წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ. არმიის წარმომადგენელთა თქმით, წითელი ქმერების რაზმების მეთაურთა ჯგუფი უსიტყვოდ გადავიდა მთავრობის მხარეზე. მთავრობასთან მიღწეული შეთანხმება ეხება რამდენიმე ათას პარტიზანსა და მათს 30 ათასამდე მიმდევარს სამოქალაქო პირთა რიცხვიდან. მაგრამ მთავრობისათვის ტყვედ ჩაბარებულ პარტიზანთა მეთაურებს შორის არ არის წითელი



ქმერების სამი გადარჩენილი ლიდერი, რომელთა გასამართლება სურდა ვაშინგტონს გენოციდის ბრალდებით.

ᲢᲐᲘᲕᲐᲜᲨᲘ მიმდინარეობს პარლამენტისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები, მოელიან, რომ ნაციონალისტური პარტია, რომელიც უკვე 50 წელიწადია სათავეში უდგას ძალაუფლებას, ამ არჩევნებში ოპოზიციური დემოკრატიული პროგრესული პარტიის სერიოზულ კონკურენციას წააწყდება. ოპოზიციის გამარჯვებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კუნძულის ურთიერთობაზე კონტინენტურ ჩინეთთან, ვინაიდან დემოკრატები კატეგორიული წინააღმდეგი არიან იმისა, რომ პეკინი ტაივანს თავის ჩამოშორებულ პროვინციად განიხილავს.

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ სიკვდილით დასაჯეს ცნობილი ჰონკონგელი განგსტერი ჩენ ცეკუნი. წინადღით მას უკან დაუბრუნეს შეწყალების არზა. ჩენს, რომელიც „დარდიმანდის“ მეტსახელით იყო ცნობილი, მსჯავრი დაედო მთელი რიგი დანაშაულობებისათვის, მათ შორის, შეიარაღებული ძარცვისა და მდიდარ ბიზნესმენთა მძევლად აყვანისათვის. გუანჯოუში სიკვდილით დასაჯეს აგრეთვე ოთხი მისი თანამზრახველი. ჩენის სასამართლომ პროტესტი გამოიწვია ჰონკონგში, სადაც გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, აგრეთვე წარმოშვა ეჭვები ამ ყოფილ ბრიტანულ კოლონიაში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.



ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ.
ᲒᲕᲔᲠᲓᲡ ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲘᲐᲜ
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ, ᲙᲐᲮᲐ ᲫᲝᲠᲘᲫᲔ.

საქართველოს რესპუბლიკა
№317-318, კვირა-ორშაბათი, 6-7 დეკემბერი, 1998 წელი.

## მამული



რუბრიკას უძღვება როინ მეტრეველი

**ჩვენს ერს ახსოვს ქვეყნისთვის თავდადებულ მამულიშვილთა მრავალი დიდებული სახელი, „დუმილით რომ წამებენ და ხმამაღლა ქადაგებენ ღვაწლთა და შრომათა მათთა“. ახსოვს ბრწყინვალე გამარჯვებანი, ძლევაი საკვირველნი, და ახსოვს ღალატიც, მარცხიც, შურიც, გაუტანლობაც...**

**ციალა არდაშელიას ისტორიულ-მხატვრული ნარკვევები საერთო სათაურით „დიდი ღაღადი ცრემლთა“, ამ მოვლენებს ასახავს.**

**დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ერთ-ერთს ამ ნარკვევებიდან.**

# დიდი ღაღადი ცრემლთა

## გარნისი

მე-13 საუკუნე. 1225 წელი.

ლაშა გიორგი სამი წლის გარდაცვლილია. სამეფო ტახტზე ზის მისი და რუსუდანი.

უკან დარჩა „ოქროს ხანა“, დავითისა და თამარის ეპოქა. წინ გარნისია, დიდი ღამის დასაწყისი... თუმცა, გარეგნულად თითქოს ყველაფერი ძველებურადაა.

რუსუდანმა თამარ მეფესავით საბრძოლველად მოუხმო ამერთა და იმერთა და... „მოიღო დროშა სეფე და მოუწოდა ივანე ათაბაგსა და წარავლინა ბრძოლად სულტნისა მის ჯალალედინისა“. სამწუხაროდ, მსგავსება მოჩვენებითია. რუსუდანი არ გახლავთ თამარ მეფე. ი. ჯავახიშვილის თქმით, მას სახელოვანი დედის მხოლოდ გარეგნობა გამოჰყვა. არც ივანე ათაბაგია დავით სოსლანი, ანდა ზაქარია მხარგრძელი, ხოლო ომი, ქართველებმა რომ უნდა გადაიხადონ, არ იქნება ბადალი არც ბასიანისა, არც შამქორისა და მით უმეტეს, არც დიდგორისა.

ივანე ათაბაგს, უკვე მოხუცებულს, ჯარს რომ უნდა წარუძღვეს, ჯერ კიდევ ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ უბოძა თამარმა ძმის სახელო – ამირსპასალარობა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ივანე მხარგრძელი არ დასჯერდა მხედართმთავრობას და თამარს ათაბაგობა გამოსთხოვა, „ათაბაგობითა პატივი მეციო“. მართალია, საქართველოში „არ არს წესად და ხელად თქვენ მეფეთა წინაშე ათაბაგობა, რადგან სულტანთა წესი არს ათბაგი, რომელ მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების“. ამისდა მიუხედავად, ივანე ითხოვს ათბაგობას „რომელი არა ყოფილიყო საქართველოს მეფეთა წინაშე და აქამდე არავის ბოძებოდა“, როგორც გვაუწყებს მემატიანე.

... გარნისში ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ძალა. მთელ წინა აზიასა და აღმოსავლეთში სახელგანთქმული ქვეყნის უძლეველი ლაშქარი და თავისი სამფლობელოდან დევნილი სულტნის, ჯალალედინის ურიცხვი მეომარი.

ქართველებმა მოასწრეს და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბორცვი დაიკავეს. ჯარის წინამბრძოლობა, წესისამებრ, მესხებს – თორელებს, სახელოვან ძმებს შალვა და ივანე ახალციხელებს ხვდათ წილად. მოწინააღმდეგენი განლაგდნენ დაბლობში. მტერი, როგორც ყოველთვის, ბევრად ჭარბობდა ქართველებს. მაგრამ ჩვენებს თავისი გულადი ჯარის და გამოცდილი ამირსპასალარის იმედი აქვთ და სჯერათ გამარჯვებისა.

ომის დაწყების წინ მესხებმა კაცი აფრინეს ამირსპასალართან და ამცნეს: „დაახლოებულ ვართ სულტანსა და სპათა მისთა, და ჩუენ დიდად უმცირეს ვართ, და ომი ძლიერი წინა გვიც. წარმოიმალონ მხნეთა სპათა მეფისათა და სიმხნემან შენმან“. სამგზის შეუთვალეს მესხებმა, მოგვეშველენითო, მაგრამ „ათაბაგი არა რას მიუგებდა“. მაშინ: „ხოლო ვინათაგან წინამბრძოლნი თორელნი და უმეტეს ახალციხელნი შალვა და ივანე ახოვან იყვნეს და წყობათა შინა სახელოვანნი, არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათასა, ვითა მხეცნი ზედა მიეტევნეს და იქმნეს ძლიერნი ომნი. მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი და ძლიერად ბრძოლობდეს შალვა და ივანე“...

გაგრძელდა ომი სასტიკი, ხოლო ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთა „ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა... არამედ დგეს შორით, და არა ინება შველა ათაბაგმა“. ე.ი. მეწინავე რაზმი წყდება უთანასწორო ბრძოლაში, ამირსპასალარი მოვალეა მიეშველოს, ანუ ჩართოს ომში მთავარი ძალები და ამით საერთოდ ომის ბედი წალმა შემოატრიალოს ქართველთა სასარგებლოდ, მაგრამ... ამირსპასალარმა არ ინება ეს! არ ინება საკუთარი ჯარის გამარჯვება!

თითქოსდა წარმოუდგენელია ეს ამბავი, მაგრამ... მივყვეთ ბრძოლის პერიპეტიებს: ორთავე ძმას ცხენები დაუხოცეს და ქვეითად დარჩენილნი მაინც თავგანწირულად იბრძოდნენ. ორივე მხრიდან მოისრნა ურიცხვი, განსაკუთრებით ბევრი დაიღუპნენ თორელნი. „ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, ახლა ხრმალნი განტყდეს ახალციხელთანი. მხოლო ამის შემდეგ ივლტოდეს ქართველნი. ხოლო შალვა შეიპყრეს მტრებმა. ივანე გარნისის კლდეთა შელტოვილი ნატყორცნი ქვით მოიკლა“.

შალვა ახალციხელი მიჰგვარეს ჯალალედინს. სულტანს მოეწონა გმირის ახოვანება და მამაცობა, დიდი პატივით მოეპყრა და მიანიჭა ქალაქნი ადარბადაგისანი, მაგრამ ეს იყო, ცხადია, მოჩვენებითი პატივი. სულ მალე სულტანმა მოსთხოვა შალვას სჯულის დატოვება, სამაგიეროდ „უქადებდა ნიჭთა და პატივთა უმეტესთა“. შალვა ახალციხელმა ამა სოფლის წუთიერი დიდება არად ჩააგდო. სულტანი კვლავაც „ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესსა“. შალვა ისევ უარზე იყო. „მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა“. ბოლოს სულტნის ბრძანებით, რაკი საწადელს ვერ მიაღწია, საშინელი ტანჯვით ამოხადეს სული და „წმინდა შალვა, წამების გვირგვინით იდიდა“.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ იმ საბედისწერო ეპიზოდს, როცა ივანე ათაბაგმა არ ინება მიშველება მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული თავისი მეწინავე რაზმისა. დიახ. იხოცებიან საუკეთესო მებრძოლები, უზომო სისხლი იღვრება თანამოძმეთა, ამირსპასალარს ძალუძს და მოვალეცაა, მიეხმაროს წინამბრძოლებს და... ადგილიდან არ იძვრის. ალბათ, „იმედოვნებს“, მესხების დამარცხებით არაფერი დაუშავდება სამეფო სპას და მთლიანად ქვეყანას.

რა მიზეზით შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი საოცარი, მანამდე გაუგონარი ღალატი? „შურითა იტყვიან ამას ყოფად და არა თუ შიშითა“–, გვამცნობს ჟამთააღმწერელი, ე.ი. ძმების სახელოვნება შურით ავსებდა თურმე მთავარსარდალს და ამიტომ ჰყო ესე ყოველიო. და მერე გულიდან ამომსკდარი მოთქმა-გოდებასავით გაისმის მემატიანის სიტყვები: „ჰოი, შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძვირად მომწყუედელი ნათესავისა კაცთასა და ყოველთა ნათესავთა მწყლველი... და კუალად ამათსა უბოროტესი უგბილი და ულმობელი საქართველოსი სრულიადი მოსპოლვა“.

სწორედ რომ „სრულიადი მოსპოლვით“ დაუჯდა საქართველოს ივანე ათაბაგის ეს საშინელი ღალატი, ან, თუ გნებავთ, ყოყმანი... დაუდევრობა...

ჩვენთვის, მეოცე საუკუნის ქართველებისათვის, დროთა სიშორიდან რომ ვუყურებთ ამ და მსგავს მოვლენებს, თითქოს მოულოდნელი არ უნდა იყოს ასეთი ამბები. მაგრამ იმ ეპოქისთვის, ჟამთააღმწერლისათვის, იგი თავზარდამცემი და გამაოგნებელი გახლდათ უთუოდ, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „აქამდე აროდეს ძველთა სადმე წიგნთა მიერ სმენილ არსო“.

გარნისთან გამარჯვებით გალაღებულმა ჯალალედინმა მალე თბილისიც აიღო (თბილისიც ხომ ასევე ღალატით დაეცა!). ჯალალედინმა ისეთი ჯოჯოხეთი დაატრიალა ქალაქში, რომლის მსგავსი მას მანამდე არ მოსწრებია თვით არაბების ბატონობის დროსაც. ჯალალედინის ურდომ მძვინვარედ იწყო მოსახლეობის მოსვრა. დედებს ჩვილებს სტაცებდნენ ხელიდან და მათ თვალწინ ქვაზედ ანარცხებდნენ, მერე დედებსაც დაუნდობლად ხოცავდნენ, ჭაბუკებს ასო-ასო კუწავდნენ, ბერებს ქუჩებში ცხენებით სთრგუნავდნენ. ქალაქში სისხლის მდინარეები დიოდა, ერთმანეთში იყო არეული კაცთა, ქალთა, ჩვილთა, ბერთა ტვინი და თმა, ადამიანების ნაწლავები, მოკვეთილი თავები... „ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი... ჰოი, სალმობიერი ღაღადი და დიდი ღაღადი ცრემლთა!“ – გოდებს ჟამთააღმწერელი. სწორედ მაშინ მოხადეს გუმბათი სიონის ტაძარს და ზედ ტახტი დადგეს, რათა იქიდან უკეთ ემზირა მტარვალ სულტანს, როგორ ხოცავდნენ თბილისის მშვიდობიან მოქალაქეებს. სწორედ მაშინ გაწყდა ასიათასამდე თბილისელი, რომელთაც არ შეურაცხყვეს ჯვარი და ხატი, ანუ უარი არ თქვეს ქართველობაზე. თბილისში დატრიალებული ტრაგედია იმდენად შემზარავი ყოფილა, რომ მემატიანის თქმით: „... არა შემინდობს ტკივილი გულისა მოხსენებად თუ ვითარ იქმნეს ხუარაზმელნი შინაგან ქალაქსა. ვინ – მე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნილთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა! აქა მეგულების დადუმებად, რომელ სალმობიერსა მიუთხრობ ტკივილთა გულისათა!“ ეს ვრცელი ამონარიდი ჟამთააღმწერლიდან იმიტომ მოვიტანე, მკითხველისათვის თვალნათელი ყოფილიყო, ბოროტების არსი რომ უცვლელია – მე-13 საუკუნე იქნება ეს, თუ მე-20, რომ ბარბაროსობას, ვანდალიზმს წელთაღრიცხვა და საზღვარი არ გააჩნია, რომ ძველი თუ ახალი დროის მტარვალნი თავისი ბუნებით ერთარსნი, ერთმანეთისგან განუყოფელნი არიან – მიუხედავად წარმომავლობისა, ადგილისა თუ მასშტაბისა. მსგავსი საზარელი ხოცვა-ჟლეტა მშვიდობიანი, უდანაშაულო მოსახლეობისა ხომ სულ აგერ, ჩვენ თვალწინ მოხდა გაგრაში, სოხუმსა თუ გალში, მხოლოდ იმის გამო, რომ მსხვერპლნი – ქართველები იყვნენ! ყველაზე საშინელი მაინც ის გახლავთ, რომ მომხდური ყოველთვის ცდილობდა ჩვენივე ხელით დავემარცხებინეთ, ანუ ციხე შიგნიდან გაეტეხათ და უმეტეს შემთხვევაში აღწევდნენ კიდეც მიზანს, ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ. ვინაიდან ჩვენი ისტორიული სენი შაღიმანობა, ზურგში მახვილის ჩაცემა და პირველობის ჟინი ანუ „უჩემოდ ვით იმღერეთა“ – ვერა და ვერ მოვეიშლია დღემდე. „კლასიკური“ მაგალითი ამ მხრივ გახლავთ კრწანისის ომიც. გმირ მეფე ერეკლეს, რომელმაც ხუთი ათასი კაცი ძლივს გამოიყვანა საომრად, ორი ამდენი ჩასაფრებული ჰყავდა და უცდიდნენ, როდის დამარცხდებოდა კახთა ბატონი და „ქართლის მამინაცვალი“ ანუ ქართლის ტახტის „უზურპატორი“, რომ თავად ჩაეგდოთ ხელში ძალაუფლება, ხოლო ის გარემოება, თბილისის მოსახლეობა, ხუთი ათასი რჩეული ვაჟკაცი – გმირი სამასი არაგველის ჩათვლით და საერთოდ, მთელი ქვეყანა რომ შეეწირებოდა მათ „სამართლიან“, უგუნურ, ბრიყვულ პოლიტიკას ანუ პატივმოყვარეობას, – ეს სულაც არ ადარდებდა არც ერთ მათგანს. ანდა, რას დაგიდევდნენ ეს ვითომცდა „კანონიერების“ დამცველნი, ერის „მოჭირნახულენი“ იმას, რომ მოხუცი ერეკლეს დამარცხებით მარცხდებოდა მათთვის პირადად ესოდენ საძულველი პიროვნება კი არა მხოლოდ, არც მარტოდენ ქართლ-კახეთი, – არამედ სრულიად საქართველო; რომ თბილისის დარბევით, მისი მოსახლეობის გაჟლეტით გულს აცლიდნენ მთელ ქვეყანას.

დიახ, გარნისთან დამარცხებაც ძვირად დაუჯდა არა მარტო თბილისს და აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ მთელ ქვეყანას. ამ დამარცხებამ საბედისწერო როლი ითამაშა მონღოლების წამლეკავი შემოსევის წინ.

როგორც აღვნიშნეთ, ჟამთააღმწერელი ცდილობს ახსნას ამ დიდი ტრაგედიის მიზეზ-სათავე. შურის გარდა, მას მიაჩნია, რომ „ქართველნი განძღეს და იშვებდეს და უწესობად მიდრკეს სიძვათა შინა და მთვრალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისა-ღირსნი და ამ კარსა ზედა მყოფნი“. ე.ი. სამეფო კარზე თანამდებობანი ხელში ჩაუგდიათ უღირს პირებს. რაკიღა თამარ მეფის მიერ „უშფოთველად და წყნარობით“ დანატოვარ სამეფოს ყოველნი მახლობელნი და ყმადნაფიცნი მოხარკედ შეექმნენ, რაკიღა მოწინააღმდეგე არავინ ეგულებოდათ, ლაშა გიორგი და სამეფო კარი „უმეტეს ამისთვის გალაღებულ იქმნა“, დღედაღამ ლხინობდნენ, სვამდნენ, მღეროდნენ, ნადირობდნენ „დედათა უწესოთა თანა აღრევითა“-ო. დავით აღმაშენებლის მემატიანემ იცის, რომ რა ჟამს ქართველნი განდიდდებიან, განსუქდებიან, დიდებას ჰპოვებენ, ეძლევიან განსვენებას, იწყებენ ბოროტის განზრახვას, ხოლო ვინაიდან ბუნება ქართველთა თურმე „ორგულ არს პირველითგანვე თვისთა უფალთა“, დავით აღმაშენებელმა, ისევე როგორც თამარმა: „არაოდეს მოაცალა ამისად განზრახვად ანუ განსუენებად, ან შეკრბად და ქმნად რასამე ესვითარსა“. თავად დავითი სხვას ხომ არ აძლევდა საშუალებას განსვენებისთვის, თვითონაც არ იცოდაო ძილი და მოსვენება, არ იცოდაო, რა იყო ნებიერობა, სიამოვნება ხორცთა, „არც სასმელ-საჭმელთა, არც სიმღერა-სიღოდათა... არარა ხორციელთა შეაკრა გონება, გინა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა დასრულებად უდებებად მზიდველთა ნებისათა“. ამიტომაც ჰქონდა ესოდენი ძლევანიო, ასკვნის მემატიანე. ანდა როგორ შექმნიდა ესოდენ ძლიერ სამეფოს: „ნუუკვე ძილითა ანუ ადგილთა მწვანილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შემდგომითა? არა, ესრეთ არა!“ მემატიანის პათეთიზმი გასაგებია, მაგრამ საგულისხმო ის გახლავთ, რომ ის თითქოს წინასწარ ჭვრეტს, რა მოელის ქვეყანას, როცა ასეთი მმართველი არ ეყოლება მას. თამარ მეფე, ლაშა გიორგის და რუსუდანის დედა, თავისი დიდი წინაპრის კვალს მიჰყვებოდა. მემატიანენი გვამცნობენ თამარის განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობის ამბავს. გარდა იმისა, რომ ყოველ ღამე მღვიძარობდა, ლოცვა, მუხლთდრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა მიმართ გასაოცარი ჰქონდა, ღამითვე ხელსაქმობდა და თავის ნახელავს ურიგებდა ბერ-მონაზვნებს და გლახაკთ. თავისი დიდი პაპასავით, დაუძლურებულთ, სნეულთ და გლახაკთ თვით აკითხავდა ქსენონში, „ნუგეშინის ცემად და თვით განუმზადებდა ცხედართა და სარეცელთა“. ქვეღამზიდველმა საწუთრომ ვერანაირი ბიწი ვერ მოსცხო მზეთამზე თამარსო, გარდარეულ სიმდიდრესა, დიდებათა და სიმაღლეთა შინა მყოფს, თავი ისე ეჭირა, თითქოს არარაი ჰქონებოდა, ყოველთა კაცთა უდარეს და უგლახაკესად შერაცხა თავი თვისი, რამეთუ მტკიცედ უწყოდა, რომ „შიშუელი გამოვედ დედის მუცლიდან ჩემითგან და შიშუელსა მეგულების წარსვლად“. დავითის და თამარის საქართველო „ნიკოფსიით დარუბან-

ღამდის“ გადაჭიმული, თავის დროისათვის არცთუ მცირერიცხოვანი მოსახლეობით — მარტოდენ სამხედრო უძლეველობით, პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერით როდი იყო გამორჩეული — იგი თავისი სულიერი კულტურით, სახარებისეული ზნეობითა და მორალით იდგა უმაღლეს დონეზე და ესოდენ წინარესად, განპირობებული იყო ქვეყნის საჭეთმპყრობელთა ქრისტიანული ზნესრულობითა და ღიდბუნოვნებით.

სულ სხვა სურათს ვხედავთ ლაშა გიორგის და რუსუდანის დროს. შესაძლოა, ჟამთააღმწერელი ერთობ მუქად ხატავს იმდროინდელ ვითარებას, შესაძლოა, მისი მეფასებანიც მეტისმეტად მკაცრი იყოს როგორც ფიქრობენ მკვლევარნი, მაგრამ ჟამთააღმწერლისათვის უმთავრესია, რომ ჩვენი ცოდვების გამო განვიწირენით ღმრთისა მიერ, დავივიწყეთ ღმერთი და „ღმერთმანცა სამართლად დაგვივიწყა ჩვენ“ და ამიტომაც: „ვინ გამოთქვა თითოეულად, რომელი ღღეთა ჩვენთა მოიწია ჭირი“.

არის რაღაც ბედისწერისეული, განგებისმიერი იმ ამბავში, რომ თამარის ვაჟის, ლაშა გიორგის აღმზრდელად ივანე ათაბაგი გვევლინება, ხოლო დავით აღმაშენებლის სულიერი მამა და მისთა საქმეთა თანამზრახველი — გიორგი ჭყონდიდელია.

ლაშა გიორგი პიროვნულად დიახაც საინტერესო ფიგურაა ჩვენს მეფეების გალერეაში: „იყო ტანითა ძლიერი, მხნედ მოისარი, ნადიმობათა შინა მოსწრაფე, ლაღი და თვითბუნება“, პიროვნება, რომელიც — „მონისაცა ერთისა მათრახის არდამკვრელი“ ყოფილა. იგი რენესანსული სულის მატარებელი ჩანს თავისი ღირსებითა თუ ნაკლით. ე.ი. ლაშას პიროვნების შეფასებაში არის განსხვავებული აზრი, სრულიად საპირისპირო ჟამთააღმწერლის პოზიციისა. ივანე ბაგრონიშვილის „ისტორია ქართლისა“-ში, რომელიც 1911 წლიდან არის ცნობილი, სულ სხვანაირად, ჟამთააღმწერლისაგან განსხვავებულად არის აღწერილი ლაშა გიორგის დაქორწინების, თვალის დაკარგვის ამბებიც, უცნობ წყაროზე დაყრდნობით, იოანე ბაგრონიშვილი ერთობ მიმზიდველ სახეს წარმოაჩენს ლაშა გიორგისა, მაგრამ ასეა თუ ისე, ჟამთააღმწერელია მართალი თუ უცნობი წყარო, ერთი რამ თვალნათლად ჩანს: დავით აღმაშენებლის დროს იწყება საქართველოს აღზევება და განდიდება, ლაშა გიორგის დროს კი — მისი დაცემა და დაკნინება. დავით აღმაშენებელი თავის უპირველეს მოვალეობად და ცხოვრების დანიშნულებად მიიჩნევდა ქვეყნისა და ერისთვის თავდადებას, მათზე ფიქრსა და ზრუნვაში ათენ-ალამებდა, ხმალჩაუგებლად იბრძოდა და იღვწოდა ქვეყნის საკეთილდღეოდ, ხოლო მის შორეულ შთამომავალს ჟამთააღმწერლის თქმით, რინდებთან ღრეობისას ვიღაც ვიგინდარამ თვალი წამოსთხარა. დავით აღმაშენებელმა და თამარმაც ქვეყნისა და ერისთვის ბევრი რამ პირადული დასთმეს, ლაშა გიორგიმ კი თავის პირადულ გრძნობას ანაცვალა სამეფოს ინტერესები: მან თავის ცოცხალ ქვეშევრდომს ცოლი წაართვა და ამით უზნეობის მაგალითი მისცა ერს. აკი ამიტომაც ქართულმა ეკლესიამ, ჟამთააღმწერლის თქმით, დაგმო მეფის უკადრისი საქციელი და არ დართო ნება ექორწინა თავისი ცოცხალი ქვეშევრდომის მეუღლესთან, რამეთუ „ქორწილ წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ, ხოლო მსიძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“.

დავით მეფე ჩახედული იყო არა მარტო ახლო-მახლო ქვეყნების, არამედ შორეული სახელმწიფოების შინაურ თუ საგარეო საქმეებში, მაშინ, როდესაც ლაშა გიორგისდროინდელ სამეფო კარს „გამოეპარა“ ისეთი მოვლენები, რაც ახლო აღმოსავლეთში ხდებოდა მონღოლების გამოჩენით, შემდგომში ესოდენ ტრაგიკული რომ აღმოჩნდა საქართველოსთვის.

უფრო საკვირველი კიდევ ის გახლავთ, რომ მონღოლებთან პირველი შეტაკებისა და მწარე მარცხის შემდეგაც, ქართულ სამეფო კარს თითქოს ყური არ შეუბერტყავს. მათ ვერ გაიაზრეს ის საშინელი უბედურება, რაც საქართველოს ემუქრებოდა მონღოლების სახით.

ამდენად, გარნისის ტრაგედია სავსებით კანონზომიერად გამოიყურება ყოველივე იმის ფონზე, რაც მაშინ ხდებოდა საქართველოში და, კერძოდ, მის სამეფო კარზე.

* * *

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, სისხლში გაგიხამებიაო“, ამ სიმღერას, უფრო სწორად, დატირებას, აგერ უკვე მერვე საუკუნეა ომახიანად მღერის ხალხი, მღერის, რადგან წმინდა შალვამ და მისმა თანამებრძოლებმა გმირულად შესწირეს თავი საქართველოს თავისუფლებას და ისინი დღესაც მაგალითს გვაძლევენ იმისა, თუ რა არის ჭეშმარიტი გმირობა, რა არის ზნესრულობა და ზნეკეთილობა იმ ფარსის ფონზე, როცა უზნეობა, პირადი სურვილებისა და მიზნების უპირატესობა, ღალატი, ფსევდოპატრიოტიზმი და ფარისევლობა, შურიანობა და სიმხდალე მავანთა ლამის არის ზნეობრივ გმირობად მოინათლოს.

საუკუნეთა სიღრმიდან წმინდა შალვა თორელის სული, მისი შავლეგო ბიჭები თითქოს გვაფხიზლებენ და ზარს არისხებენ: გონს მოეგეთ, თანამოძმენო! ნუღარ განარისხებთ კვლავაც ღმერთს, რამეთუ იგი გულთამხილავია და უწყის ყოველივე, ვინ რითი სუნთქავს, ვის რა ზრახვა უდევს გულში, ვინ ინიღბება ერის სიყვარულით და ვის ნამდვილად წრფელად, უანგაროდ შესტკივა გული თავისი ქვეყნისათვის, ხოლო ვინ თავის ციდამტკაველურ, პიროვნულ ინტერესებს ანაცვალებს ქვეყნის ინტერესებს.

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, სისხლში გაგიხამებია, მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, მაშველი არ გჭირდებოდაო“...

გულისშემძვრელად არის ნათქვამი: მაშველი არ გჭირდებოდაო. არადა, სჭირდებოდა და მერე როგორ! მაგრამ ასეთ ომში წაგება ერის მიერ აღიქმება უფრო გმირის პიროვნულ დამარცხებად და არა ვინმეს ღალატის შედეგად, რადგან ამგვარ ომში ღალატი — მაშველის არ მიშველება — წარმოუდგენელი ჩანდა ქართველი კაცის ბუნებისთვის. მერე და მერე, ქვეყნის დაცემისა და დაკნინების კვალობაზე ბევრი რამ მწარე და საშინელი — სინამდვილედ იქცა და მაინც... ზნეობრივი გმირობის საზომი არ შეცვლილა, თუმც კი იქნებ რამდენადმე შეილახა.

„შავლეგოს“ დღესაც მღერის ქართველი და იგი ლამის არაოფიციალურ ჰიმნადაც იქცეს, თუმც, შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ ეს სიმღერა — რეკვიემია შალვა ახალციხელის და მრავალი სხვა უცნობი ვაჟკაცისა, გარნისის ომში რომ დაეცნენ გმირული სიკვდილით და რომ იგი მართლაც სადიდებელი ხოტბაა იმ მამულიშვილებისა, „წამების გვირგვინით რომ იდიდა“...

**ციალა არდაშელია.**

---

იუბილე

# ნოვატორი მხატვარ-სცენოგრაფი

## გიორგი გუნია — 60



იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელშიც ასე ორგანულად, ჰარმონიულად იყოს შერწყმული მრავალი უნარი და ტალანტი.

ჩემთვის ბატონი გოგი, ჩემი ძვირფასი უფროსი მეგობარი, ასეთ განსაკუთრებულ, ჰარმონიულად განვითარებულ, ჩამოყალიბებულ, მთლიან, თითქმის მონოლითურ პიროვნებას განასახიერებს.

მე წილად მხვდა ბედნიერება მის გვერდით ვყოფილიყავი ათ წელზე მეტ ხანს მხატვართა კავშირში, თეატრალურ ინსტიტუტში, დელფიურ საბჭოში და ა.შ.

ზუსტი ალღო, ფართო ერუდიცია, სამართლიანი, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ზუსტი უნარი. განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი, თანამედროვე ხელოვნების,



მხატვრობის, თეატრის, ლიტერატურის სფეროში ზუსტი ორიენტირება ბატონი გოგისთვის დამახასიათებელი თვისებაა. განსაკუთრებული ობიექტურობა, მოვლენათა სწორად და არსებითში წვდომა-შეფასება-წარმართვის უნარი — აი, ეს ყოველივე მაოცებდა და მაოცებს, მხიბლავს მასში როგორც ორგანიზატორსა და შემოქმედებითი იდეებით აღვსილ ადამიანში.

წარმოუდგენლად დატვირთული და მრავალფეროვანია ბატონი გოგის მოქმედებათა და ინტერესთა არეალი. იგი იშვიათი გემოვნების, ტაქტის მოხმობით, ბრწყინვალედ მოღვაწეობს როგორც მხატვარ-სცენოგრაფი. მართლაც შესანიშნავია მისი სცენოგრაფიული პროექტები და ხორცშესხმული სპექტაკლები როგორც თბილისში, ასევე საზღვარგარეთ. ჩემი აზრით, აქ, ამ სფეროში ნათლად ჩანს, რომ ბატონი გოგი განსაკუთრებული რეჟისორული ტალანტით არის დაჯილდოებული. იგი სცენას, მის დეკორაციას იაზრებს არა როგორც მხოლოდ ერთგვარ დამხმარე საშუალებას, არამედ ქმედება-დრამის წამყვან და მძლავრ შინაარსობრივ კომპონენტს. ამ თვალსაზრისით მისი სცენოგრაფიული აზროვნება ნოვატორულია და ორგანულად უკავშირდება კონცეპტუალური სახვითობის პრინციპებს, რომლის დამკვიდრებაც საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ბატონი გოგი იწყებდა თეატრში მოღვაწეობას, როგორც სცენოგრაფი. მე მინახავს და ვიცი, თუ როგორი პედაგოგია ბატონი გოგი, როგორ მუშაობს იგი ახალგაზრდებთან, მას აქვს უნარი ძალზე ლაკონურად, ზუსტად, ძუნწი შტრიხებით უთხრას დამწყებ მხატვარს ძირითადი სათქმელი, გაურკვიოს და გააგებინოს ძირითადი პრინციპები, აპოვნინოს საკუთარი გზა.

ასე რომ, ბატონ გოგის თამამად შეუძლია თქვას, რომ იგი ერთგვარი და განსაკუთრებული სცენოგრაფიული სკოლის შემქმნელია და ამის უშუალო მოწმე მეც გახლავართ.

შთამბეჭდავი და მასშტაბური გახლდათ ბატონი გოგის მოღვაწეობა მხატვართა კავშირის საორგანიზაციო სფეროში. თითქმის წარმოუდგენელია ზუსტი აღწერა და გადმოცემა ბატონი გოგის წმინდად საგამოფენო, კონცეპტუალურ-საექსპოზიციო სამუშაოს მასშტაბისა. მის მიერ გახლდათ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სამხატვრო ორგანიზაცია საქართველოში „ჯორჯიან არტი“, რომელიც მიუხედავად თავისი არსებობის მცირე დროისა, რაც ჩვენი ქვეყნის უმძიმეს, კოლიზიებით და კონფლიქტებით დატვირთულ პერიოდს დაემთხვა, მრავალი წამოწყების თუ აქციის თაოსანი გახლდათ. ბატონმა გოგიმ ჩაუყარა საფუძველი თბილისის საერთაშორისო სამხატვრო ბიენალეს — „ფიროსმანს“. იგი თაოსანია სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო, რეგიონული თუ ლოკალური ტიპის აქციის, კოლოკვიუმი, კონფერენცია, პერფორმანსი და ა.შ. ახლახან მირზაანში დასრულდა მის მიერ ზუსტად გააზრებული მხატვართა საერთაშორისო სიმპოზიუმი-ვორკშოპი.

იგი გახლავთ აგრეთვე საერთაშორისო დელფიური მოძრაობის საქართველოს განყოფილების ინიციატორი და ამ საერთაშორისო მოძრაობის საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბატონი გოგის ინიციატივით თბილისში და საქართველოში გაიმართა პირველი საყმაწვილო დელფიადა და მეორე დელფიური კონგრესი.

ასევე უმნიშვნელოვანესია ბატონ გოგის ღვაწლი ზოგადად კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული მართვის სფეროში. სიმართლე გითხრათ, მე სრულად და ამომწურავად არცკი ვიცი, რამდენ და რა რაოდენობით სფეროს მოიცავს ბატონი გოგის დიდი ტალანტი და ინტერესთა სფერო. მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ მისი, როგორც პიროვნების ინტერესთა მასშტაბი, პირდაპირი გამოხატულებაა მისი დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობებისა, რომელიც უდავოდ მისი ოჯახის მდიდარი ტრადიციებიდანაც მომდინარეობს და იღებს სათავეს.

სიმართლე გითხრათ, როდესაც ჩემს გამოფენას ვაწყობ, ყველაზე მეტად მაღელვებს ხოლმე ბატონი გოგის შეფასება, იმიტომ, რომ ვიცი, არასდროს, თითქმის არასდროს შემცდარა, არც მომატყუებს ყალბი ქათინაურებით და, რაც მთავარია, სასიკეთო შენიშვნას, მითითებასაც მომცემს ყოველგვარ უსიამოვნო „მინარევად“. ამ უნარითაც იგი იშვიათი პიროვნებაა.

ბატონი გოგი გულანთებული პატრიოტია, მე მახსოვს იგი 9 აპრილის დღეებში და შემდგომაც, როდესაც თვალს ვავლებ ხოლმე მის კარგად მოფიქრებულ ქმედებებს და მონაწილეობებს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა, კოლოკვიუმებსა და კონფერენციებში.

ყველა სიკეთესთან ერთად ბატონი გოგი ხუთი შვილის მამა და შესანიშნავი მეუღლეა.

თუკი ამას აქვს რაიმე მნიშვნელობა, მე მინდა გამოვუტყდე ბატონ გოგის, რომ იგი ძალიან მიყვარს და ულრმეს პატივს ვცემ, მინდა, რომ იყოს ჯანმრთელად, დიდხანს არ დაკარგოს შემოქმედებითი შემართება, ანალიტიკურ-ინტელექტუალური ინტერესების მასშტაბი.

გულით და სულით ვულოცავ დაბადების 60 წლისთავს და ვიტყვი, რომ ეს ასაკი ბატონი გოგისთვის ბევრი სრულებითაც არ არის, რადგანაც იგი ალსავსეა კეთილი, გრანდიოზული იდეებით, მიზნებით, ინტერესებითა და სიყვარულით, იგი ხომ შინაგანად ძალზე ახალგაზრდაა, ამიტომ ყოველთვის გახსნილია სიახლისათვის.

ბედნიერი იყავი, ჩემო ძვირფასო გოგი, მე ვიცი, რაც ვთქვი, ეს ძალზე ცოტაა იმასთან შედარებით, რაც მინდოდა მეთქვა.

**გია ბუღაძე.**

წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე

# „თბილისის ქუჩებში ხეტიალი მინდა“

## შტრიხები ჯემალ სეფიაშვილის პორტრეტისათვის



კომპოზიტორი – მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, ან ადამიანი, რომელიც მუსიკას ქმნის...

პოპულარული კომპოზიტორი – პოპულარული მუსიკალური ნაწარმოების (ან ნაწარმოებების) ავტორი, ანუ, ადამიანი, რომლის მუსიკა მოსწონს და უყვარს ხალხს, რომლის ნაღვაწს აფასებენ და აღიარებენ, რომლის თხზულებებს ასრულებენ და უსმენენ...

სწორედ პოპულარული კომპოზიტორია ჯემალ სეფიაშვილი – შემოქმედი, რომლის სიმღერებს აჟღერებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები და რომელსაც არასოდეს მოჰკლებია აუდიტორია.

ხშირად სერიოზული შემოქმედებითი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე ის კომპოზიტორები, რომელთაც კარგად არა აქვთ გაცნობიერებული ჟანრი (ან ჟანრები), რომელშიც მათ მეტად ხელეწიფებათ მოღვაწეობა და ამგვარად, ზოგჯერ მათი ზოგიერთი თხზულება ვერ იმკვიდრებს ხოლმე სათანადო ადგილს შემსრულებელთა რეპერტუარში, რაც, რასაკვირველია, მტკივნეულია შემოქმედისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ამგვარი პრობლემა არასოდეს წამოჭრილა ჯემალ სეფიაშვილის წინაშე, რადგან მან სამოღვაწეოდ იმთავითვე აირჩია საესტრადო მუსიკის ასპარეზი და მისმა სიმღერებმა გაცილებით უფრო ადრე მოიპოვა პოპულარობა და დაიპყრო მსმენელი, ვიდრე იგი დიპლომირებული კომპოზიტორი გახდებოდა. დიახ, მისი პირველივე სიმღერები, მათ შორის „სიყვარულის სანთლები“ (ც. კაკაბაძის ლექსზე), „დაშვებული ფარდები“ (მ. ფოცხიშვილის ლექსის მიხედვით), რომლებიც მსმენელმა 60-იანი წლების დასასრულს გაიცნო, დამკვიდრდა საკონცერტო პროგრამებშიც და აღიარებაც მოუტანა ახალგაზრდა ავტორს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯემალ სეფიაშვილმა თავდაპირველად სპეციალობად ინჟინრობა აირჩია და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯერ ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, შემდეგ კი ასპირანტურა – ელექტრონული გამოთვლითი მანქანების განხრით დაამთავრა (ცოტა ხანს სპეციალობით იმუშავა კიდეც), მუსიკის სიყვარულმა სძლია და 1970 წლიდან 17 წლის მანძილზე საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტში იღვაწა მუსიკალურ რედაქტორად, სადაც მისი ავტორობით უამრავი გადაცემა მომზადდა და გადაიცა ტელე თუ რადიო არხებით. განსაკუთრებით პოპულარული გახლდათ ყოველკვირეული რადიო-პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან“. რასაკვირველია, ჯემალ სეფიაშვილს მუსიკის შექმნისათვის არც ამ პერიოდში უღალატია, რადგან მუსიკა, მუსიკის სიყვარული მისი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო (და არის!). ამასთანავე, ჯემალ სეფიაშვილი გამუდმებით მაძიებელი ხელოვანია და ამიტომაც, მის შემოქმედებით პროცესს ინტენსიურობა, ხოლო საკომპოზიტორო მემკვიდრეობას მუდმივი ზრდა და გაფართოება გამოარჩევს.

1980 წელს ახალგაზრდული სიმღერების ორი ციკლისათვის – „ჩვენ, საქართველოს ახალგაზრდობა“ და „ოჰ, ეს სტუდენტობა“, მას საქართველოს კომკავშირის პრემია მიენიჭა (რაც, იმჟამად, დიდი წარმატება იყო!), თუმცა, ეს ჯემალ სეფიაშვილის შემოქმედების პირველი აღიარება არ გახლდათ, რადგან, 1968 წლიდან დაწყებული, მისი თითქმის ყველა სიმღერა წლის საუკეთესო სიმღერათა შორის იმკვიდრებდა ადგილს. 1984 წელს კი ჯემალ სეფიაშვილმა თბილისის კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტი დაამთავრა და კომპოზიტორის დიპლომსაც დაეუფლა.

განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ჯემალ სეფიაშვილისათვის 1989 წელი... იმ ავადმოსაგონარ მოვლენებს, რომლებიც იმჟამად ჩვენს ქვეყანაში დატრიალდა, ერთ-ერთი პირველი სწორედ ბატონი ჯემალი გამოეხმაურა თავისი შედევრით – „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“. მორის ფოცხიშვილის ლექსზე დაწერილმა ამ ბალადამ, მართლაც, გააერთიანა, ერთ მუშტად შეკრა ხალხი. „ტიტები“, გარდა იმ 62 მომღერლისა, რომელთაც პირველად შეასრულეს ეს სიმღერა, უმალვე აიტაცა სრულიად საქართველომ, მის მელოდიას მღეროდა ყველა, დიდი თუ პატარა... სწორედ ამ წელიწადს მიენიჭა ჯემალ სეფიაშვილს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება და საქართველოს სახელმწიფო პრემია („ხუთწლედის მატიანე“).

ნიჭი ღვთისაგან ბოძებული მადლია და თუ ამ მადლით ცხებული ადამიანი შრომისმოყვარეობას არ დაიშურებს და მიზანმიმართული სწრაფვის უნარიც შესწევს, საუკეთესო შემოქმედებითი შედეგების მიღწევაც რეალობად იქცევა. ჯემალ სეფიაშვილმა ამ შედეგებს მიაღწია.

მაინც, რა ხიბლი გამოარჩევს მის მუსიკას? უწინარესად – მელოდიურობა, მის ქმნილებებში არასოდეს შეინიშნება მელოდიკის დეფიციტი, მათ მართლაც შთამბეჭდავი მელოდიურობა გამოარჩევს, სწორედ იმგვარი, მსმენელთა ემოციებითაც იგი ხოტბას ასხამს მარადიულ ფასეულობებს – სიყვარულს, სილამაზეს, მეგობრობას, საქართველოს, თბილისს... და ყოველივე ეს ხორცშესხმულია გრძნობათა სიმართლით, სიწრფელით, უშუალობითა და ბუნებრიობით. ეს კი არ არის გასაკვირი, რადგან ჯემალ სეფიაშვილი მიიჩნევს (და სხვათა შორის სრულიად მართებულადაც!), რომ მისი შემოქმედებითი მრწამსი სწორედ გულწრფელობაა. ამიტომაც არის იგი

ურ სიმებს რომ მუხტავს და აღიბეჭდება აზრსა და გრძნობაში. ამიტომაც არის მისი შემოქმედება მისაწვდომი და დემოკრატიული. გარდა ამისა, ჯემალ სეფიაშვილის სიმღერებს ფართო აუდიტორიისაკენ მიმავალი გზის გაკაფვაში დიდად უწყობს ხელს პოეტური ტექსტები, რომელთა შესაბამისად სიმღერებიც მრავალფეროვანია თემატურად და შინაარსობრივად. სასიმღერო ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვისა და ჰანგის ურთიერთობას. ეს ორი საწყისი ფრიად შეხმატკბილებულად არის შეჯერებული ჯემალ სეფიაშვილის სიმღერებში, რო-

# სცენის დედოფალი

## საუბრები ირმა ნიორაძეზე



ქართულმა საბალეტო სკოლამ კარგა ხანია განსაკუთრებული ფენომენის სახელი მოიპოვა და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობაში. ჩვენმა ქვეყანამ არაერთი ჭეშმარიტი ტალანტი შესძინა ამ მართლაც ნატიფ ხელოვნებას. ქართული ბალეტის დიდმა არტისტებმა, სცენის საოცარმა მშვენებებმა მთელი ეპოქები შექმნეს ქართულ კულტურაში – თუნდაც ვერა წიგნაძისა და ვახტანგ ჭაბუკიანისეული როლები განსაკუთრებული განზომილება არ იყო ხელოვნებაში?!

თაობათა ცვლას ნებისმიერ სფეროში გარკვეული კორექტივები შეაქვს და მით უმეტეს სასიხარულო და საამაყოა, როდესაც ახალი თაობის წარმომადგენლებს არათუ ხელეწიფებათ დამკვიდრებული ტრადიციების შენარჩუნება, არამედ თავიანთი მოღვაწეობით ახალ მწვერვალებსაც იპყრობენ და შემდგომი თაობებისათვის ნოყიერ შემოქმედებით ასპარეზსაც ქმნიან. დიახ, ქართული საბალეტო ხელოვნება ვითარდება, ამაღლების გზაზეა შემდგარი და მუდმივად ზეიმობს ახალ წარმატებებს. მას კარგად იცნობენ ჩვენშიც და ღირსეულ პატივს მიაგებენ ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. დღეს ქართულ ბალეტს საუკეთესო დესპანები ჰყავს, რომლებიც ჩინებულად აცნობენ მსოფლიოს ქართულ პლასტიკას, არტისტიზმს, ნიჭიერებას, ქართველთა სილამაზესა და მომხიბვლელობას.

ერთ-ერთი ასეთი დესპანი ირმა ნიორაძე გახლავთ, შესანიშნავი ქართველი ბალერინა, ამჟამად სანქტ-პეტერბურგის ძალზე ცნობილი და პრესტიჟული მარიამის თეატრის სოლისტი, პრიმა ბალერინა, მსოფლიოს საუკეთესო თეატრების სასურველი სტუმარი. ირმა ნიორაძე – მრავალმხრივი არტისტი, რომლის მიერ შესრულებული როლები გმირთა სახეობრივ-ემოციურ გააზრება-ხორცშესხმის ბრწყინვალებით, რაფინირებული დახვეწილობით, ზოგჯერ უნაზესი პოეტური ლირიკით, ზოგჯერ კი, ფილოსოფიური დრამატიზმით, ტრაგიკული პათოსით ახსომდება მაყურებელს. მის მიერ შესრულებული ნებისმიერი პარტია სრულყოფილია და სრულქმნილი, რადგან ირმა „ქორეოგრაფიულ ენაზე მეტყველების“ ჭეშმარიტი დილოსტატია. ირმას შემოქმედებით აღმაფრენას აღტაცებაში მოჰყავს ბალეტის სპეციალისტებიც და საბალეტო ხელოვნების თაყვანისმცემლებიც, ვფიქრობ მის წინაშე კიდევ მრავალი წარმატაცი ჰორიზონტია გადაშლილი, რომლებსაც ქართველი ბალერინა სწორუპოვრად დაძლევს და უფრო მეტ თაყვანისმცემელსაც შეიძენს.

და კიდევ ერთი შესანიშნავი, მისასალმებელი თავისებურება – მიუხედავად იმისა, რომ ირმას შემოქმედებითი ცხოვრება ინტენსიური მდინარებით გამოირჩევა, მისი გეგმები მუდამ მრავალფეროვანი და გადატვირთულია, იგი არ ივიწყებს არც საქართველოს, არც მშობლიურ თეატრს და მაყურებელს და ამიტომ, შეძლებისდაგვარად საკმაოდ ხშირად ჩამოდის ხოლმე „გასტროლებით“ სამშობლოში. რაც ბუნებრივია, რადგან ირმა ნიორაძე იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც უცხოეთშიც ამაყობენ თავიანთი წარმომავლობით – ქართველობით და თავიანთი ღვაწლით სამშობლოს სახელს ადგამენ ბრწყინვალების გვირგვინს.

სამშობლოს, ქართული ხელოვნების სიყვარული და ერთგულება მუდამ განუყოფელი თვისება იყო ირმასი, რასაც მისი ბიოგრაფიის ერთი დეტალიც ცხადყოფს – ლენინგრადის აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ (სადაც სწავლა ჩვენი ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ირმამ განაგრძო), მას ჰქონდა სხვადასხვა მიწვევები, მაგრამ ახალგაზრდა ბალერინამ სამოღვაწეოდ მაინც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი აირჩია, სადაც გარკვეულ ხანს დაჰყო კიდეც და არაერთი როლიც შეასრულა (როგორც კლასიკურ რეპერტუარში, ასევე თანამედროვეშიც), სადაც მისი ოსტატობაც დაიხვეწა და დამწყები ბალერინა თანდათან ვარსკვლავადაც შეირაცხა და მხოლოდ ამის შემდეგ, სამშობლოსადმი ერთგვარად „ვალმოხდილი“ეწვია სანქტ-პეტერბურგის მარიამის თეატრს, სადაც დღემდე გრძელდება მისი აღმასვლა. ეს მიწვევა მნიშვნელოვანწილად განაპირობა გამარჯვებამ ჯექსონის კონკურსში (ალბათ, დანიის სამეფო თეატრში გავლილმა სტაჟირებამაც), რომლის შემდეგაც ფარუხ რუზიმატოვის და ოლეგ ვინოგრადოვის მიწვევით ირმა დამკვიდრდა ამ თეატრში.

აი რა აზრის არიან ირმა ნიორაძის შესახებ მისი აღმზრდელები.

**ბარამ ბარამიძე** – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი:

„ირმას პირველი ნაბიჯებიდანვე ეტყობოდა, რომ მას დიდი შემოქმედებითი მომავალი ელოდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირველი შთაბეჭდილება, განსაკუთრებით თუ ის აღმაფრთოვანებელია, მცდარი გამოდგება ხოლმე. ასეთი რამ ირმა ნიორაძის მიმართ არ მომხდარა – მისი ოსტატობა, არტისტიზმი დღითი დღე მატულობდა. მისი პირველი აღმზრდელი ხუთი წლის მანძილზე ნინო დიდებულიძე გახლდათ. შემდგომ, ირმას დაოსტატება სერაფიმა ვეკუას კლასში წარიმართა. იმავდროულად, მას ვახტანგ ჭაბუკიანთანაც მოუხდა შემოქმედებითი ურთიერთობა. ჩვენი სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ ირმა ნიორაძემ და იგორ ზელენსკიმ სწავლის გასაგრძელებლად, ოსტატობის დასახვეწად ლენინგრადის აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებელი აირჩიეს.

დღემდე ნათლად მახსოვს ზაფხულის ერთი დღე, როდესაც ჩემმა ლენინგრადელმა კოლეგამ, იქაური სასწავლებლის დირექტორმა, ბატონმა ნადიროვმა ირმას გამოცდის დამთავრებისთანავე დამირეკა და აღფრთოვანებულმა მომილოცა მეც და მთელ კოლექტივსაც ირმას წარმატება და ის, რომ ჩვენი კურსდამთავრებული საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყო.

სტაჟირების კურსის დამთავრების შემდეგ, ირმა ნიორაძე თბილისში დაბრუნდა და ჩვენს ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა. ქართველი ბალეტის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ მის მიერ საუკეთესოდ შესრულებული პარტიები, განსახიერებული როლები როგორც კლასიკურ რეპერტუარში, ასევე თანამედროვე საბალეტო დადგმებში. სხვათა შორის, რამდენიმე დადგმა საგანგებოდ მისთვის შექმნა გოგი ალექსიძემ.

მაგრამ, როგორც იტყვიან „ცდუნება დიდია“ და ირმას შემდგომი მოღვაწეობა კვლავაც სანქტ-პეტერბურგს, კერძოდ, მარიამის თეატრს დაუკავშირდა. სწორედ ამ თეატრის გასტროლების მეოხებით ირმა ნიორაძე უფრო კარგად გაიცნო უცხოურმა აუდიტორიამაც.

მისი შემოქმედებითი ავტორიტეტი დღითი დღე იზრდება. დღეს თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ირმა ნიორაძე მსოფლიოში აღიარებული მოცეკვავეა“.

**სერაფიმა ვეკუა** – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კონსულტანტი:

„ირმა ნიორაძეს, მომხიბლავ გარეგნობასთან ერთად, იმთავითვე გამოარჩევდა საუკეთესო საშემსრულებლო და არტისტული მონაცემები და გასაოცარი ნიჭიერება. ვფიქრობ, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი მიიწვიეს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თეატრში – სანქტ-პეტერბურგის მარიამის თეატრში, სადაც ირმა პრიმა ბალერინად დამკვიდრდა და საიდანაც მისი შეუდარებელი ხელოვნება მსოფლიომ გაიცნო.

იშვიათად შემხვედრია ბალერინა, რომელიც ირმა ნიორაძისამებრ მიმზიდველი და მომხიბლავია სცენაზე. ირმა სრულიად უნიკალური და უნივერსალურია ნებისმიერ სცენურ ამპლუაში, რაც, დამეთანხმებით, საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. მას თანაბრად ხელეწიფება როგორც დრამატული, ასევე ლირიკული როლების განსახიერება, მისეულ გმირებს მუდამ გამოარჩევს უჩვეულო გამომსახველობა, ფიქრიანობა და ინტელექტუალურობა, რაც ნათლად ცხადყოფს იმას, რომ ირმა ღრმა და მოაზროვნე მსახიობია.

ვისურვებ, რომ ირმა ნიორაძე დოდხანს იყოს ისეთი, როგორიც დღეს არის, თუნდაც იმიტომ, რომ უფრო ფართოდ გაუთქვას სახელი ჩვენს, ქართულ საბალეტო კულტურას“.

**გოგი ალექსიძე** – საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი ბალეტმაისტერი:

„ირმა ნიორაძესთან დიდი ხნის შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს, რომელიც ჯერ კიდევ მისი თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლის პერიოდიდან დაიწყო. ირმამ იმთავითვე მიიქცია ყურადღება ნიჭიერებითა და საოცარი შრომისმოყვარეობით, პროფესიის ფანატიკური სიყვარულის მეოხებით.

მისი შემოქმედება მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენაა ქართული საბალეტო შემსრულებლობის

პოპულარული, ამიტომაც უყვარს მისი თხზულებები ხალხს.

ეს სიყვარული კი, რამდენიმე თვის წინათაც გაცხადდა – მაშინ, როდესაც რიყეზე, ღია ცის ქვეშ გამართული მისი საავტორო კონცერტით ღირსეულად დაგვირგვინდა საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26-საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავი ღონისძიებები. ამ კონცერტს, რომლის სახელწოდება იყო „შალომ, ისრაელ, შალომ“ (მისი და მორის ფოცხიშვილის სიმღერის სათაურის შესაბამისად), ხომ ათასობით თბილისელი და დედაქალაქის სტუმარი დაესწრო და რომელზეც ჭეშმარიტი სიყვარულის, პატივისცემისა და მეგობრობის ატმოსფერომ დაისადგურა, სწორედ იმ ატმოსფერომ, რომელსაც შესტრფის კომპოზიტორი, ამასვე ცხადყოფდა იმ დღეს პირველად აჟღერებული მისი ახალი სიმღერებიც – „იმღერე ძმაო, სევდიანი ჩემი სიმღერა“, „ჩემი ცელქი ყვავილები“, „სტუმრად მეწვიე“. ერთ-ერთმა ახალმა სიმღერამ კი, სახელწოდებით „ლეჰაიმ“, რომელიც საგანგებოდ ამ დღესასწაულისათვის შეიქმნა პოეტ რეზო ამაშუკელთან ერთად, ორი ერის ძმობის ერთგვარი ჰიმნის მნიშვნელობაც შეიძინა.

აგერ, უკვე სამი წელიწადია, რაც ჯემალ სეფიაშვილი დიპლომატიურ სამსახურში იმყოფება – 1995 წლიდან მუშაობს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს მრჩევლად კულტურის საკითხებში, სადაც მისი საქმიანობის ძირითად მიზანს რუსულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა ფართომასშტაბიანი აღდგენა და გაფართოება წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად იგი აქტიურად იღვწის. მისი თაოსნობით არაერთი კულტურული ღონისძიებაც გაიმართა. უშუალოდ მისი ხელდასხმით განხორციელდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქციები, მათ შორის – ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „გორა მბორგალის“ რუსული ვარიანტის პრეზენტაცია, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის გასტროლები მოსკოვში, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა რუსეთისა და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლებს შორის.

ერთხელ, საუბრისას, ჯემალ სეფიაშვილმა აღნიშნა, რომ დიდი შემოქმედებითი ღელვის მიუხედავად, მისთვის მუდამ სასიამოვნო, საინტერესო, სასიხარულო და საამაყოა ქართველ მსმენელთან შეხვედრა. ბუნებრივია, რადგან მან ხომ ქართული აუდიტორია დაიპყრო და მსმენელთა ჭეშმარიტი სიყვარულით და აღიარებით სარგებლობს. მისასალმებელია, რომ იგი არ ივიწყებს პატივისმცემელ მსმენელს, და შეძლებისდაგვარად კონცერტებსაც მართავს ჩვენში. ჯემალ სეფიაშვილს ერთი საინტერესო ჩანაფიქრიც აქვს (რომელიც, ალბათ, განხორციელდება კიდეც), – გაისად, ცხრა აპრილს, სურს კონცერტის გამართვა სახელწოდებით „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები და სადაც უკვე პოპულარულ სიმღერებთან ერთად, კომპოზიტორი მსმენელთა სამსჯავროზე ახალ პროგრამასაც წარადგენს.

დიახ, ჯემალ სეფიაშვილი ჩვენთან არის, კვლავაც ეტრფის და ეფერება საქართველოს, თბილისს, კვლავაც მის „ქუჩებში ხეტიალი უნდა“, კვლავაც გვაიმედებს მომავლის იმედით, მომავალი შეხვედრებით მისეულ მშვენიერ ჰანგებთან.

**ზურაბ ოიკაშვილი.**

---

რეალობაში. ირმას ჩვენთანაც და სანქტ-პეტერბურგის მარიამის თეატრშიც დიდი წარმატებით აქვს შესრულებული საბალეტო კლასიკის და თანამედროვე ბალეტის ცნობილი პარტიები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ირმა ნიორაძის შემოქმედებითი ხელწერისათვის განსაკუთრებით მაინც თანამედროვე რეპერტუარი უფრო ახლობელია (თუმცა, მისეული კლასიკაც შესანიშნავია). მას ჩინებულად ხელეწიფება საბალეტო გრაფიკისა და იმპრესიონისტული ფერადოვნების ბუნებრივი ურთიერთშერწყმა, რაც მიახლანდელი პრიმაბალერინებისათვის. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მათგანი მართლაც უმაღლესი დონის მოცეკვავეა და რაოდენ სასიხარულოა, რომ ასეთ გარემოცვაშიც კი, ირმა განსაკუთრებულია. იგი ჭეშმარიტად წამყვანი, განსხვავებული სოლისტია, მართლაც ამ თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო ვარსკვლავი და გამორჩეული ბალერინაა“.

„ნიორაძის გამოჩენისთანავე ჩქეფას იწყებს ზეიმი – სცენას აღავსებს მზის ნათება“ – ამ სიტყვებით ახასიათებს კრიტიკოსი იულია იაკოვლევა „გა-



მოუცნობი“ ბალერინის გამოჩენას მარიამის თეატრის ბალანჩინისეულ დადგმაში „სიმფონია დო მაჟორი“.

სეულ ფორმებს განუმეორებლობის ელფერს სძენს. სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევა ირმას ხელწერა, რომელშიც გაჯერებულია დახვეწილი არტისტული ხედვა და სახეთა გამოძერწვის თავისთავადობა.

შეიძლება ითქვას, რომ ირმას ბედმა გაუღიმა, რადგან მას მოუწია მუშაობა თანამედროვე საბალეტო ხელოვნების კორიფეებთან. ამ ცოტა ხნის წინათ სანქტ-პეტერბურგის მარიამის თეატრში ორი ნომერი, კერძოდ, ბახის ქორალური პრელუდია და ალბენისის ტანგო დაედგი ირმასთვის. იქ ყოფნის დროს საშუალება მომეცა თვალყური მიმედევნებინა ამ თეატრის

* * *

თავის რჩეულ შვილთა და მათ შორის ირმა ნიორაძის მიღწევებით ქართულ საბალეტო ხელოვნებას შეუძლია იამაყოს და ამაყობს კიდეც. ირმას ნიჭიერება და ინდივიდუალობა, „რომელიც ვერ თავსდება ჩვეულ ამპლუათა ჩარჩოებში“, კიდევ მრავალ წარმატებას იზეიმებს.

**ზურაბ ოიკაშვილი.**

**მიხეილ როსტომაშვილის ფოტო.**

---

**შემოქმედი**

# კოტე მახარაძე



## ინტერვიუ-მონოლოგი

## გაზეთიდან „მშვიდობა ყოველთა“

**ბატონი კოტე მახარაძე – ეს მრავალმხრივი ტალანტი – კარგი მოსაუბრეც გახლავთ. ამიტომ მასთან ინტერვიუსთვის მისვლა, როგორც წესი, სახალისოა, მით უმეტეს, მისი დაბადების დღეს. მაგრამ ხომ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე. ჩვენს ამ შეხვედრასაც შეიძლება გამონაკლისი ვუწოდოთ, რადგან ბატონი კოტე... უგუნებოდ დამხვდა და მითხრა: მოდით, მარტო ერთ საკითხზე ვისაუბროთო. რაღას ვიზამდი, ისღა მოვახერხე, რომ სანამ მთავარ სათქმელს იტყოდა, ვთხოვე, მისი თეატრის „ფიქრის გორის“ შესახებ სულ ცოტა მაინც მოეთხრო. ბატონი კოტე დამთანხმდა და... ასე შეიქმნა ეს ინტერვიუ-მონოლოგი.**

* * *

– თეატრის ისტორია გარკვეულწილად ჩემს სათქმელსაც უკავშირდება. მოკლედ გეტყვით: როდესაც ბატონი ედუარდი თბილისში დაბრუნდა, მითხრა შენი „ილია“ მაჩვენეო. სად ვაჩვენებდი, დარეჯანის სასახლიდან, სადაც ეს სპექტაკლი დავდგი, დიდი ხნის წამოსული ვიყავი. მერე მოვიფიქრე, მოდი, ჩვენთან სახლში, ვერიკოს სახლ-მუზეუმში მოვიწვევ-მეთქი. ასეც მოხდა. ბატონ ედუარდს ხომ „სხარტი“ ტვინი აქვს! მიიხედ-მოიხედა და მკითხა: იქ რამდენი კაცი ეტევოდაო? – ასე, ოთხმოცი-მეთქი.

– მაგდენი ხომ აქაც დაეტევა, ამაზე უკეთესი რაღაა, თუ აქ ვერიკოსა და მიშას სახლში, თეატრი იქნებაო! – თქვა და მაშინვე დაავალა ქალაქის მერს ეზოს მხრიდან გასახდელი მოეშენებინათ. მოახლოებული ზეიმის – „თბილისობის“ პროგრამაში კი პირველ ნომრად ჩაეწერა: თეატრის გახსნა ვერიკო ანჯაფარიძის სახლ-მუზეუმში... უნდა გენახათ, აქ იმდენი ხალხი მუშაობდა, ერთმანეთს ხელსაც კი უშლიდნენ. და მართლაც ყველაფერი მოასწრეს.

მას შემდეგ ბატონი ედუარდი და ქალბატონი ნანული ჩვენი თეატრის ხშირი სტუმრები გახლავან. ეს ამბავი არავის გაუკვირდება, რადგან ყველამ კარგად ვიცით, ქართული ხელოვნებისა და კულტურის როგორი ქომაგია ჩვენი პრეზიდენტი.

**და მით უფრო გულსატკენია, რომ ქვეყანაში, რომელსაც ასეთი ხელმძღვანელი და ასეთი მსახიობები ჰყავს, მავანმა ჩინოვნიკებმა საერთოდ გვერდი აუარეს მათ და თეატრის შესახებ კანონის მოსამზადებლად მხოლოდ რეჟისორები, თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები და დირექტორები მიიწვიეს... გამოდის, რომ მსახიობისთანა უუფლებო ჩვენში არავინაა. დავიჯერო, რომელიმე დირექტორმა გოგი გეგეჭკორზე და გურამ საღარაძეზე, რამაზ ჩხიკვაძესა და ედიშერ მაღალაშვილზე უკეთ იცის თეატრი?! რომელი ერთი ჩამოვთვალო, რამდენი უნიჭიერესი მსახიობი გვყავს, ჭკუაც რომ მოეკითხება და ერთი-ორი აზრიანი სიტყვის თქმაც შეუძლია.** ვისაც თეატრში ჭიპი მოუჭრია და თეატრის გაძაღლებული ყოფა-ცხოვრება აზრად გაუხდია, მათ ხმა არ ამოელებათ? მტერი რა არის, მტერიც ვერ მოგვაყენებდა ასეთ შეურაცხყოფას!

72 წლის კაცი ვარ და აქედან 62 სცენაზე გავატარე. ათი წლისამ ჩაიკოვსკის „მაკნატუნაში“ ვიცეკვე. იცით, ვინ დირიჟორობდა? თავად ევგენი მიქელაძე! მას შემდეგ თეატრი ჩემთვის ყველაფერია. და ახლა გამოდის, რომ ჩემი არსის, ჩემი ცხოვრების შესახებ არაფერი მცოდნია; არასოდეს მყვარებია მთავრობაში სიარული და არც სხდომებზე დასწრება მაინტერესებდა, მაგრამ თუ მხოლოდ თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებს იწვევდნენ, მეც ხომ ვარ ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი? რატომ არ დამიძახეს? ასე ხომ ერთი მსახიობი მაინც მიიღებდა მონაწილეობას ამ კანონის შექმნასა და განხილვაში... იქნებ მაშინ ნაკლები ხინჯი ყოფილიყო კანონში, რომლის არასრულყოფილების გამო ისევ და ისევ მსახიობებს მოუწევთ თავის მტვრევა.

ყოველ შემთხვევაში, ამას მაინც ხომ ვიტყოდი: შე დალოცვილო, კანონში რომ წერ, ერთი წლის ვადით გაუფორმოთ მსახიობს ხელშეკრულებაო, არაფერზე ფიქრობ? ესე იგი, ან მსახიობი არ გინდა გყავდეს, ან ფული გაქვს გადასაყრელი. იმ ერთ წელიწადში შეიძლება ღირებული ვერაფერი შექმნას. უბრალოდ, ვერ მოასწროს! უხადე ტყუილა ხელფასი და გაუშვი მერე. ახლა სხვა მიიღე... მახსოვს, ერთხელ ოთარ მეღვინეთუხუცესმა თქვა, ექვსი წელია ახალი როლი არ მითამაშიაო! ესე იგი, ის ექვსჯერ უნდა გაეშვათ თეატრიდან? ასე ხომ უამრავი ტალანტი დაიკარგება.

ერთხელ კონსტანტინე სიმონოვი ჩამოვიდა თბილისში. მაშინ ედუარდ შევარდნაძე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. „კაცო, – თქვა სიმონოვმა, – შჩერბიცკისთან ვიყავი, ექვსი დღე ხომ მალოდინა, მერე რაღაც ხუთი წუთით მიმიღო, ერთი-ორი ზრდილობიანი სიტყვა მითხრა და გამომიშვა. ბატონმა ედუარდმა კი – რაზე მუშაობო, გამომკითხა, ჩემს პოეზიასაც მშვენივრად იცნობს. „ეს რა კაცი ყოფილა!“

რომ არ ვიცოდე ბატონი ედუარდისა და ქალბატონი ნანულის დამოკიდებულება ქართული თეატრისადმი, არც ამ წერილის გამოქვეყნების იმედი მექნებოდა თქვენს გაზეთში და არც რაიმეს შეცვლისა. რატომღაც არა მგონია, როცა ბატონი ედუარდი დარბაზში შევიდა, მიიხედ-მოიხედა და ვერც ერთი მსახიობი ვერ დაინახა, მას ეს ამბავი უყურადღებოდ დარჩენოდა...

ახალ სპექტაკლზე ვმუშაობ. ეს იქნება თეატრალური ესეი იმ ქართველებზე, რომელთაც ქართულ მიწაში განსვენება არ ეღირსათ. ჩვენ ხომ არ ვიცით, სად დავასაფლავეთ ჩვენი ყველაზე დიდი მეფე, სად განისვენებს ჩვენი ყველაზე დიდი პოეტი... ვახტანგ VI ასტრახანის მლაშე ქვიშაშია, თეიმურაზ II – ისპაჰანში... ბევრი ვეძებე – სად არიან? არც ასავალი, არც დასავალი... ქალღმერთი იყო ქეთევანი, მისი ნაწილები კი ზოგი ინდოეთშია, ზოგიც – პორტუგალიაში... არ გვაკლია სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც დაკარგული ქართველები. და ეს რა შუაშიაო, რომ არ თქვათ, ბოლომდე გეტყვით სათქმელს: ჩვენს ნიჭიერ მსახიობებს, თეატრის აწმყოს, მის იმედს და მომავალს თუ შესაფერი პატივისცემით არ მოვეპყარით, თუ აუტანელი პირობები შევუქმენით, წავლენ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავის ადგილს იპოვნიან. ადრე თუ გვიან კი, მათი სახელები იქნებ იმ სიასაც მიემატოს, მე რომ ახლა ასეთი რუდუნებით ვადგენ.

თუ ეს წერილიც ვერაფერს იზამს, ისღა დაგვრჩენია, თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების დროს დიდი ტრანსპარანტები გავაკრათ და ახალგაზრდებმა შეცდომა რომ არ დაუშვან, გავაფრთხილოთ: „ნუ შეხვალთ თეატრალურ ინსტიტუტში, თორემ ოთხი წლის შემდეგ თქვენ ქრონიკული უმუშევრობა გელით!“

მეტს მე არაფერს ვიტყვი...

**P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც ჩვენი სახელოვანი სოფიკოს ავადმყოფობის ამბავი გავიგეთ. ძნელი წარმოსადგენია, სიცოცხლით სავსე ქალბატონი სოფიკო საავადმყოფოს პალატაში. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ჩვენი გაზეთის ამ ახალ ნომერს იგი უკვე საკუთარ სახლში წაიკითხავს...**

**თამარ საგინაშვილი.**

**გადმობეჭდილია გაზეთიდან „მშვიდობა ყოველთა“ რედაქციის თავაზიანი ნებართვით.**

პოეზია უპირველეს ყოვლისა



# დიდი ხნის განშორების შემდეგ...

დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა შესანიშნავ ქართველ პოეტს იზა ორჯონიკიძეს. ამასთან დაკავშირებით, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის სააქტო დარბაზში პოეზიის საღამო გაიმართა. ესწრებოდნენ მუზეუმის თანამშრომლები, პოეზიის გულშემატკივრები და ქალბატონ იზას მეგობრები. როგორც პოეტი თავისი კრებულის შესავალში ამბობს, შეხვედრა დიდი ხნის განშორების შემდეგ მართლაც შთამბეჭდავი იყო. საღამო მიჰყავდა თავად პოეტს და თვითონვე კითხულობდა საკუთარ ლექსებს.

პოეტმა მურმან ჯგუბურიამ წაიკითხა იზა ორჯონიკიძისადმი მიძღვნილი ლექსი, ხოლო იუბილარის შემოქმედების შესახებ ისაუბრეს ბატონებმა მინდია უგრეხელიძემ, თამაზ ჩხენკელმა, დემურ მიქაძემ.

იზა ორჯონიკიძემ მიიღო ბატონ ედუარდ შევარდნაძის წერილი, სადაც საქართველოს პრეზიდენტი მადლობას უხდის პოეტს მისი უანგარო საზოგადო მოღვაწეობისათვის, ამ დღეებში პრეზიდენტის განკარგულებით იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

— ჩემი გამოსვლა თქვენდამი მადლიერების გამოხატულებააო, — მოწიწებით აღნიშნა საღამოს დასასრულს ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ.

იზა ჯაჭვაძე.

## იზა ორჯონიკიძე

### აპრილი

შენ, სიყვარულით სნეულო ბავშვო,
(გარშემორტყმულო მუდამ ფლიდებით!)
რატომ გგონია, რომ წყარო დაშრა
და ქარებს ველარ გაეკიდები?!

რატომ გგონია, რომ შენი ხენი
ამ სოფელს აღარ გადაედება
და მხიარული ნიაღვრის დენა
არ გადააქცევს მიწას ედემად?!

მოირთე შროშნით! (ჯანდაბას იჭვი,
ჯანდაბას სევდაც — ჯოჯო ხნიერი!)
მოდის ოცი წლის სულელი ბიჭი,
თავაწყვეტილი და მშვენიერი!

8.11.97.

### მიწისქვეშა გადასასვლელი

შენი ქალაქი — ნაჭუჭი ბნელი,
სავსე ქეციან, მშიერ ძაღლებით,
უნდა შენს სისხლშიც გაისვრის ხელებს,
ცხრა თოკში გამძვრალს რა ენაღვლები?

აურაცხელი აერია ჭინჭი
ოდესღაც მვირფას წიგნების თაროს,
გიტარას უკრავს მიწისქვეშ ბიჭი,
და თავდახრილი გამვლელი ჩქარობს...

და ვიდრე ამ გზას ბოლომდე გალევ,
ვიდრე, ვით ტყვია, ზურგს აგწვავს გესლი,
ვიდრე ხელგაწვდილს ჩაუვლი ქალებს
და სუსხიანი სიმღერაც გესმის,

იტირე მაინც, ნუ, ნუღარ ითმენ,
(გაუტეხდა ზამთარს თეთრი მარხილი)
უცებ გაითბობს გათოშილ თითებს
ბიჭი, გიტარის ტანზე დახრილი...

10.11.97.

### ნახვამდის...

მე ცოცხალი ვარ და
თქვენს ნახვას მოვესწარი,
გულმა იხარა და
ახლა საზეიმოდ ვიმოსები,
გიცანით მვირფასებო,
დანახვისთანავე გიცანით!
(მმებმა კი... მმებმა ვერ იცნეს იოსები!)
მობრძანდით, მობრძანდით,
წაიღეთ, რაც ფასობს ამ დროს,
წაიღეთ ყველაფერი —
ხორბალიც, ზეთიც და ერბოც,
სევდას ვერ გაგატანთ,
ვერც ჩემს გულისტკივილს განდობთ,
თქვენ პური გჭირდებათ
და სხვა — არაფერი, მმებო!
ნახვამდის... ამ გზაზე ბევრჯერ
მობრუნდებით,
დასხდებით ინახად,
იქ სადაც მშობლიურს დანატრული
მრავალ წელს თავს ცრემლით ვიოსებდი,
სადაც არს უფალი — სად დღესაც
სიყვარულს გინახავთ,
მმებისგან ეგვიპტეში გაყიდული
თქვენი იოსები...

22.III.97.

### ერთი ნაღვლიანი წერილის ფრაგმენტები

სარკმლის ცივ მინას შუბლს
თუ მივასლი,
სულ ეს იქნება ამ წლის სიახლე!
გაინტერესებს შენც ის, რაც — მასებს!
მომწვანო ჭიქებს ვინმე თუ ავსებს.
დამშვიდდი! პარიზს არა ვარ ბინად!
საკუთარ მკლავზე დანდობილს მძინავს
და ჩემთვის მხოლოდ ქარბუქი მღერის,
გიტარას ადევს ტაბუ და მტვერი.
შემოირბენდა ხოლმე ეროტი,
მაგრამ მე მუდამ სულ სხვას ველოდი!
სდუმს კამერტონი, სიმიც და ხემიც,
სანიმუშოა ცხოვრება ჩემი.

●

მარტოობაშიც არის სიამე,
რომელიც შუქს ჰფენს ყოფნის ყიამეთს,
რომელიც სახელს არქმევს ყველაფერს,
ღვთის უკითხავად ჩვენგან შენაფერს...
ეს ხომ ასეა, მაგრამ სხვაც არი:
ცხელია, ცხელი ისევ ნაცარი.
და ერთი ცელქი ნიავი უნდა...
შენ კი... ჩემს აღზრდას ლამობდი მუდამ!

●

მე უსაშველოდ ვარ კუზიანი!
როგორც ულრანი და უსიერი,
როგორც ნანგრევში ნაზამთრი გველი,
მზის აღტკინებას მეც ისე ველი...

დღეს კი... ქარბუქი სარკმელს
თვალს უხვევს,
არავინ მოვა. სიტყვები მოვლენ!
დილით მოგართმევ დაწერილს წუხელ —
ნოემბრის ვარდის ფურცლებზე თოვლით.

30.III.97.

### ლმობა

სულ მიწას ჩაჰბღვერი,
სულ ქვესკნელს ჩაჰყურებ
და ხელში იფნის სახრეს აწვალებ...
ცის დასალიერთან თვლემს თითქო
საყურე —
ღრუბელი — დაღლილი წანწალით.

ამ დილით ველს გულზე გვირილა ეყარა,
ცხვარ-მროხა ესია მინდვრებს...
რა მშვენიერია, კაენ, ეს ქვეყანა,
სისხლი აუვავდება ვიდრე!

წუხელის მეჩვენა: ცვარს სვამდა
მერცხალი,
მოლზე გორაობდნენ ბიჭები ნარბენი...
გრგვინავდა უფალი: „რა იქნა
მეცხვარე?“
„შენი მმა სად არი?“ „სად არის
აბელი?“

31.III.97.

### აივანი მთავარ ქუჩაზე

ნინო ხოფერიას

ფანჯრის რაფაზე ქოთნით ისევ
გამოდგეს ია,
(გახსოვს? ამური აქ უცდიდა ბიჭებს
გულიანს...)
შემცივნებული, გაცრეცილი მოვიდა გვიან,
მაგრამ გვიანი გაზაფხულიც
— გაზაფხულია!
შენც აწრიალდი აივანზე, როგორც
მერცხალი,
(აბა, მშვიდობით იარაღო და
შიშით მრწოლავ!)
მალე წვიმები მველ აფიშებს ჩამორეცხავენ
და ტროტუარებს თეთრ მაგიდებს
დააფენს „კოლა“...
მალე დაისხამს მახრჩობელა ბუსუსს ჭადარი
და მთვარიანში კვლავ სიცოცხლე
მოგეჩვენება,
ვითომ არ იცი — სიყვარული
აღარსად არი
და ამ აივანს შერჩა მხოლოდ
შენი მშვენება...
შენ ყვავილს ჰგავხარ, ჩემს წიგნებში
ჩარჩენილ ყვავილს
ცვარს დანატრებულს, მაგრამ მაინც
პირველ — პეწიანს,
ნუ გეშინია, არ მოუკლავს შენს პოეტს თავი
და ამ გაცრეცილ გაზაფხულთან
ერთად გეწვია.

17. IV.97.

### სააღდგომო ეპისტოლე ბედისწერით პოეტისადმი

„Поэт, ... Ты Царь, живи один!“
ალ. პუშკინი.

აპრილის ფაციფუცი გულზე არ გეკარება!
(ო, რა მნელი ყოფილა ბნელში
კვარის ტარება!)
ნაღვლიანად გახედავ აყვავებულ ალუჩებს —
ადრე გადაქათქათდნენ — ყინვა
გადაალურჯებს...
მიკვირს, დაუდგრომელი ზიხარ
ვითომ ისვენებ,
მიკვირს შენი დუმილი, თვალთა
შენთა სისველე,
კვლავაც სევდით სავსეა შენი ლურჯი
რვეული
და თვალები, თვალები — ნუგეშს
გადაჩვეული...
ნუთუ მოშურნეთაგან გწყინს
მუშტების ღერება?!
ჩემი კარგი ქვეყანა არც შენ მოგეფერება,
ვიდრე გამვირფასდება, სისხლის ფასად
რაც იცი,
ბრბოსთან ვით გეკადრება ლაქუცი და
ლაციცი!
გიხაროდეს — მტკივან გულს სხვა
რად უნდა წამალი,
ქრისტე აღდგა, ოსტატო, ქრისტე
აღსდგა სამარით!

21-24.IV.97.

### ისევ ფრაგმენტები

●

შეუნდე ქალაქს აბდაუბდა, ქუჩას — ერეხი,
არ გვეღირსება ჩვენ სამშობლო
სხვა-უკეთესი!
ჭიამჭამელის არ მასვენებს მალი-მალ
ჩქამი —
ამ მიწას მეტად რა სწყურია, სისხლი
თუ ნამი?

●

რად წამოვედი ბავშვობიდან? აქ ვისთან
დავრჩე?!
(ვიღაცა უკვე სქოლიოსთვის სახელებს
არჩევს!)
ადამიანი, ატუზული სიკვდილის კარად,
რად ემებს ტკივილს?! სიხარულს კი...
არ ემებს — არა!

●

არც ეს დარია ჩემი მწე და ჩემი
მკურნალი,
მლივს ფეთქავს გული — შენახული
წმინდად ურნალი,
გზად გადმომდგარი თავს დაიქნევს
მალე ასკილი
და თუ გავმელი — სულგრმელ ცრემლსაც
არ ვითაკილებ...

28-29.IV.97.

### რუსუდან ბერიძისადმი

ტახტის ყურეში მიწვები და მიიყუჟები;
შემოყოლილი სიგრილისგან გითრთის
ტუჩები;
არც ვის ინატრებ, არც თუ ვისმეს
მოუხმობ ფარად,
(ჭირთ სამალვად მშვენიერი ღიმილიც
კმარა!)
და სიტყვაც ისე უმლურია, ვითარც
ოდითგან...
ლაგამაყრილი ეს ქვეყანა შენც გამოგიდგა
და გდია დიდხანს, მწუხარების
ჭიშკრამდე ლამის...
გახსოვს ქანდარა — სიუმაწვილის
უზურგო სკამი
და სახადივით მოდებული
„სანტა-ლუჩია“?
მე ვემებ ქალაქს — ვიწროსა და მყუდრო
ქუჩიანს
და იასამნის ტოტებს მკლავზე
გადარწყულებს
მე ლანდებს ვემებ და წარსულში წაფლულ
რვეულებს,
რომელთაც, თურმე, შესაშური ბედი ეწიათ,
ო, გაზაფხულის თბილი ქარი, ალიწეწია,
პირმომცინარი და შენსავით მშვიდად ეული!

29.IV.97.

### არჩევნისათვის

დიდი სიბრმნე — დიდი დარდია,
ბევრის შეცნობა უმრავლებსო ადამიანს
ურვას და წუხილს —
ასე ბრმანებს ეკლესიასტე.
ჭეშმარიტს ბრმანებს,
მაგრამ განა ბრმად და ერუდ ყოფნას
ტანჯვის ნათელი არ გირჩევნია?
ქარის მონაბერს
არ სჯობს ჩემი ნუგეში ღვთისგან?

22.IV.97.

### მუდამ

მუდამ რაღაც აკლია
ჩვენს ცხოვრებას სავსეს,
ვით დარბაზებს სარკიანს
ვით უღონო ამ მზეს...

მუდამ რაღაც აკლია
ქალის თვალში ნაქმრევს,
როგორც სხივი კაკლიანს
ვით ქაქანას — საქმე!

მუდამ რაღაც აკლია
შენს მზერას და შენს ხმას,
როგორც ღობის კაკიას
ჩემგან ხოტბის შესხმა...

22.III.97.

### საყვედურის მაგიერ

შენც იმ ჩერჩეტი ჩიტივით მოგდის —
იმანაც ხომ საკუთარი ჭორფლიანი
იუკადრისა
და უხსენებლის კრიალა კვერცხს
გადაეფოფრა!
რა გიხარია, ჩემო ტურფა დედინაცვალო?!
მხოლოდ გიჟი ზის ქვაზე, რომელიც
უფსკრულისკენ მიექანება!

6.III.97.

# ეკონომიკა

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველკვირეული დამატება | №43 (50). 6-7 დეკემბერი, 1998


## პოლემიკა

# ჩვენი ბიუჯეტის აქ-კარგი

### ანუ ხელისუფლებამ „ქამარი უნდა შემოიჭიროს და ველოსიპედით იაროს“

წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტი 177 მილიონი ლარის დეფიციტით დაიგეგმა, ანუ ბიუჯეტის გასავლის ნაწილი 18,9 პროცენტით აჭარბებდა შემოსავლებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ე.წ. „დაცული მუხლების“ ფაქტობრივი სეკვესტრის მიუხედავად (ჩვენს სინამდვილეში „დაუცველი მუხლები“ უფრო დაცულია) ბიუჯეტის გასავლის ნაწილი წარმატებით დაიხარჯება, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემოსავლის მნიშვნელოვანი ოდენობით (15-20 პროცენტით მაინც) შეუსრულებლობის პირობებში დეფიციტი 300 მილიონ ლარს, ანუ დაგეგმილი 18,9 პროცენტის ნაცვლად 30 პროცენტს გადააცილებს.

რას ნიშნავს ბიუჯეტის დაგეგმვა დეფიციტით? კითხვა ტრივიალურია, მაგრამ მაინც უნდა ვუპასუხოთ: ეს ნიშნავს ხარჯების გაწევას ნასესხები რესურსების ანგარიშზე იმ იმედით, რომ წლის მანძილზე დაგეგმილზე მეტ შემოსავალს მივიღებთ და კრედიტორებს გავისტუმრებთ. თუ დეფიციტს სტაბილური და ფეხზე მდგომი ეკონომიკა ამაგრებს, ასეთ რისკზე წასვლა პრაქტიკაში იშვიათი როდია, მაგრამ ჩვენი დანგრეული ეკონომიკის პატრონისათვის, როდესაც გადაჭარბებით კი არა, ბიუჯეტის შემოსავალი დაგეგმილი ოდენობითაც არ სრულდება, დეფიციტის დასაფარავად აღებული კრედიტი სანქციებთან ერთად ფაქტობრივად მომავალ წლებში გაორმაგებული და გასამმაგებული ოდენობით ვალების გადახდას ნიშნავს. თუ დეფიციტი ბიუჯეტის ქრონიკულ დაავადებად იქცა, აღებული კრედიტები და მათი სანქციები ზვავის მსგავსად თან დაიტანს სახელმწიფო ფინანსებს და მასთან ერთად მთელ ეკონომიკას, ისე როგორც მინიატურულ ზომებში ეს 1994-1995 წლებში გაკოტრებულ ფირმებს დაემართათ და სოციალური ტრაგედიით დამთავრდა, რადგან მოსახლეობის ანაბრები შეიწირა. გაკოტრების ეკონომიკური შინაარსი და პროცესის თანმიმდევრულობა აქ იდენტურია, მხოლოდ ვალების მოცულობაშია განსხვავება. უკეთეს შემთხვევაში მთავრობა ახერხებს ვალების ე.წ. რესტრუქტურიზებას (გადავადებას) და ამ ტვირთს მომავალ თაობას გადაულოცავს. ეს არის და ეს. დღეს ჩვენს ეკონომიკასა და ბიუჯეტში სავსებით მსგავსი პროცესები მიმდინარეობს და ამას ზოგიერთი ეკონომისტი „მოფერებით“ ბიუჯეტურ კრიზისს უწოდებს. არადა, ფაქტობრივად, ეს მთელი ეკონომიკის ღრმა კრიზისია!

ყველაზე მაღალი ჩინებიდან დაწყებული დღეს არავინ მალავს იმას, რომ საქართველოში მასობრივად გვყავს უხელფასო (4-5-6 თვე რომ ხელფასი არ მიუღიათ) მეზვერეები და პოლიციელები. მაგრამ ისინი არ ჩივიან, არც ერთ მათგანს არანაირი ფორმით პროტესტი არ გამოუხატავს! რაც შეეხება პენსიონერებს, ჯანდაცვისა და განათლების სფეროების, აგრეთვე სხვა საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკებს, რომლებიც ასევე თვეების მანძილზე უპენსიოდ და უხელფასოდ არიან, მათი ჩივილი არავის აშინებს. როგორც პოეტმა თქვა, „ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი არ არის...“

ყველაფერი ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ჩვენ ეს იმისთვის დაგვჭირდა, ყველასთვის ცნობილი რომ არ არის, ისეთ ფაქტორებზე ვილაპარაკოთ. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხებით.

პირველ რიგში გვინდა სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის საფუძვლად მიჩნეულ ინდიკატურ გეგმას შევეხოთ. სოციალისტური, „გეგმიანი ეკონომიკისაგან“ განსხვავებით, როდესაც რესპუბლიკის ბიუჯეტი მთლიანად ემყარებოდა სახალხო მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმას (და, საჭიროების შემთხვევაში, ე.წ. საკავშირო სუბსიდიებს და დოტაციებს, ახლანდელი ტერმინით – ტრანსფერებს), დღეს აბსოლუტურად შეიცვალა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე ინდიკატური გეგმის ეკონომიკური შინაარსი და ურთიერთდამოკიდებულება. ინდიკატური გეგმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხოლოდ ინდიკატორის (!), ანუ საორიენტაციო მაჩვენებლის როლს ასრულებს და მასზე დაყრდნობა იმდენად შეიძლება, რამდენადაც შესრულებული იქნება ინდიკატური მაჩვენებლების რეალიზაციის მაკროეკონომიკური პირობები: ეკონომიკური რეფორმების კომპლექსურობა და თანმიმდევრულობა, ექსპორტ-იმპორტის პარამეტრები, ეკონომიკის რეალური და სერვისული სფეროების განვითარების პოლიტიკა, ინდუსტრიის რესტრუქტურიზების მიმართულებები და, დასასრულ, ყველაზე უმთავრესი – ჩრდილოვანი ეკონომიკა, კლანური და კორუფციული გარემოს აღკვეთა. თუ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ინება და ეს მაკროეკონომიკური გარემო დაარეგულირა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ინდიკატური გეგმა მართლაც რეალური საფუძველი იქნება სახელმწიფო

იხ. მე-12 გვ.

## შავი ქვა

ეს ფოტო არცთუ დიდი ხნის წინათ ჭიათურაში მანგანუმის მადნის ღია კარიერზეა გადაღებული. იმ დროს, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ სულ რამდენიმე წლის შემდეგ აქ მანგანუმის მოპოვება შეწყდებოდა და შავი ოქროს ქალაქში უმუშევრობა და სიდუხჭირე დაისადგურებდა.

დღემდე სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმს“ ღირსეული პატრონი ვერ გამოუჩნდა, რუსულმა კომპანია „ინდუსტრიამ“, რომელმაც იგი 10 წლით აიღო სამართავად, პირობა არ შეასრულა და საერთოდ უარი განაცხადა მანგანუმის დამუშავებაზე.

ამიტომაც დღეს ჭიათურაში მარგანეცს მცირე რაოდენობით, იმდენს, თავად რომ ჰყოფნით, პატარ-პატარა ფირმებიღა მოიპოვებენ.

„ჭიათურმანგანუმის“ გადარჩენის და პრივატიზების პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას: უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო ტენდერი მას ამჯერად მაინც გამოუვლენს ღირსეულ პატრონს.



## რკინიგზა

# ტვირთზიდვაც გაიზრდება და სიჩქარეც

რკინიგზის დეპარტამენტში განიხილეს საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც დარგის შემდგომ განვითარებას ითვალისწინებს. საქართველოს ნავთობსადენისა და სატრანსპორტო სისტემათა კვლევისა და განვითარების ტექნიკურმა ცენტრმა „გეოინჟინერინგმა“ წარმოადგინა სურამის საუღელტეხილო უბნის ზესტაფონი-ხაშურის სრულიად ახალი, რკინიგზის ორლიანდაგიანი ტრასის პროექტი. იგი შედგენილია საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების მიხედვით.

თუ დღეს ამ უბანზე ორ ელექტრომავალს, ხოლო ზოგიერთ მონაკვეთზე სამ ელექტრომავალს გაჭირვებით მიაქვს 2700 ტონა ტვირთი, ახალი პროექტით ორი ელექტრომავალი 3600-4000 ტონას გადაიტანს. ამასთან, სატვირთო მატარებლის საშუალო სიჩქარე 60 კმ/სთ-მდე გაიზრდება, სამგზავრო მატარებლები კი 90-100 კმ/სთ სიჩქარით ივლიან. სამგზავრო მატარებელი თბილისიდან სამტრედიაში 3 საათში ჩავა.

რასაკვირველია, ასეთ ციფრებს შესაბამისი მოძრავი შემადგენლობაც სჭირდება.

პროექტის ირგვლივ გაიმართა ნამდვილი შემოქმედებითი მსჯელობა. თავის გამოსვლაში რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა აკაკი ჩხაიძემ თქვა, რომ პრაქტიკულად დღევანდელმა რკინიგზამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია, რკინიგზის მშენებლობამ საქართველოში ბევრი სიახლე და პროგრესი მოიტანა, კავკასიის სახელმწიფოებს შორის სავაჭრო, ტექნიკური, მეცნიერული ურთიერთობები განავითარა. მაგრამ იქვე დასძინა, რომ დღევანდელი რკინიგზა მოკლე დროში პრაქტიკულად თავისი სიმძლავრის ზღვარზე გავა და ამოწურავს შესაძლებლობებს. საჭიროა ახალ, მზარდ ეტაპზე გასვლა, ვინაიდან საქართველოს რკინიგზამ იკისრა ევროპა-აზიის ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზის ავანგარდული როლი. ამიტომ კვლავაც უნდა შეიქმნას ახალი პროექტები, ბიზნეს-გეგმები, რითაც დაინტერესდებიან როგორც ინვესტორები, ასევე ჩვენი ქვეყნის ბიზნესმენები.

გაანგარიშებები გაკეთებულია XXI საუკუნის მოთხოვნათა მიხედვით. გრაფიკული ნაწილი შესრულებულია კომპიუტერული ტექნიკითა და ტექნოლოგიით, წარმოდგენილია არსებული და ახალი რკინიგზის ტრასების განლაგების, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონების ფიზიოგრაფიული მოდელი. დამუშავებულია პროექტის ყველა შესაძლო ვარიანტი, რომლის მშენებლობის ღირებულება 518 მილიონი დოლარია. ყველაზე უფრო პესიმისტური გათვლებით მას 9 წელიწადში ამოიღებენ, ხოლო ოპტიმისტური გათვლებით – 5,5 წელიწადში. ამაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში „გეოინჟინერინგის“ დირექტორმა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ომარ ქუცნაშვილმა. პროექტის მთავარი ინჟინერია რკინიგზის დეპარტამენტის „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ინფორმატიკის“ სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი თორნიკე კუპატაძე.

სანამ პროექტი ამოქმედდება, მანამდე მოხდება ფოთის პორტის და რკინიგზის კვანძის რეკონსტრუქცია, გავა ფოთი-სუფსის ახალი ხაზი, აშენდება ფოთი-ბათუმის საბორნე გადასასვლელები, საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი რკინიგზა.

მაშ ასე, საქართველოს რკინიგზა სრული სვლით!

**ნოდარ აბზიანიძე,**
**საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ინფორმატიკის ტექნიკური განყოფილების უფროსი.**

## ინფორმაცია

### ბუნებრივი გაზი თერჯოლაში

თერჯოლის რაიონის ხელმძღვანელობამ პრაქტიკულად მოჰკიდა ხელი აქაური მოსახლეობის გაზით უზრუნველყოფის საქმეს. რაიონის გაზის სამმართველოს მუშაკებმა შეასრულეს გაზგაყვანილობის აღდგენის სამუშაოები, რაც ბევრ პრობლემას მოუხსნის ადგილობრივ მოსახლეობას, შეინარჩუნებენ ტყეს.

### საგადასახადო კოდექსი შესაცვლელია

ფრაქცია „ედპ“-ს წევრი ბესო ჯუღელი დარწმუნებულია, რომ არსებული საგადასახადო კოდექსი საქართველოს სრულ კრახამდე მიიყვანს. მისი განცხადებით, რუსეთმა არსებულ რთულ სიტუაციაში, საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ სერიოზული ნაბიჯები გადადგა და დღგ 20 პროცენტიდან 14 პროცენტამდე შეამცირა. ჯუღელი თვლის, რომ საქართველომაც ამ გზით უნდა იაროს. ედპ-სა და მრეწველთა კავშირს ალტერნატიული საგადასახადო კოდექსის პროექტი აქვს შემუშავებული, რომლის ამოსავალი პრინციპი სწორედ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებაა.

### თბილისში მსოფლიო ბანკის 6 პროექტი განხორციელდა

საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს მსოფლიო ბანკი 1996 წლიდან ახორციელებს. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მონაცემებით, ამ პროექტის საერთო ღირებულება 19,7 მლნ აშშ დოლარია, მათ შორის 18 მლნ დოლარის ოდენობის კრედიტი მსოფლიო ბანკმა გამოყო, ხოლო თანადამფინანსებლებმა: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ და საქართველოს მთავრობამ, შესაბამისად: 0,3 მლნ და 1,4 მლნ აშშ დოლარი გამოყვეს. პროექტის შესრულების ვადა 31 დეკემბერს იწურება. ამ პროექტის ფარგლებში თბილისში 6 პროექტი განხორციელდა, რაზეც დაახლოებით, 11 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა. საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტით, ჯერჯერობით დაუმთავრებელია 3 კონტრაქტი, რომლებიც ბათუმში ნაგავსაყრელთან მომიჯნავე, მდინარე ჭოროხზე დამცავი კედლის მშენებლობის, თბილისის მეტროს ცენტრალური ტელე-მართვის სისტემის დამონტაჟებისა და თბილისის განათლების ცენტრის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: გეამ და ჩვენმა კორესპონდენტმა.**

## პოლემიკა

# ჩვენი ბიუჯეტის აკ-კარგი

### ანუ ხელისუფლებამ „ქამარი უნდა შემოიჭიროს და ველოსიპედით იაროს“

(მეთერთმეტე გვერდიდან)

ბიუჯეტის შედგენისა და შესრულებისათვის. სხვანაირად, სხვა პირობებში, შესაბამისი თანადგომის უქონლობის პირობებში, ინდიკატურ გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის მართლზომიერ თანაფარდობასა და დაბალანსებულ ურთიერთობაზე ლაპარაკი ზედმეტია, წყლის ნაყვაა. ეს ყველამ რეალურად უნდა შევიგნოთ და ბიუჯეტის შეუსრულებლობის ინდიკატური გეგმის ჭარბი ოპტიმიზმისათვის გადაბრალებას შევეშვათ.

ის გარემოება, რომ წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ, მავანთა ინტერესების შესაბამისად საგადასახადო კანონმდებლობის მრავალი პარამეტრი იცვლება, საბაჟო და საგადასახადო სამსახურები კორუმპირებულია და ამის შედეგად ადგილი აქვს დიდი ოდენობის კონტრაბანდას, ქვეყნის შიდა ბაზრისა და შესაბამისად, ჩვენი მეწარმეების მთლიან დაუცველობას, აღურიცხავ და არარეგისტრირებულ ეკონომიკურ საქმიანობას, ბატონობს ე.წ. „კრიშებით“ და „კანონიერი შელავათებით“ დაცული ეკონომიკა, რომელსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ქვეყნის ეკონომიკას საკუთარი ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე მართავს, უხერხულია (ამორალურიცაა!) ინდიკატურ გეგმას ვუსაყვედუროთ, რომ მისი ჭარბი ოპტიმიზმის გამო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი მაღალი პარამეტრებით განისაზღვრა და ის ამიტომ ვერ სრულდება. რატომღაც არავინ არ მიუთითებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური მიზეზები რომ არ არსებობდეს, ჩვენს „ოპტიმისტურ“ ბიუჯეტს გადაჭარბებით შევასრულებდით და გიგანტურ ვალებსაც მომავალ თაობებს არ გადავულოცავდით.

მორიგი ფაქტორი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ნაკლოვანებად მიგვაჩნია, არის მისი ხარჯვითი (მფლანგველური) ხასიათი. ბიუჯეტის შესწავლისას თვალში გვეცემათ მისი შედგენის, ასე ვთქვათ, ძველი იდეოლოგია, მრავალი ძველი საბიუჯეტო სტრუქტურის შენარჩუნება, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მუშაკთა შესანახად ხარჯების მასშტაბური ზრდა...

დავიწყოთ იქიდან, რომ დღეს ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების დიდი სიჭარბეა, მათი საერთო რიცხვი 60-ს აღემატება (უშიშროებისა და სამართალდაცვის სფეროში – 18 ერთეული, ეკონომიკისა და ფინანსებისა – 12, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების – 3, განათლების, ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში – 15, ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის სფეროში – 7, კონტროლისა და ზედამხედველობის სფეროში – 7).

ქვეყნის უმძიმესი ვითარების, აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამთავრობო მართვის ორგანოების ფუნქციებისა და როლის გათვალისწინებით სავსებით შესაძლებელია ამ ორგანოთა რიცხვის სულ ცოტა განახევრება, თუ, რა თქმა უნდა, ამ პრობლემის მნიშვნელობა მავანთა ინტერესებზე მაღლა დადგება. ამით კი ეკონომიკური და სოციალური სფეროების მართვა უფრო მობილური და საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი გახდება (მართვა ძველებური 150-200 კაციანი და ხშირად მეტი პერსონალით დაკომპლექტებული სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით დღეს ანაქრონიზმია). ამასთან, ბიუჯეტი ამ ღონისძიებით ათეულობით მილიონი ლარის ეკონომიას მიიღებს.

შემდეგ, ბიუჯეტის გასავალში დიდი ადგილი უჭირავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მუშაკთა თანამედროვე (ცივილიზებულ) დონეზე შენახვისათვის გამიზნულ ხარჯებს (მაღალი ხელფასები, ოფისის მოწყობის, აპარატის შეძენისა და სატრანსპორტო უზრუნველყოფის ხელგაშლით გაღებული ხარჯები და სხვ.). ასეთი ხელგაშლილობა მოსათმენი იქნებოდა, ქვეყანას რომ საამისო პირობები და მაღალმწარმოებლური ეკონომიკა ჰქონდეს. ამ მიმართულებით რომ ხარჯებს ვადიდებთ და ხელფასების გაუცემლობის პირობებში „დაუცველი მუხლების“ ხარჯებს ვზრდით, გვავიწყდება, მშიერი მოსახლეობა, ასეულობით ათასი საბიუჯეტო მუშაკი (განათლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში), პენსიონერები, რომლებიც 11 ლარისა და მოწყალების იმედით ცოცხლობენ (არ ცხოვრობენ). საკუთარი ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებისათვის რომ ზრუნავენ და, ვთქვათ, თავიანთი ყოველი საუწყებო მსუბუქი ავტომანქანისათვის თვეში 1000 ლარამდე ხარჯავენ (მსუბუქი მანქანები კი, იცოცხლეთ, სამთავრობო უწყებებს მრავალი ჰყავთ), უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის მუშაკებს მეტი თავდაჭერა მართებთ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, როდესაც საბაჟო, საგადასახადო, სახაზინო და სხვა ანალოგიური სამსახურის მუშაკებს უმაღლესი დონის სახელფასო ანაზღაურებას ვუწესებთ, მათ მიმართ ასევე მკვეთრად უნდა გავადიდოთ პასუხისმგებლობის მოთხოვნა, არ უნდა დავუშვათ, რომ კორუმპირებულობის წყალობით ისინი ქვეყანაში ყველას თვალწინ უმდიდრეს კლანს წარმოადგენდნენ. აქ დეკლარაციის სისტემა სამარცხვინოდ უძლურია, მათი მიზეზით კი ქვეყნის ეკონომიკა ნადგურდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის მოძველებულ იდეოლოგიაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დღეს სახელმწიფოს ხარჯზე არსებობს მრავალი ყაველგასული ორგანიზაცია და დაწესებულება. მაგალითად, ქვეყნის მრავალ ქალაქში, რაიონსა და სოფელში კვლავ შენარჩუნებულია ყოფილი პროფტექსასწავლებლები, რომლებსაც დღეს პოლიტექნიკური, ინდუსტრიული, ტექნიკური კოლეჯები დაერქვათ და სადაც 2000-ზე მეტი კაცის დაფინანსებაზე წლიურად 1,7 მილიონზე მეტი ლარი იხარჯება. დღევანდელი ინდუსტრიისა და მათი საწარმოო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის პირობებში არა გვგონია, პერსპექტივა და რეზონი იყოს იმაში, რომ ქვეყნის სოფლებსა და რაიონებში მომზადებული საინჟინრო-ტექნიკური კადრები მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ რესტრუქტურიზებულ სამრეწველო საწარმოებში და, საერთოდ, საწარმოო სტრუქტურებში. ეკონომიკის დღევანდელ სისტემაში საერთოდ ახალგაზრდა კადრების მომზადების პრაქტიკა კარდინალურ გადასინჯვას საჭიროებს. ცხადია, აქ არანაკლები მნიშვნელობა აქვს შესაბამისი რეგიონების მოსახლეობისათვის სოციალურ ხელშეწყობას, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს უფრო ცივილიზებული მეთოდებით – ბიუჯეტის ხარჯზე მათთვის დახმარების გაწევით და არა არსებითად ყაველგასული დაწესებულებების შენარჩუნებით.

ასევე ეკონომიკურად გაუგებარია დღევანდელ ვითარებაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან კავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფედერაციების, ჟურნალებისა და გაზეთების შენახვისათვის ხარჯები, რაც წლიურად 1,2 მილიონ ლარს ამეტებს. ეს სტრუქტურები საკუთარი, ან სპონსორული შემოსავლებით უნდა არსებობდნენ. საბაზრო ეკონომიკას ამ სფეროში შესაბამისი კორექტივები ჯერ არ შეუტანია. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სასიამოვნო მოსასმენი არ არის, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობა გაცილებით უარეს მდგომარეობაშია.

დასასრულ უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს თუ კვლავ ასეთს შევინარჩუნებთ, ხარჯებს მასში კვლავ ძველი, ჩვეული ხელგაშლილობით განვესაზღვრავთ, უპირატესობას მმართველობითი ელიტის მატერიალურ უზრუნველყოფას მივანიჭებთ, ხოლო შემოსავლების ნაწილში – ქვეყანაში არსებულ ნეგატიურ პროცესებს არ აღვკვეთთ და კვლავ დოტაციების გზით ვივლით, – ჩვენი ბიუჯეტი კვლავ მადესტაბილიზებელ როლს შეასრულებს. ხელისუფლებამ უნდა „შემოიჭიროს ქამარი და იაროს ველოსიპედით“, ქვეყნის გაღატაკებულ მოსახლეობას და ერთ მუჭა „ახალ ქართველებსაც“ პატიოსნებისა და ქვეყნისათვის ზრუნვის პირადი მაგალითი მისცეს, იცხოვროს ბიუჯეტის შესაბამისად. ამაშია ქვეყნის ხსნის უდიდესი რეზერვი, რომლის ამოქმედებას მხოლოდ ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ნება სჭირდება.

**ამირან გაბისონია.**

P.S. ამით დავამთავრებდით, რომ არა 29-30 ოქტომბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ავტორთა ჯგუფის წერილი „საქართველოს სჭირდება მრეწველობა“, რომელიც არსებითად პასუხია ამავე გაზეთის 18-19 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი ჩემი წერილისა „გვჭირდება თუ არა მრეწველობა და მრეწველობის სამინისტრო?“

წერილის ავტორები გვიმტკიცებენ, რომ საქართველოს მრეწველობაც სჭირდება და მრეწველობის სამინისტროც. მინდა მათ შევახსენო, რომ პოლემიკისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს მხარეთა ტიტულებს. სავალდებულო ნორმა ასეთ შემთხვევაში ცოდნა და კამათის კულტურაა.

ამასთან, უნდა განვაცხადო, რომ საქართველოს მრეწველობის რაობაზე არა მაქვს მათგან არსებითად განსხვავებული შეხედულება. მრეწველობის უგულებელყოფა არც ჩემი წერილიდან გამომდინარეობს და ასეთი რამ არც რომელიმე ჭკუათმყოფელს მოუვა აზრად. ჩვენს შორის აზრთა სხვაობა მხოლოდ იმაშია, თუ როგორი მრეწველობა სჭირდება ქვეყანას საბაზრო ეკონომიკის პირობებში და როდის გვექნება იგი. და თუ ჩინოვნიკმა პრობლემა ვერ გადაწყვიტა, იგი, ბატონებო, ვერც აკადემიკოსებმა და გენერალურმა დირექტორებმა წარმოგვიდგინეს („მრეწველობა და მისი სამინისტრო გვჭირდებას“ ძახილით პრობლემა ვერ გადაწყდება). ეს იმიტომ კი არ ხდება, თითქოს მის გადაწყვეტას ჩვენი აზრთა სხვაობა უშლიდეს ხელს. არა, ბატონებო! ქვეყანაში დღეს არსებული ღრმა კრიზისის პირობებში რეალურად შეუძლებელია ცალსახად ვამტკიცოთ რაიმე სერიოზული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა. სწორედ ის ვითარება, რომელიც წინა და დღევანდელ წერილებში ავსახე (რასაც თქვენ, სამწუხაროდ, „ციფრობრივ ანალიზს, საყოველთაოდ ცნობილ სენტენციებს და რიტორიკულ მსჯელობებს“ უწოდებთ), არ იძლევა მრეწველობის რეალური და დროული რესტრუქტურიზების საშუალებას. თუ სახელმწიფო ხელისუფლება დღეს გამეფებულ მანკიერებასთან უშელავათო ბრძოლის ნებას გამოავლენს, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს ეშველება, თანამედროვე სამამულო მრეწველობაც გვექნება და ნამდვილი მეწარმეებიც გვეყოლება, თუმცა ეს მძიმე და მტკივნეულ გარდაქმნებთან იქნება დაკავშირებული.

რაც შეეხება მრეწველობის სამინისტროს, ისევე როგორც სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, იგივე დარჩება თუ მართვის სხვა რაიმე ორგანოდ გარდაიქმნება, – ეს ახალი სტრუქტურული პოლიტიკისა და მართვის ახალი იდეოლოგიის შესაბამისად უნდა გადაწყდეს. ასეთი პოლიტიკა და იდეოლოგია კი ერთად უნდა შეიმუშაონ ჩინოვნიკებმაც და აკადემიკოსებმაც.

ერთში კი ნამდვილად მართალი ბრძანდებით, ბატონებო: ქვეყანას მრეწველობა სჭირდება და ამის მტკიცება უაზრობაა.

**ა. გ.**

## კონტაქტები

# გუგული მაისურაძის მორეული რეისები



უკანასკნელ ხანს ქვეყნის გარეთ ხშირად უხდება გასვლა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის პირველ მოადგილეს გუგული მაისურაძეს. უცხოეთში მოგზაურობის მსურველები არ გვაკლია – დღე არ გავა, სოლიდური დელეგაცია სადმე არ გაემგზავროს. ეს ვიზიტები სახელმწიფო ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს, მაგრამ, როცა საქმე მოითხოვს, რომელ „ტვირთზე“ შეიძლება ლაპარაკი! სამწუხაროდ, ბევრი დელეგაცია, ცხონებული სულხან-საბასი არ იყოს, ამაოდ ტკეპნის უცხო სახელმწიფოთა „სამეფო კარებს“ და ხელცარიელი ბრუნდება უკან...

ჰოდა, დაინტერესდი, ბატონი გუგულიც ამაოდ ხომ არ დაშვრა, აქვს თუ არა აზრი მის ვოიაჟებს, მოაქვს თუ არა სახელმწიფოსთვის კონკრეტული სარგებლობა? სწორედ ამის შესატყობად ვეახლე პოლონეთსა და გერმანიაში „მოგზაურობიდან“ ახალდაბრუნებულს.

– მაგრამ მანამდე ტაშკენტი იყო, – მეუბნება ბატონი გუგული, – კაბინეტში წესიერად შემოსვლაც ვერ მოვასწარი, ახლა ევროპაში გამგზავრება გახდა საჭირო. არ წავსულიყავი? უნდა წავსულიყავი და წავედი კიდეც.

**– კი ჩემო ბატონო, – ვეუბნები, – სხვებიც დადიან და ისინიც თვლიან, რომ წაუსვლელობა არ შეიძლება...**

– აი, როცა ჩემი ვიზიტების შესახებ შეიტყობთ, შეიძლება ხელახალი მივლინება თქვენც გამომიწეროთ, – იცინის ჩემი მასპინძელი.

და რახან ჯერ ტაშკენტი მიხსენა, ჩვენც ტაშკენტზე ვისაუბრეთ. იქ, თურმე, 23-ედ შეიკრიბა ესენგეს ქვეყნების საბჭო, რომელმაც რკინიგზის ხაზით თანამშრომლობის რამდენიმე აქტუალური საკითხი განიხილა. ვიცით, რომ მიუხედავად სსრკ-ს დაშლისა, სარკინიგზო სისტემა, მისი მართვის პირობები ისევ ძველებური დარჩა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც საქართველოს აწუხებს, აწუხებს ესენგეს სხვა ქვეყნებსაც. ამჯერად მთავარი ყურადღება ვაგონების გადანაწილებას დაეთმო. ლაპარაკია იმ ვაგონებზე, რომლებიც ვითარებათა გამო ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩა და პატრონს ვერ დაუბრუნდა. თურმე, საკითხი არც ისე მარტივია: საქართველოში დარჩენილი ვაგონების მარტო მოცდენის („პრასტოი“) თანხა რომ გადაგვეხადა, 50 მილიონი შვეიცარიული მარკა მაინც დაგვჭირდებოდა! არც სხვა ქვეყნები აღმოჩნდებოდა უკეთეს დღეში. გამოსავალი მოიძებნა: რუსეთის გზათა მინისტრის წინადადებით გადავიხდით მხოლოდ იმ ვაგონების საფასურს, რომლებიც მოძრაობაშია, ე.ი. გარკვეულ შემოსავალს იძლევა. ეს წინადადება შეხვედრის ყველა მონაწილემ ერთსულოვნად მიიღო.

**– ოცდამეოთხე შეხვედრა სად არის დაგეგმილი? ჩვენთან ჩამოსვლას არ აპირებენ?**

– ამის შემდეგ რიგაში შევხვდებით. ჩვენ ასეთი ფორუმებისთვის მზად არა ვართ – ძალიან დიდი თანხები სჭირდება...

**– მაშინ, მოდით, ახლა პოლონეთსა და გერმანიაზე ვისაუბროთ. ჰქონდა თქვენს ვიზიტს უფრო კონკრეტული და პრაქტიკული მიზანი?**

– პოლონეთში პოსტსოციალისტური ქვეყნების რკინიგზათა გენერალური დირექტორები შეხვდნენ ერთმანეთს. მოგეხსენებათ, ამ ქვეყნებში რკინიგზას ისეთივე პრობლემები აწუხებს, რაც ჩვენთან... სულ 15 საკითხი იყო განსახილველ-გადასაწყვეტი. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტრასეკას დერეფანი გახლდათ. იქვე მოეწყო ახალი ტექნიკის გამოფენა. თუ რაიმე მოგვეწონებოდა, იქვე შეგვეძლო ხელშეკრულების გაფორმება. მაგრამ მე ასეთი „ხელგაშლილობის“ უფლება არ მქონდა... ჯერჯერობით, რაცა გვაქვს, იმას უნდა მოვუაროთ.

როგორც გუგული მაისურაძე ბრძანებს, ასეთი შეხვედრები საჭიროც არის და აუცილებელიც. მაგრამ იგი უფრო გერმანიაში ვიზიტით არის კმაყოფილი. საქმე ის არის, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა ადრევე შესთავაზეს ქართველ კოლეგებს საქმიანი წინადადება – მოჭარბებული, ან ჩამოწერილი ტექნიკის ხელსაყრელ ფასებში გადმოცემის შესახებ. ახლა ლაპარაკია მუხის განძელებზე, რომლებსაც ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა და ახლით უნდა შეიცვალოს. გერმანიაში ასეულობით ათასი ტონა ასეთი განძელი დაგროვდა. ბევრ მათგანს კიდევ 15-20 წელი შეუძლია „მუშაობა“, თუ, რა თქმა უნდა, შეძენის მსურველი გამოჩნდება. გერმანელებისთვის ისინი უკვე ზედმეტ ტვირთად იქცა – მათი განადგურებისათვის დამატებითი სახსრებია საჭირო, თანაც, ეკოლოგიის თვალსაზრისით, გარკვეულ სიძნელეებს ქმნიან. ამიტომ საკითხი ასე დგას: „ოლონდ წაიღეთ!“ ახლა იქ საგანგებო კომისია მუშაობს, რომ ვარგისი განძელები გადაარჩიეს. საჭირო გახდება ტრანსპორტირება და, როგორც ჩანს, ამ ხარჯებსაც გერმანია იკისრებს.

**– იცოცხლეთ, მუხის განძელები კარგია. მაინც, სად აპირებთ მათ გამოყენებას?**

– კახეთის, ჭიათურის, ცხინვალის, საჩხერის და სხვა მონაკვეთებზე. ეს დიდი შეღავათია ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის...

**– ტექნიკიდან არაფერი მოგეწონათ?**

– ჩამოწერილი, გაძარცვული ტექნიკა არის. აღდგენა უფრო ძვირი დაჯდება. ჩვენთვის უპრიანია რუსეთში ავსტრიული ნახაზით შექმნილი ახალი ტექნიკა შევიძინოთ. საუბარი უფრო მარაგნაწილებს შეეხებოდა.

გუგული მაისურაძემ ხაზგასმით აღნიშნა კეთილგანწყობილება, რომელსაც მისი უცხოელი კოლეგები საქართველოს მიმართ ავლენენ. მან გაიხსენა თენგიზ ფაშალიშვილი, ქართველი კაცი, რომელიც წლების მანძილზე გერმანიაში ცხოვრობს და ბიზნესს მისდევს. ბატონი თენგიზი არც ენერგიას იშურებს და არც გავლენას, რომ საქართველოსთვის სასარგებლო გარიგებები დაიდოს. სწორედ მისი მეშვეობით გუგული შეხვდა გერმანელ მეცნიერს, რომელსაც დამზადებული აქვს სრულიად ახალი ტიპის ქარის გენერატორი. მისი გაბარიტები სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ ნებისმიერი სახლის სახურავზე დაიდგას, ნებისმიერმა ოჯახმა შეიძინოს. როგორც ჩანს, ფასიც ხელმისაწვდომი იქნება.

აი, ყველაფერი ის, რაც გუგული მაისურაძემ „გამანდო“. ალბათ ზოგიერთი რამ სამომავლოდ „მოიტოვა“. ყოველ შემთხვევაში, ის, რაც მან „ერთი გასროლით“ მოიპოვა, ცოტა არ უნდა იყოს.

**ელგუჯა ლეჟავანიძე.**

კონიაკი

# „ბრენდი“ რა საკადრისია, „ენისელი“ დავარქვათ!

ადარაფერს ვიტყვი იმის თაობაზე, რაზეც უკვე სრულიად სამართლიანად „ეკონომიკის“ წინა ნომერში (29-30 ნოემბერი) გამოქვეყნებული წერილის „ქართული კონიაკი ბრენდი არ არის“ ავტორებმა თქვეს. მართლაც, ქართული კონიაკი, რომელსაც საუკუნოვანი ტრადიცია აქვს, არ შეიძლება ბრენდის „რეიტინგით“ შემოიფარგლოს.

ვითომ რატომაო? – იკითხავს გაუთვითცნობიერებული მკითხველი, რომელიც ხშირად ბრენდს კონიაკის პრესტიჟით მიირთმევს. არადა, ბრენდი მევენახეობის ენციკლოპედიაში ასეთი საკმაზით არის შეფასებული:

„ბრენდი მაგარი ალკოჰოლიანი სასმელია, მას ყურძნის ღვინის დისტილატისაგან ან ხილკენკროვანი წვენის დადუღებით და მისი შემდგომი გამოხდით ამზადებენ. როგორც სასმელი, ბრენდი გაჩნდა საფრანგეთის შარანტის პროვინციაში, XVI საუკუნეში. ამზადებენ ამ პროვინციის დაბალხარისხოვანი ღვინისაგან, რომელზეც ჩრდილოეთის ქვეყნების ბაზარზე სხვა პროვინციების ღვინოებთან შედარებით ნაკლები მოთხოვნილებაა“.

ხედავთ, ბრენდს ხილკენკროვანი წვენის დადუღებით ამზადებენ, ჩვენი კონიაკი კი კლასიკური ტექნოლოგიით მზადდება, რომლის მაღალი ხარისხის გარანტია ქართული ყურძნის უნიკალური ჯიშებისგან დამზადებული საკონიაკე სპირტი.

ახლა სპეციალისტებს არ იკითხავთ? ქართული კონიაკის შემქმნელები არიან ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები დავით სარაჯიშვილი, ვახტანგ ციციშვილი და სხვები, რომელთაც ჩვენებური ვაზის ნაყურს მთელ დუნიაზე გაუთქვეს სახელი.

მხოლოდ ერთს გავიხსენებ – იალტის კონფერენციას (1945 წელი), სადაც სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრაზე სხვა სასმელებთან ერთად ქართული კონიაკი „ენისელიც“ დააჭაშნიკეს. მაშინ ინგლისის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილს, რომელსაც ჩვენებური კონიაკი ფრანგული ეგონა, „ენისელი“ იმდენად მოეწონა, რომ მას „საოცრება“ უწოდა. კონიაკის ავტორი იყო განსვენებული ვახტანგ ციციშვილი, რომელსაც 1947 წელს სტალინური პრემია მიენიჭა.

იმ კონფერენციიდან დღემდე დიდი დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში „ენისელმა“ ბევრჯერ ისახელა თავი, საერთაშორისო კონკურსებსა და დეგუსტაციებზე უამრავი ოქროსა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება „ენისელს“ (გნებავთ, სხვა ქართულ კონიაკებს) ბრენდი ეწეროს? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვართ იმ მდგომარეობიდან, როცა ჩვენს უნიკალურ პროდუქციაზე ეტიკეტებს მოსკოვი გვკარნახობდა. დიახ, თავის დროზე ვილაც მოსკოველმა ჩინოსანმა გვიკარნახა საზღვარგარეთ გასაგზავნ ეტიკეტებზე სიტყვა „კონიაკის“ ნაცვლად დაგვეწერა „ბრენდი“ და ჩვენ დღესაც ამ კარნახის ტყვეობაში ვართ.

მაშინ ყველაფერი გასაგები იყო. მოსკოვმა ამით, ერთი მხრივ, მოხსნა საკითხი ფრანგებისგან ლიცენზიის შესყიდვის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენებური მზისა და მიწის მადლი ცინიკურად ჩაწიხლა.

ეს მაშინ, მაგრამ ახლა ხომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ? და რადგან დამოუკიდებლები ვართ, მოვალენი ვართ ჩვენს პროდუქციას ჩვენივე მიწის სახელი დავარქვათ.

დავარქვათ, მაგრამ კონკრეტულად რა დავარქვათ?

ბატონმა ვახტანგ ციციშვილმა კონიაკი „ენისელი“ დაამზადა ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში მიღებული საკონიაკე სპირტისაგან. ასე რომ, როგორც ფრანგები ამაყობენ კონიაკის დეპარტამენტით და იგი დაუდეს საფუძვლად თავიანთ სახელგანთქმულ სასმელს „კონიაკს“, ასევე შეგვიძლია ქართველებმა ვიამაყოთ სოფელ ენისელით, რომლის ვერებიდან მოწეული ყურძნიდან დამზადდა მსოფლიოში აღიარებული დეგუსტატორების მოსაწონი სასმელი „ენისელი“.

ამის თაობაზე ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე („სრ“, 1995 წლის 9 თებერვალი) წერდა თავისი საქმის დიდი სპეციალისტი, რესპუბლიკის დამსახურებული მეღვინე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტი, აწ განსვენებული გივი გუჯეჯიანი. იგი სრულიად სამართლიანად აყენებდა საკითხს ფრანგული „კონიაკის“ ადეკვატურად, საქართველოში დამზადებულ ამ ტიპის სასმელს დავარქვათ „ენისელი“.

„თუ ჩვენი საზოგადოება ამ აზრს გაიზიარებს, წერდა ბატონი გივი, მაშინ ჩვენს კონიაკებს მოეხსნებათ სამარცხვინო, მეტად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დასახელება – „ქართული ბრენდი“ და საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი პროდუქცია გავა სახელწოდებით: „ენისელი – სამ ვარსკვლავიანი“, „ენისელი – ოთხვარსკვლავიანი“, „ენისელი – ეგრისი“, „ენისელი – ძალიან ძველი“, „ენისელი – თბილისი“, „ენისელი – ბაგრატიონი“.

ეს ბოლო დასახელება „ენისელი – ბაგრატიონი“ ის ენისელი გახლავთ, რომელიც თავის დროზე ღირსეულად შეაფასა ინგლისის ლორდთა პალატის ლიდერმა უინსტონ ჩერჩილმა.

მოდით, ჩვენც შევაფასოთ ჩვენი მიწის მონაგარი, დავარქვათ ქართულ კონიაკს „ენისელი“ და ამით უკვდავვყოთ მისი სახელი.

**ოთარ ხუციშვილი.**

აღწერა

# დემოგრაფიული პრობლემები ქვეყნის აქტუალური საკითხებია

1999 წლიდან მოსახლეობის საყოველთაო აღწერა იწყება. ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებასთან დაკავშირებით ამ დღეებში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციალური კვლევის ინსტიტუტმა მოაწყეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერა და დემოგრაფიული პრობლემები“.

კონფერენციაზე, რომელიც გახსნა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თეიმურაზ ბერიძემ, ითქვა: საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს მიუახლოვდა. ამჟამად ქვეყნის რაიონებსა და ქალაქებში მიმდინარეობს სააღწერო პერსონალის შერჩევა, რომელთა რიცხვმა 21 ათასი კაცი უნდა შეადგინოს. უკვე დაიბეჭდა მეთოდოლოგიური დოკუმენტები, მთავრდება აღწერის მასალების ავტომატიზებული დამუშავების ინსტრუქციისა და შესაბამისი ლექსიკონების შედგენის სამუშაოები. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, ძნელადმისადგომ რაიონებში უკვე ჩატარდა მოსახლეობის წინასწარი აღწერა, რომელიც ერთგვარი შემოწმება იყო იმისა, თუ როგორ მოვემზადეთ მთლიანად ქვეყანაში აღწერის მაღალორგანიზებულად მოწყობისათვის. საჭირო იყო დაგვედგინა, როგორ აღიქვამს მოსახლეობა სააღწერო პროგრამით გათვალისწინებულ კითხვარს, რამდენად მომზადებულია ის ამ დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებისათვის, როგორია ჩვენი სააღწერო პერსონალის პროფესიული მომზადების დონე და სხვა. წინასწარი ანალიზის მიხედვით ნათელია, რომ აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები ძირითადად სწორი ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური პრინციპებით ხორციელდება. აქტიურად გამოიყენება ცენტრალური და ადგილობრივი მასმედიის საშუალებები. მიმდინარე წლის აპრილიდან გამოდის დეპარტამენტთან დაფუძნებული ყოველთვიური გაზეთი „მილიონთა ბიოგრაფია“, რომელიც ფართოდ აშუქებს მოსახლეობის აღწერის საკითხებს. გამოვიდა აღწერასთან დაკავშირებული ცნებების და დემოგრაფიული ტერმინების მოკლე ცნობარი, მალე ქვეყნის სკოლების უფროსკლასელებს დაურიგდებათ დეპარტამენტის მიერ მომზადებული ბროშურა, სადაც პოპულარულ ენაზე იქნება მოთხრობილი აღწერის მნიშვნელობაზე, მის ისტორიაზე, მიზნებსა და ამოცანებზე, აღწერის ჩატარების წესზე. ასე რომ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თითქმის მთლიანად შეასრულა აღწერის მოსამზადებელი სამუშაო, რომელთა განხორციელება მას ევალებოდა. მიუხედავად ამისა, დაუფინანსებლობის გამო დღემდე გადაუწყვეტელია მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა გარეშე შეუძლებელია აღწერის მაღალხარისხოვნად განხორციელება.

თავისთავად აღწერა მეტად შრომატევადი საქმეა, რომელიც დიდ დანახარჯებს მოითხოვს. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, მოსახლეობის აღწერა ერთ სულზე გაანგარიშებით 3,5 აშშ დოლარი ჯდება. ქვეყნის დეფიციტურობის გამო ჩვენთან ეს ციფრი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 93 ცენტის ტოლია. სამწუხაროდ, ვერ ხერხდება ამ მწირი სახსრების მიღებაც კი, რის გამოც, დღემდე დაუბეჭდავია 9 მილიონამდე სააღწერო ფურცელი, შესაძენია სხვა აუცილებელი სათადარიგო ნაწილები, სირთულეების მიუხედავად საჭიროა გამოინახოს ფინანსები, რათა სტატისტიკის დეპარტამენტმა კვლავ განაახლოს სამუშაოები და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს, თორემ გაწეული ხარჯების 75-80 პროცენტი წყალში ჩაყრილად ჩაითვლება.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი ლეო ჩიქავა, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იოსებ არჩვაძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარე ანზორ თოთაძე და სხვები.

კონფერენციაზე მრავალი საინტერესო პრობლემა დაისვა, რომელთა გადაჭრა აუცილებელია ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის.

**ლალი ძინძლაძე.**

დგანან და ელიან...



სააქციო საზოგადოება „ქიმკომბინატს“ დღეს რთულ ვითარებაში უხდება მუშაობა. მის ირგვლივ დღეს რატომღაც არაჯანსაღი ვითარებაა შექმნილი. იგი რესპუბლიკაში ერთ-ერთი იმ საწარმოთაგანია, რომლის პროდუქციაზეც მსოფლიო ბაზარზე საკმაო მოთხოვნილებაა. თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო მისი გასაღება უჭირს. მეტიც, სასამართლოებთან და მოქიშპეებთან გაუთავებელ ჭიდილში ზარალს-ზარალზე ითვლის.

**სურათზე: ამონიუმის სულფატის საამქრო.**

ენერგეტიკა

# აუცილებელი განმარტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№ 304-305, 22-23 XI) გამოქვეყნებულ თეიმურაზ კინწურაშვილის წერილში „საწვავის ხარისხს დეპარტამენტი გააკონტროლებს“ საუბარი იყო ქვეყანაში საწვავის ხარისხის და მისი სერტიფიცირების პრობლემებზე.

წერილმა ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის ფუნქციების არაერთგვაროვანი გაგება გამოიწვია. კერძოდ, ზოგიერთმა ორგანომ ჩათვალა, თითქოს დეპარტამენტის სახელმწიფო ზედამხედველო ინსპექცია პროდუქციის წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის თუ რეალიზაციის ადგილებში უშუალოდ ხარისხის შემოწმებას განახორციელებს. სინამდვილეში დეპარტამენტი კონტროლს გაუწევს, რათა ყველა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა პროდუქციის წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის და რეალიზაციის დროს დაიცვას პროდუქციის ხარისხი და ჰქონდეს ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელსაც გასცემენ „საქსტანდარტის“ მიერ აკრედიტებული სასერტიფიკაციო ორგანოები „საქსტანდარტის“ მიერ აკრედიტებული ლაბორატორიების დასკვნების საფუძველზე.

ეს ეხება არა მარტო სათბობს, არამედ ყველანაირ ელექტროპროდუქციას და მომსახურებას სათბობ-ენერგეტიკის სფეროში. აღნიშნულ ლაბორატორიებსა და სასერტიფიკაციო ორგანოებს აკრედიტაციისათვის მოამზადებს და წარადგენს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და „საქსტანდარტის“ ერთობლივი ბრძანების საფუძველზე ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტში შექმნილი ტექნიკური ნორმებისა და სერტიფიკაციის მთავარი ცენტრი, რომელიც „საქსტანდარტის“ შესაბამის ორგანოებთან ერთად სათბობ-ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო სტანდარტებისა და სერტიფიკაციის წესების დაცვის კონტროლს განახორციელებს.

**ლევან ტურაზაშვილი,**

**ენერგოზედამხედველობის და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის დირექტორი.**

## იპარავენ

# ტყიბულელი ენერგეტიკოსები თბილისელებს „ბაძავენ“

ელექტროენერგიის განაწილებისა და მომხმარებლისადმი მისი სისტემატურად გრაფიკის დაუცველად მიწოდება ჩვენში ხომ ლამის კანონზომიერ მოვლენად იქცა. ამას დღეს ყველაზე მეტად უშუქობით გაწამებული მოსახლეობა განიცდის. მათ გაღიზიანებას კი ამ მხრივ განსაკუთრებით „თელასის“, რაიონული რგოლების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა იწვევს, რომლებიც ზემდგომთა უკონტროლობითა და ხელშეწყობით გათამამებულნი თავიანთ უფლებებს პირადი მოსაზრებებით (როგორც ამბობენ, არც მთლად უანგაროდ) იყენებენ, ისე რომ, მედლის მეორე მხარეს და აქედან გამომდინარე, მოსალოდნელ შედეგებს ან არ აცნობიერებენ, ან კიდევ შეგნებულად იწვევენ ხალხში უკმაყოფილების გრძნობას.

ეს მავნე სენი თურმე მარტო ჩვენი დედაქალაქისათვის როდი ყოფილა დამახასიათებელი. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონია ადგილი ტყიბულშიც, სადაც ამას წინათ ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მუშაკების ვიზიტის დროს დარღვევის მრავალი ფაქტი გამოვლინდა, მათ შორის, როგორც დეპარტამენტის ოპერატიულ-საინსპექციო განყოფილების უფროსმა გიორგი ბარაბაძემ გვითხრა, იქაც ჰყოლიათ თურმე ელექტროენერგიის პრივილეგირებული მომხმარებლები.

ტყიბულში ადგილობრივი ელექტროკომპანიის მიერ უხეშად რომ ირღვევა „საქენერგოს“ მიერ გამოყოფილი ლიმიტი, ეს შემმოწმებლებმაც დაადასტურეს. ელექტროენერგია ობიექტთან შეუთანხმებლად ნაწილდება, რაც პირველ რიგში მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, რადგან მისი უსამართლოდ განაწილებით ყველაზე მეტად ისინი ზარალდებიან.

ენერგოკომპანიის მიერ ელექტროენერგია აქ განაწილების სქემის გვერდის ავლით სპეციალურად მოწყობილ სატრანსფორმატორო პუნქტს მიეწოდება, საიდანაც იგი უდოკუმენტაციოდ, ტექნიკური პირობების უგულებელყოფით, სადენების საშუალებით გადადის მოსახლეობაში, რომელსაც ბოლოში გაყალბებული მრიცხველები უყენია. მათ მიერ გახარჯული ელექტროენერგიის ანაზღაურება კი უშუალოდ ენერგოკომპანიასთან ხდება. ასეთი დარღვევების მრავალი ფაქტი გამოვლინდა № 1, №3 და № 4 სატრანსფორმატორო ჯიხურებში. ტრანსფორმატორებს აკლდათ ზეთი, არ ჰქონდათ დამცველები, მაღალი და დაბალი ძაბვის დამცველები ძირითადად კუსტარული, ხოლო საყრდენების უმეტესი ნაწილი დაუმიწებელი იყო. ყოველივე ეს, უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, ყოვლად დაუშვებელია.

აბონენტის ქსელზე მიერთება და აღრიცხვაზე აყვანა აქ წესების დარღვევით სააქციო საზოგადოება „ცემსის“ მიერ ენერგოზედამხედველობის წარმომადგენლის დასკვნის გარეშე ხდება, რის გამოც უგულებელყოფილია ელექტროდანადგართა მოწყობილობების, უსაფრთხოების ტექნიკისა და ექსპლუატაციის წესების დაცვა, რაც თავისთავად ავარიის და ტრავმატიზმის საშიშროებას ქმნის.

აგურის ქარხანაში შემოწმების დროს წესრიგში არ ჰქონდათ დამიწების სისტემა, მრიცხველი გაყალბებული იყო, ტრანსფორმატორიდან კი ზეთი ილერებოდა. მათივე კუთვნილი ქსელიდან დარღვევით იღებდა დენს მერიის სახაზინო საწარმო „ორიგინალი“. ეს იმ დროს, როცა თავად დენის გამცემს არ ჰქონდა ქსელზე მიერთების ნებართვა, ხოლო მათ მიერ დახარჯული დენის დავალიანება კი 1211,76 ლარს შეადგენდა. დარღვევები აღმოჩნდა თავად სახაზინო საწარმოშიც.

რაც შეეხება საკოლმეურნეო ბაზრის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ სავაჭრო ობიექტებს, მათ დენი ყოველთვის შეუზღუდავად მიეწოდებათ. ამ პატივისცემის საფასურად ისინი ენერგეტიკოსებს გაყალბებული მრიცხველებით „უპასუხებენ“, ქირას კი დიდი დაგვიანებით, თანაც დარღვევით უხდიან.

სასიცოცხლო დანიშნულების თითქმის ყველა ობიექტიდან (საავადმყოფო, წყალსადენი, სატელეფონო სადგური და სხვა) მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას უნებართვოდ, ტექნიკური პირობების დარღვევით აქვს გაყვანილი დამატებითი ხაზები, რაც ასევე ყოვლად დაუშვებელია.

მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ გადამდები ყოფილა ცუდი სენი. ოკრიბელებს ეს ნამდვილად არ ეპატიებათ.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**



იძლევი ფულს, გაძლევ სინათლეს!

## საერთაშორისო ორგანიზაციები

# მსოფლიო ბანკი

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი) სავალუტო ფონდის მსგავსად ასევე ბრეტონ-ვუდსის 1944 წლის შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. პრაქტიკული საქმიანობა 1946 წლიდან დაიწყო. მსოფლიო ბანკის სათაო კანტორა, ისე როგორც სსფ, განლაგებულია ვაშინგტონში. აქვეა განლაგებული მისი რეგიონული ბიუროებიც, ამის გარდა მსოფლიო ბანკს 29-ზე მეტ ქვეყანაში აქვს მუდმივი მისიები, რომლებიც რეგიონულ ბიუროებს ემორჩილებიან. მსოფლიო ბანკის წევრობისათვის, როგორც აუცილებელი პირობა, სავალდებულოა იყო სსფ წევრი.

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების პირობის მიხედვით რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ძირითადი ამოცანა მეორე მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული ქვეყნების სახალხო მეურნეობის აღსადგენად საფინანსო რესურსების გამოყოფა იყო.

მსოფლიო ბანკის წევრი ქვეყნების რიცხვი პერიოდულად იზრდებოდა. თავდაპირველად 1946 წელს მასში 38 ქვეყანა გაერთიანდა. 1956 წელს მათი რიცხვი 58-მდე, ხოლო დღეს უკვე 155-ს გადააჭარბა.

მსოფლიო ბანკს ხელმძღვანელობს მმართველთა საბჭო. აღმასრულებელი ორგანოა დირექტორატი, რომლის სათავეშიც პრეზიდენტი დგას. მსოფლიო ბანკი სამთავრობოშორისი საფინანსო ორგანიზაციაა გაეროს სპეციალიზებული საფინანსო დაწესებულების სტატუსით. ბანკი ძირითადად გრძელვადიან კომერციულ სესხებს იძლევა. სესხის აღება შეუძლია როგორც სახელმწიფოს, ასევე ფირმებსა და კორპორაციებს, რომელთაც თავიანთი მთავრობები გრანტებს აძლევენ. ჩვეულებრივი კრედიტი 20 წლით საშუალოდ წლიურად 10 პროცენტიანი სარგებლით გაიცემა.

მსოფლიო ბანკის მართვის ორგანოებში წარმომადგენლობისა და ხმების რაოდენობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანალოგიურად განისაზღვრება. ყველაზე მაღალი კვოტის ქვეყნებს (დიდი შვიდეული) დირექტორატში თითო წარმომადგენელი (დირექტორი) ჰყავთ. დანარჩენი ქვეყნები ჯგუფებად არიან დაყოფილნი.

მსოფლიო ბანკის ძირითადი კაპიტალი დაარსების საწყის ეტაპზე 10 მილიარდი აშშ დოლარით განისაზღვრებოდა. 1959 წლისათვის იგი 21 მილიარდამდე გაიზარდა. ხოლო 1995 წლის ბოლოსათვის მან 184 მილიარდს მიაღწია.

წესის მიხედვით ბანკში გაწევრიანებისას ქვეყანას კვოტის მხოლოდ 10 პროცენტის შეტანა შეეძლო, აქედან ერთი პროცენტი დოლარით ან ოქროთი უნდა გადაეხადა, დანარჩენი ეროვნული ვალუტით. გაწევრიანებული ქვეყნისთვის კაპიტალის დანარჩენი 90 პროცენტის შეტანა ერთბაშად აუცილებელი არ არის, მაგრამ თუ ბანკს საჭიროება გაუჩნდა, მას შეუძლია მისი დაფარვა სასწრაფოდ მოითხოვოს. ამ შენატანის პირველ ნაწილს ბანკი თავის შეხედულებისამებრ იყენებს, მეორეს კი გაწევრიანებულ ქვეყანასთან ათანხმებს. სესხის მისაღებად გარკვეული პროცედურები და პირობებია შესასრულებელი. ერთ-ერთი მთავარი მთლიანი შიდა პროდუქციაა. იგი ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 725-დან 5000 დოლარს არ უნდა აჭარბებდეს. ის ქვეყნები, სადაც ეს მაჩვენებელი 725 დოლარზე ნაკლებია, შეღავათიანი კრედიტის უფლებას განვითარების საერთაშორისო ასოციაციიდან იღებენ. ხოლო, თუ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე 5000 დოლარს აჭარბებს, ქვეყანა ამ შემთხვევაში სესხს ვერ მიიღებს.

მსოფლიო ბანკის განკარგულებაში არსებული საერთო კაპიტალი სესხებზე ბევრი ქვეყნის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ იგი სესხების კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე გამოშვებას მიმართავს. არსებობს კაპიტალის შევსების მეორე გზაც, რაც გადიდებული სარგებლით კრედიტის გაცემას გულისხმობს.

მსოფლიო ბანკიდან სესხის მისაღებად, სესხის ამღებმა ქვეყანამ რამდენიმე აუცილებელი პირობა უნდა შეასრულოს. კრედიტისათვის სარგებლის განაკვეთის სიდიდე და მისი განსაზღვრის მეთოდიკა საერთაშორისო ბაზარზე არსებულ კონიუნქტურას უკავშირდება. კრედიტის მოცულობის დაფარვის ვადა, და ხშირად საპროცენტო განაკვეთი, პროექტის შინაარსზე და რეალიზაციის პირობებზეა დამოკიდებული.

კერძო პროექტის დაფინანსების კრედიტს მსოფლიო ბანკი თავად არ იძლევა. იგი მის ქვემდებარე საკრედიტო სტრუქტურებს აქვთ მინდობილი.

დაკრედიტების ვადა დამოკიდებულია პროექტზე და ის უნდა დაიფაროს ვადის დამთავრებიდან ექვს თვეში.

## ფელეტონი

# დამაწინაურეს...

ამბობენ, ყველა ადამიანს თავისი ბედი შუბლზე აწერიაო. ურწმუნო არა ვარ, მაგრამ, მომკალით და არ მჯერა, კაცს თავისი ბედი შუბლზე ეწეროს. პირადად მე ექიმი ვარ, რენტგენის აპარატით უამრავი ვინმე გამიშუქებია, მაგრამ არავის შუბლზე ასოების მაგვარი არაფერი შემიმჩნევია.

ვიდრე გავდემოკრატდებოდით, ვცხოვრობდი, არა მიშავდა რა, შემდეგ გული გამიტყდა. ის იყო გადავწყვიტე საერთოდ გავცლოდი ჯანმრთელობის დაცვის სისტემას და ვაჭრობისთვის მომეკიდა ხელი, რომ მოულოდნელად რაიონის მთავარმა ექიმმა, პოლიკლინიკის მთავარი ექიმობა შემომთავაზა.

რაღას ვიზამდი, თანამდებობას დავეშურე და დავთანხმდი. როგორც იტყვიან, მივდექ-მოვდექი, ცოტაოდენი ხელის ჭუჭყიც გავილე და ბრძანებაც გამოცხვა. თავდაპირველად დიდი სიხარული არ გამოუწვევია ახალ თანამდებობას (რაღაც ოთხი ლარი მომემატა), ერთხანობას გულიც კი მომივიდა იმ ჩემს პროტეჟეზე, ეს რა მიქნა, იმ რენტგენის კაბინეტში, ხუთი კაციდან ერთი მაინც მჩუქნიდა რაღაც თანხას, აქ კი...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თანამშრომლის მიერ შემოტანილმა ოთხმა ბოთლმა შამპანიურმა და კარგა მოზრდილმა „ბამბანერკამ“ იმედის ნაპერწკალი გამიღვივა. მეორე დღეს განყოფილების გამგემ თავისი ნაცნობი ექიმის ვაკანტურ ადგილზე დანიშვნა მთხოვა. „ნათლობამ“, რა თქმა უნდა, სარფიანად ჩაიარა.

ჩემი „ხასიათი“ რომ გაიგეს, ახლა სხვა საკითხზე მომადგნენ. პოლიკლინიკა პრესტიჟულ ადგილზე იყო და დღეში ბარე ათი კაცი მაკითხავდა – ოთახებს მთხოვდნენ იჯარით. იძულებული გავხდი სამეურნეო პრობლემებში გავრკვეულიყავი. ჯერ ერთი ოთახი გავაიჯარე, მერე მეორე, მესამე, მეოთხე... თავისუფალი ადგილი რომ აღარ დამრჩა, თანამშრომლები გადავაადგილე და სამი ოთახი კიდევ გამოვათავისუფლე. თავიდან ცოტა კი მეშინოდა, მაგრამ, თურმე, თუ გაყოფა კარგად იცი, ვინ რას გერჩის.

რაღა დაგიმალოთ და მოიჯარეები კარგი ხალხი გამოდგა. თვის ბოლოს პუნქტუალურად, ზრდილობიანად შემოვიდოდნენ კაბინეტში, წინასწარ გამოღებულ მაგიდის უჯრაში თეთრ კონვერტს ჩააგდებდნენ და ისევ ფეხაკრეფით გავიდოდნენ. ასე გაგრძელდა თითქმის სამი წელიწადი. ამ ხნის მანძილზე საცხოვრებელ ბინას მშვენიერი რემონტი გავუკეთე, ბიჭს ახალთახალი „მერსედესი“ ვუყიდე, ჩვენი „საქენერგოს“ გადამკიდემ თავი დავიზღვიე და იაპონური პატარა გენერატორიც შევიძინე. ერთი სიტყვით, ჩემს ბედს ძაღლი არ დაყეფდა, ვიდრე...

ერთ მშვენიერ დღეს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დამიბარა. კაბინეტში შესულს ფეხზე წამომიდგა, ხელი ძმაკაცურად ჩამომართვა და მითხრა. არ გაგიკვირდეთ, სამინისტროს განყოფილების გამგედ უნდა დაგაწინაუროთო. ამ ადგილზე ბევრს ჰქონდა პრეტენზია, მაგრამ ქვისლმა შენზე მთხოვა და უარს როგორ ვეტყოდი,რაც არ უნდა იყოს ქვისლია, თანაც პარლამენტარი. ისე, კარგი ოჯახი კი აურჩევია შენს ბიჭს სამოყვროდ...

– არ მესმის, აქ რაღაც გაუგებრობაა, – შევბედე მინისტრს.

– არავითარი გაუგებრობა, შენ ახლა უკვე ახლობელი კაცი ხარ, როდემდე უნდა მჯდარიყავი იმ 30-ლარიან ხელფასზე? აქ 110 ლარი გექნება, ზოგჯერ მივლინებებიც მოგიწევს, ქეიფი გიყვარს და არც ის მოგაკლდება.

კაბინეტიდან ნაბანოვარივით გამოვედი. კიბეებზე ჩამოსვლისას ფეხი დამიცურდა და მუხლი გადავიყელვე. სახლში რომ მივედი, პირველად ის ვინატრე, ბიჭი შინ არ დამხვედროდა. თუმცა, მისი რა ბრალია, რომ მეკითხებოდა, საიდან ამდენი ფული, ძმაკაცები მეხმარებიან-მეთქი, ვეუბნებოდი. ჰოდა, შეეიდა ჩემს მდგომარეობაში შვილი, იზრუნა მამისათვის, შეაწუხა მომავალი გავლენიანი სიმამრი და მაღალხელფასიან თანამდებობაზე გადამიყვანეს.

ისე, შვილზე არ მწყდება გული იმდენად (ახალგაზრდაა და ბევრი რამ ეშლება), რამდენადაც მომავალ მძახალზე. რამ ააცუნდრუკა, დღეს რომ კაცი ხელფასით „მერსედესს“ კი არა, ქუთაისურ ტრაქტორს ვერ იყიდის, ვითომ არ იცის?!

**რუბენ ფირაძე.**

**სარედაქციო საბჭო:**

თემურ ბასილია (საბჭოს თავმჯდომარე), ელგუჯა ლებანიძე, თამაზ მაღლაკელიძე, რუსლან რუსია, ზურაბ ტყემალაძე, ნოდარ ჭითანავა, ოთარ ხუციშვილი (რედაქტორი), ვახტანგ გელაშვილი (ტექნიკური რედაქტორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკომენტაროდ

# პატარა სომხეთი... საქართველოში

ჯავახეთს არ სჯერა თბილისისა და რუსი ჯარისკაცები ურჩევნია. ეს მიწა-წყალი საქართველოს ეკუთვნის, მაგრამ მასზე მრავალი წელიწადია, ფეხი არ დაუდგამს ქართველ ჯარისკაცს. მოსახლეობა ძლივს ლაპარაკობს ქართულს. ბავშვები ერევნიდან გამოგზავნილი სახელმძღვანელოებით სწავლობენ, ხოლო ახალგაზრდა ბიჭები რუსეთის ჯარში მსახურობენ. მიუხედავად ამისა, კითხვაზე: „რამდენად მოსალოდნელია ჯავახეთში სიტუაციის გამწვავებაო“? მოსაუბრენი გვიპასუხებდნენ: „ვერ ეღირსებითო“.

ლენინაკანიდან ბოგდანოვკაში რომ მივდიოდით, სომეხმა შოფერმა სიამაყით დაგვანახა ნამსხვრევებისა და ნანგრევების გროვა: ესღა დარჩენილიყო აფეთქებული საქართველოს სასაზღვრო საგუშაგოსაგან, რომელიც რამდენიმე წლის წინათ, ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს, აღემართათ საქართველოს შემადგენლობაში შემავალ სამცხე-ჯავახეთის რეგიონსა და სომხეთს შორის. სომხები, რომლებიც რეგიონში აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ, მას „ჯავახკს“ უწოდებენ. ახლა სომხეთსა და ჯავახეთის ნინოწმინდის (ბოგდანოვკის) რაიონს შორის მორიგეობენ მხოლოდ მებაჟეები, რომლებიც ათას სომხურ დრამად შეუმოწმებლად გაგატარებენ მსუბუქი მანქანით.

ამ მაღალმთიან მხარეს მკაცრი ჰავის გამო „ქართულ ციმბირს“ ეძახიან.

შემოდგომაზე ქართულსა და სომხურ პრესაში გაჩნდა დოკუმენტი „ჯავახკის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის“ სახელწოდებით. დოკუმენტის ავტორად, რომელიც წინადადებას იძლევა, რეგიონს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭოს, მიაჩნიათ ერვანდ შირინიანი, ეროვნული მოძრაობა „ჯავახკის“ ერთ-ერთი ლიდერი. სწორედ ამიტომ დაიწყო ლაპარაკი რეგიონში სიტუაციის გამწვავების შესახებ (თავის დროზე, ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნას მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში).

სომხეთის საერთო-ეროვნულმა მოძრაობამ – ყოფილი პრეზიდენტის ტერ-პეტროსიანის პარტიამ „ჯავახკის კონსტიტუციას“ პროვოკაციული დოკუმენტი უწოდა: „ჯერ კიდევ სომხეთის სისხლიანი ისტორიიდან ცნობილი ავანტიურული ძალები აქეზებენ საქართველოში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს უპრეცედენტო ავანტიურისათვის“. თუ ვის გულისხმობდა ტერ-პეტროსიანის პარტია „ავანტიურულ ძალებად“, სომხეთში არავისთვის არ არის საიდუმლო. „ჩვენი პროგრამა, რომელიც 108 წლის წინათ არის დაწერილი, – გვითხრა ერევანში „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენელმა არმენ რუსტამიანმა, – თავის მიზნად აცხადებს გაერთიანებულ სომხეთს ნახჭევნის, ყარაბაღისა და ჯავახეთის ისტორიული მიწა-წყლითურთ. მაგრამ ჩვენ როდი ვაყენებთ საკითხს ჯავახეთის გამოყოფის შესახებ“. ჩემი თანამოსაუბრის თქმით, „დაშნაკცუტუნი“ ნაბიჯსაც არ გადაგამს სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის საზიანოდ, თუ ჯავახეთელ სომხებს დისკრიმინაციას არ დაუპირებენ. „დაშნაკცუტუნს“ სომხეთში ბევრნი ეძახიან მმართველ პარტიას, და იმას გულისხმობენ, რომ დაშნაკებს დიდი გავლენა აქვთ პრეზიდენტ კოჩარიანზე.

როგორც ამბობენ, „დაშნაკცუტუნი“ დაკავშირებულია „სახალხო მოძრაობა ჯავახკის“ ორგანიზაციის ლიდერებთან, რომელსაც ექსტრემისტული გაერთიანების რეპუტაცია აქვს.

„ეს არ არის ჩვენი ხალხი, – ამბობს არმენ რუსტამიანი. – მაგრამ იდეოლოგიურად ისინი ახლოს დგანან ჩვენთან“. აქ არ არის სეპარატიზმი „რა შუაშია სეპარატიზმი – გვეუბნება ახალქალაქის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე სამველ სრნიკიანი – ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ ერთს: რომ გუბერნიის ცენტრი იყოს არა ახალციხე, არამედ ახალქალაქი“. სამცხე-ჯავახეთს, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებს, სათავეში უდგას პრეზიდენტის რწმუნებული, რომელსაც თბილისი ადგილობრივ ელიტასთან შეუთანხმებლად ნიშნავს. ამჟამად პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში გიგლა ბარამიძე და მისი აპარატი ახალციხეში იმყოფებიან, ამასთან, აპარატში მუშაობს მხოლოდ ორი ადგილობრივი კაცი, დანარჩენები თბილისიდან არიან. ახალქალაქის ადმინისტრაცია უკმაყოფილოა: საკითხები, რომლებიც მათ შეეძლოთ თბილისში გადაეწყვიტათ, ჯერ ახალციხეში უნდა შეათანხმონ. ახალქალაქში ჩვენი ჩასვლის დღეს ჯერ კიდევ აჯამებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შედეგებს,

**არჩევნებმა მოიტანა ერთბაშად ორი სენსაცია. პირველი ის იყო, რომ რაიონში, სადაც მოსახლეობის 94 პროცენტს სომხები შეადგენენ და მხოლოდ 4 პროცენტს – ქართველები, მეორე ადგილზე აღმოჩნდა საქართველოს ირინე სარიშვილ-ჭანტურიას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.**

რომელიც პირველად გაიმართა 1991 წლის შემდეგ. არჩევნებმა მოიტანა ერთბაშად ორი სენსაცია. პირველი ის იყო, რომ რაიონში, სადაც მოსახლეობის 94 პროცენტს სომხები შეადგენენ და მხოლოდ 4 პროცენტს – ქართველები, მეორე ადგილზე აღმოჩნდა საქართველოს ირინე სარიშვილ-ჭანტურიას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ყველაზე „ქართული“ ყველა დანარჩენ ქართულ პარტიათაგან. მას ხმა მისცა 20 პროცენტმა. შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირის პარტიამ მიიღო 40 პროცენტი. „ჩვენში ირჩევდნენ კონკრეტულ ადამიანებს, – ამბობს სამველ სრნიკიანი. – ედპ-საგან კენჭს იყრიდნენ პატივსაცემი ადამიანები: ქალაქის მერი, მთავარი, ექიმი, კავშირგაბმულობის უფროსი...“. ამომრჩეველთა უმრავლესობას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა პარტიაზე, რომელსაც ხმას აძლევდა. ადგილობრივი აქტივისტები ასეთ ამბავს ჰყვებოდნენ: „კაცმა ხმა მისცა ედპ-ს. ეკითხები: ვინ, არის ლიდერი? როგორ თუ ვინ? მეუბნება ენოქ ხოდიკიანი, მე მას ვიცნობ. ეგ რომელი სარიშვილი? ქართველს ხომ არ მივცემდი ხმას!“

სომეხი მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი „ჯავახკი“ რეგისტრაციაში არ არის გატარებული: როგორც მისმა ლიდერებმა ამიხსნეს, ოფიციალურად რეგისტრაციის თხოვნით არავისთვის მიუმართავთ, ვინაიდან თბილისში კერძო საუბრების დროს განუმარტეს, მაინც უარს გეტყვიანო. ბოიკოტის პირვანდელ იდეაზე ახალქალაქელებმა უარი თქვეს. „ამ შემთხვევაში მოქალაქეთა კავშირი ხმების 80-90 პროცენტს მიიღებდა, – ამბობს ენოქ ხოდიკიანი. – ასე კი, მმართველმა პარტიამ სულ 40 პროცენტი მოიპოვა, თუმცა, მისთვის ხმის მიცემას მოგვიწოდებდა ჯავახკში ნამყოფი სომხეთის ყველა ოფიციალური პირი“. მთავარი სენსაცია გახდა ის, რომ 30 ათას ამომრჩეველთაგან ასლან აბაშიძის დემოკრატიული აღორძინების კავშირს ხმა მისცა სულ 800 კაცმა. არჩევნების წინ დადიოდა ხმები „ჯავახკის“ ლიდერებისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მჭიდრო კონტაქტების შესახებ, იმასაც ამბობდნენ, თითქოს მას გამოეთქვას ჯავახეთის აჭარასთან შეერთების იდეა. „ახალქალაქელები არჩევნებს ისე ეკიდებოდნენ, როგორც რეფერენდუმს: „გსურთ აჭარას შეუერთდეთო?“ – ეუბნებოდნენ საარჩევნო კომისიაში. აჭარის ლიდერმა დიდი შეცდომა დაუშვა: ჯავახეთში გამოგზავნა შაქარი და ფქვილი, რომლებიც დაბალ ფასად იყიდებოდა. ამის შემდეგ ვინღა მისცემდა ხმას: რომელი მთიელი გაყიდის თავის ხმას ტომარა ფქვილზე! და, ბოლოს, ახალქალაქში ბევრნი დარწმუნებული არიან: აბაშიძის ზურგსუკან თურქეთი დგას. უცხოები აქ არ დადიან. „ჯავახკის“ ერთ-ერთი ლიდერი აბაშიძესთან კონტაქტებს არ უარყოფდა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ინტეგრაციას: „თუ აჭარაში ჩვენი კარტოფილი გაიყიდება, ხოლო ჩვენში – იქაური მანდარინი, რა საფრთხეს შეუქმნის ეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“? „ჯავახკის“ ინფორმაციით, ადგილობრივმა ხელისუფლებმა ყველაფერი იღონეს, რათა აბაშიძის პარტია ვერ გასულიყო: ზოგიერთი „რადიკალი“ დააპატიმრეს კიდეც იარაღის (რამდენიმე ვაზნის) შენახვისათვის.

**მთავარი სენსაცია გახდა ის, რომ 30 ათას ამომრჩეველთაგან ასლან აბაშიძის დემოკრატიული აღორძინების კავშირს ხმა მისცა სულ 800 კაცმა.**

„ჯავახკის“ კომიტეტი გარდაქმნის ტალღამ წამოატივტივა 88-ის მარტში „ყარაბაღის“ კომიტეტის ერთდროულად. 1989-1992 წლებში მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი სამველ პეტროსიანი ახალქალაქის რაიონს ხელმძღვანელობდა. „ჯავახკმა“ ორგანიზაცია გაუწია ჰუმანიტარული დახმარების, იარაღისა და მოხალისეების გაგზავნას ყარაბაღში. „ჯავახკის“ ბოევიკებმა განაიარაღეს ზვიად გამსახურდიას დაცვა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაატარეს თავიანთ ტერიტორიას. ორჯერ: 89-სა და 92-ში – არ შეუშვეს ჯავახეთში ქართული ჯარები. მესამე იყო მიმდინარე წლის აგვისტოში, როდესაც საქართველოს ქვეგანაყოფები ვითომდა რუს სამხედროებთან შეთანხმებით (ზუსტი თარიღის დაუთქმელად) მიდიოდნენ ერთობლივი წვრთნის მოსაწყობად. ქალაქისაკენ მიმავალი სატანკო კოლონის დანახვაზე მოსახლეობას სრულიად გასაგები ეჭვი გაუჩნდა: „დიახ, აქ არიან ისეთი ბიჭები, რომლებიც თავს არავის დააჩაგვრინებენ, – მითხრა არაოფიციალური საუბრის დროს რაიონული ადმინისტრაციის თანამშრომელმა. – მაგრამ არ გეგონოთ, რომ რუსეთი ან სომხეთი ერეოდნენ საქმეში, ეს ადგილობრივი მოძრაობაა. როდესაც თბილისში მეუბნებიან: თქვენ აქ ყოველ კაცზე ორ-ორი ტანკი გაქვთო, მე ვუპასუხებ: რვა-რვა-მეთქი“.

ჯავახეთის მოსახლეობის შეიარაღების დონე მართლაც მაღალია. რამდენიმე წლის წინათ „ჯავახკის“ შეიარაღებული ფორმირებანი ყარაბაღში იბრძოდნენ და სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ ამიერკავკასიაში. სამველ პეტროსიანმა მთხოვა, ყველასთვის მეცნობებინა, რომ მან თავი გაანება აქტიურ საქმიანობას: „გამსახურდიას დროს ჩვენ საკუთარ ხელში ავიღეთ ძალაუფლება, მაგრამ შევარდნაძემ ბეჭებზე გაგვაკრა“. მისი თქმით, მოძრაობა „ჯავახკი“ იშლება: ვიღაცას თბილისში თანამდებობა მისცეს, ვიღაცას ბიზნესის ფეხზე დაყენებაში დაეხმარნენ. პეტროსიანი ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია რუსეთის პოზიცია: „ჩვენ რუსეთის სამხედრო ბაზას

**სამველ პეტროსიანმა მთხოვა, ყველასთვის მეცნობებინა, რომ მან თავი გაანება აქტიურ საქმიანობას: „გამსახურდიას დროს ჩვენ საკუთარ ხელში ავიღეთ ძალაუფლება, მაგრამ შევარდნაძემ ბეჭებზე გაგვაკრა“. მისი თქმით, მოძრაობა „ჯავახკი“ იშლება.**

ვიცავთ, ისინი კი თითს გვიქნევენ. მაგრამ რუსებს ურჩევნიათ, მოსკოვი დაკარგონ, ვიდრე ახალქალაქი და ბათუმი დათმონ. იმიტომ, რომ ახალქალაქი – ეს არის კავკასიის კარიბჭე“, სტაბილურობის გარანტი, რუსეთის ბაზის საკონტროლო-გამშვები პუნქტი ისე გაგვატარეს, რომ არავითარი საბუთი არ მოუთხოვიათ, და ეს თვალსაჩინოდ მოწმობს სამხედროების საუცხოო დამოკიდებულებას მოსახლეობისადმი. ამ საკითხში ყველა ერთიანია: რადიკალებიც და „ოფიციოზიც“. – ხალხს სურს, რუსეთის დივიზია ახალქალაქში დარჩეს, – გვეუბნება სამველ სრნკიანი. – თუ ჯარებს გაიყვანენ – საზღვარი დაუცველი დარჩება. – მაგრამ საქართველოს თურქეთთან ხომ არა აქვს პრობლემები. – საქართველოს არა, სომხებს კი ყოველთვის ჰქონდათ.

– რუსეთის ბაზა რეგიონის სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს. გვიცავს თურქებისგანაც და ქართველი ექსტრემისტებისგანაც, – ბანს აძლევს სტეფან აკოფიანი. – რუსებმა თვითონაც რომ მოინდომონ წასვლა, ჩვენ არ გავუშვებთ. პოდპოლკოვნიკ სერგი ჩეპცოვის თქმით, „აქ ორი გზაა. თუ ვინიცობაა, რამე დავაპირეთ, ხალხი მათ, უბრალოდ, გადაკეტავს“. ბაზა ახალქალაქში ერთადერთი მოქმედი საწარმოა: დაახლოებით 1000 ადგილობრივი მცხოვრები (ეს კი 1000 ოჯახია) მუშაობს აქ კონტრაქტით. ბაზის სამხედრო მოსამსახურეთა 70 პროცენტს სომხები შეადგენენ, ადგილობრივი ფულადი ბრუნვის 80 პროცენტი რუსული რუბლია. რუსეთის კრიზისის ექომ აქამდეც მოაღწია: აგვისტომდე 1000 რუბლში იძლეოდნენ 220 ლარს, ახლა – 60-70-ზე მეტს არ იძლევიან.

1 ოქტომბერს შევარდნაძემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას სომხეთის საზღვარზე სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების ღონისძიებათა შესახებ, რაც ნიშნავს, რომ ჯავახეთში შევლენ ქართველი მესაზღვრეები, ეს კი შეიძლება არ მოეწონოს მოსახლეობას. ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობა თბილისიდან თურქეთში მიმავალი კრინიგზის მშენებლობის გეგმების წინააღმდეგია. რჩება გაწვევასთან დაკავშირებული პრობლემები (ადგილობრივი ახალგაზრდობა შარშანდლამდე არ მსახურობდა ქართულ ჯარებში, ახლა მცირე რაოდენობის ახალქალაქელები გადიან სამსახურს ახალციხეში, ქართველ მესაზღვრეთა სასწავლო ცენტრში). – უმჯობესი იქნებოდა, ამ ტერიტორიისათვის ეროვნული ავტონომიის სტატუსი მიენიჭებინათ, – მიაჩნია ოვანეს აივაზიანს, „ჯავახკის“ სათვისტომოს თავმჯდომარეს, რომელიც ათასობით წარმოშობით ჯავახკელს აერთიანებს სომხეთში.

– ხალხს არავითარი ავტონომია არა სურს, – ამტკიცებს სამველ სრნკიანი. – ჩვენ გვინდა, მშვიდად ვიცხოვროთ. შფოთიანობა ჯავახეთში სულაც არ სჭირდება საქართველოს, ვინაიდან საფრთხეს უქმნის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის უშიშროებას. სომხეთს კი ხელს არ აძლევს საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავება, რადგან მაშინ გარე სამყაროსაგან სრულ იზოლაციაში მოექცევა. ამიტომ უნდა მოველოდოთ, რომ ორივე მხარე განაგრძობს ძალისხმევას თავთავისი ექსტრემისტების დასაშოშმინებლად, და „ქართული ციმბირი“, ალბათ, არ გადაიქცევა „ქართულ ყარაბაღად“.

**მარინა პერევოზკინა,**
„ვრემია მნ“, 2.XII.98 წ.

# ისტორიული მეხსიერება და ისტორიული გაკვეთილები

## გურამ შარაძის წიგნი „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“ — ავტორის „ოდისეას“ წარმატებული შედეგი

ეს ამბავი გუშინდელ დღესავით მახსოვს, თუმცა მას მერე ლამის ნახევარმა საუკუნემ გაირბინა (ზუსტი თარიღების მოყვარულთათვის – 47 წელიწადმა). მოსკოვის უნივერსიტეტის ყველაზე დიდი – „კომუნისტური აუდიტორია“ – გადაჭედილია პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტებით და არა მარტო ფილოლოგებითა და ჟურნალისტებით. აქ მოვიდა ეგრეთ წოდებული ზუსტი მეცნიერებების მრავალი წარმომადგენელი. ყველა მოუთმენლად ელოდება იმ ქართველი ენათმეცნიერის გამოჩენასა და მოხსენებას, რომელმაც ხელი აღმართა ენის კლასობრივი ხასიათის მარისეულ და, რაღა თქმა უნდა, მარქსისტულ თეორიაზე. იქვე, „კომუნისტურ აუდიტორიაში“ იბადება „Али-баба и сорок разбойников“-ის გონებამახვილური პერიფრაზა: „Чико-баба и сорок марровцев“. მოსკოვის უნივერსიტეტის მარელთა ბელადი – პროფესორი ჩემოდანოვი, რომლის გაბარიტები ვლასოვსა და ქაბოტინსკის შემურდებოდათ, ძეგლივით უძრავად ზის პრეზიდიუმის მაგიდასთან, მას გვერდს უმშვენებენ გაცილებით უფრო მცირე ზომისა და მნიშვნელობის მარელები. ჯერ ხომ აქ მყოფთაგან არავინ უწყის, რომ სულ მალე გამოქვეყნდება სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და მარის თეორიისაგან ნამსხვრევებიღა დარჩება, მარელებს კი, როგორც მაშინ მიღებული იყო, ღვთის რისხვა დაატყდებათ თავს. მაგრამ ეს ყველაფერი მერე მოხდება, ახლა კი აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ეული და განწირული ჩანს. ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილი, მოელილი და კოხტა, ბატონი არნოლდი, გარეგნულად მშვიდი და აუმღვრეველი ადის ტრიბუნაზე და აუდიტორია ხევდება რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში. მცირე პაუზა და სიჩუმეს მახვილოვით სერავს ბატონ არნოლდის მაღალ რეგისტრში აწანილი, დახვეწილი, ინტონაციებით მდიდარი ხმა: „Филолог не садовод-декоратор, уважаемые коллеги! Филолог _ ботаник, он обязан иметь дело с любимыми растениями и прежде всего с их корнями...“

ამ ხატოვან სიტყვებში ჯერ კიდევ ჭაბუკმა, მოსკოვის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, უდიდესი მეთოდოლოგიური მუხტი შევიგრძენი.

განა საბჭოთა ისტორიოგრაფია არ გავდა იმ მებაღე-დეკორატორს, მხოლოდ ერთი ჯგუფის ყვავილებს რომ ევლებოდა თავს? ეს არნოლდისეული „სხვა ნარგავები თავისი ფესვებით“ ანათემას იყო გადაცემული. „ჯვარს აცვუ ეგე!“ – აი მთელი ინფორმაცია და განსჯა არაბოლშევიკური პოლიტიკური სპექტრის მიმართ, რომელიც მეოცე საუკუნეში საქართველოში არსებობდა, ხოლო ოცდაერთის თებერვლის მიღმა – მის ფარგლებს გარეთ. რას არ ვაბრალებდით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს, – მათ დაანგრიეს თურმე საქართველოს ეკონომიკა, დააკნინეს თურმე ეროვნული კულტურა; ვითომც ნოე ჟორდანიას მთავრობას მემკვიდრეობით არ მიეღო საუკუნეობით ნაწამები და ნაჯიჯგნი ჩვენი მამული, ვითომც არ ყოფილა მსოფლიო და სამოქალაქო ომები; გალაკტიონს რომ დავესესხოთ, „უბედურება, რღვევა, ცხედრები...“ ერთი სიტყვაც არ დაგვიძრავს იმ პირველ და საკმაოდ მნიშვნელოვან ნაბიჯებზე, რაც განახორციელა დამოუკიდებელმა საქართველომ – საკმარისია დავასახელოთ ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნება, საერთაშორისო აღიარება...

ეს ძალმომრეობა ქართველი ხალხის ისტორიული მეხსიერების მიმართ კარგა ხანს გაგრძელდა, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი საკმაოდ კრიტიკულად (ტოტალიტარული რეჟიმის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა), აღიქვამდა „მოკლე კურსის“ მარწუხებში მოქცეული ისტორიკოსების ნაწერებს; მითებს, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ოცდაერთის თებერვალში ლამის მთელი ქართველი ხალხი აღიმართა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ და მეთერთმეტე არმია მხოლოდ, ასე ვთქვათ, ოდნავ „წაეხმარათ“ აჯანყებულ მასებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. კიდევ უფრო მეტს არ სჯეროდა, რომ თითქმის ყოველი მეათე თუ მეხუთე საზოგადოების წევრი, პარტიული მუშაკი იქნებოდა ეს, მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი, ინჟინერი, მუშა თუ გლეხი, ხალხის მტერი იყო, „მავნებელი“ – წამლავდა წყალს, აფეთქებდა მაღაროებს და, როგორც აუცილებელი ატრიბუტი, წევრი იყო იმ ტერორისტული ორგანიზაციისა, რომელსაც თვით სტალინისა და მისი თანამებრძოლების მოშთობა ჰქონდა დასახული მიზნად. მენშევიკების იდეების გამგრძელებლად იქნენ მონათლული ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონისტები – პატრიოტები, რომლებიც სოციალისტური სახელმწიფოს ფარგლებში ცდილობდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის მაქსიმუმის მიღწევას, რისთვისაც სასტიკი რეპრესიები განიცადეს ოციანი წლების დასაწყისში და შემდეგ ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში.

მართალია, სტალინის გარდაცვალებისა და მისი ტოტალური კრიტიკის შემდეგ, როცა „მოკლე კურსმა“ დაკარგა კომუნისტური ბიბლიის სტატუსი, საბჭოთა ისტორიკოსებმა განფანტეს ზოგიერთი მითი და აშკარა სიყალბე. ეს განსაკუთრებულად გამოვლინდა „პერესტროიკის“ პერიოდში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა პროფესორების გრიგოლ ქვანიას, ლევან თოიძისა და ამ სტრიქონების ავტორის ინიციატივით გამართეს დისკუსია, რომლის შედეგად მოხდა ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტების“ სრული რეაბილიტაცია, წარმოჩინდა მათი ბრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ და ძალისხმევა ეროვნული დამოუკიდებლობის მისაღწევად.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არ ცვლიდა პრინციპულად ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ატმოსფეროს. ტაბუდადებული დარჩა მრავალი საკითხი და პრობლემა.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, თვით რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პრაქტიკულად მთლიანად იყო უარყოფილი და დაგმობილი მთელი წინა პერიოდის ისტორიოგრაფია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და თითქმის მთელ მეოცე საუკუნეს მოიცავდა. და მოხდა ის, რაც, ალბათ, უნდა მომხდარიყო. გამოჩნდნენ ახალი „მებაღე-დეკორატორები“, რომლებიც „ოსანას“ უგალობდნენ ყველაფერს არაკომუნისტურს, ხოლო საქართველოს მიერ განვლილი და განცდილი 70 წელიწადი წარმოჩინდა ცალმხრივად და არაობიექტურად. ამ შემთხვევაში მოწოდებამ „ჯვარს აცვუ ეგე!“ შეცვალა მთელი ეპოქის სიღრმისეული ანალიზი და ობიექტური შეფასება.

ეს საკმაოდ ვრცელი შესავალი თქვენმა მონა-მორჩილმა მოიმარჯვა იმ მიზნით, რათა საგანგებოდ გაესვა ხაზი იმ ჭეშმარიტებისათვის, რომ სრულყოფილი წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნის, ამ წყაროების შეუსწავლელად და გაუანალიზებლად ფიქრიც კი ზედმეტია ობიექტური (რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა თანამედროვე უკიდურესად პოლიტიზირებული ატმოსფერო) ისტორიის, განსაკუთრებით უახლესი ისტორიის შექმნა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაპერიოდის, 1918-1921 წლებისა და შემდგომი ეპოქის სრულფასოვანი ისტორიის დაწერა წარმოუდგენელი იყო იმ სახელისუფლებო უარქივოდ, რომელიც ნოე ჟორდანიას მთავრობამ გაიტანა საზღვარგარეთ საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოების წინა დღეებში.

დღეს, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივმა ბოლოს და ბოლოს თავის სამშობლოში დაიდო ბინა. ამ საშვილიშვილო საქმეს თავი დაადგა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ივანე მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარემ გურამ შარაძემ. მისასალმებელია, რომ გურამ შარაძემ თავის წიგნში „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 80 წლისთავს და დაისტამბა საქართველოს პარლამენტის საგამომცემლო სამსახურის მეცადინეობით, თვით მოუთხრო მკითხველს სამთავრობო არქივის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე, ვრცლად გააშუქა ამ დიდებული პატრიოტული აქციის ყველა ასპექტი, რთული პერიპეტიები და აქტიური მოქმედი პირები. მისასალმებელია, ვამბობ, იმიტომ, რომ საქართველოში მაინცადამაინც არ უყვართ სხვათა დამსახურების აღიარება და, მით უმეტეს, ფართო ტირაჟირება. მაგალითად, არავის მოსვლია აზრად დაეწერა ან თუნდაც საჯაროდ ეთქვა იმის შესახებ, თუ ვინ ითავა და უმესვეურა პირველი ქართული ენციკლოპედიის შექმნას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის მშენებლობის საკითხის გადაწყვეტას, რუსთაველის სახელობის თეატრის ახალი კურსის მხარდაჭერას, იმ კურსისა, რომელმაც ქართულ ეროვნულ თეატრს მსოფლიო აღიარება მოუტანა, ვინ გადაარჩინა მრავალი ეროვნული კულტურული კერა ხრუშჩოვისდროინდელი განუკითხაობის ათწლეულში და ა. შ. გურამ შარაძის წიგნი „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“ (მხატვარი ოლღა გორალევიჩი) ჟანრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეცნიერული ხასიათის სათავგადასავლო რომანია, რომელიც ზუსტ დოკუმენტულობას ორგანულად ამეზობლებს და ადუღაბებს დეტექტიურ ბესტსელერისთვის დამახასიათებელ ენერგიული თხრობის მანერას. ეს, ასე ვთქვათ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო არქივისა და თვით გურამ შარაძის „ოდისეაა“.

ილია ჭავჭავაძის არქივის ნაკვალევზე ავტორისეული მოგზაურობიდან იღებს დასაბამს ეს „ოდისეა“. ლონდონში გაიცნობს გურამ შარაძე ცნობილ ინგლისელ ქართველოლოგს დევიდ ბარეტს, ხოლო მის საიუბილეო საღამოზე – ნოე რამიშვილის ვაჟს – აკაკი რამიშვილს, რომლისგანაც ქართველი მეცნიერი დაწვრილებით შეიტყობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო არქივის უცხოეთში მოხვედრის ისტორიას და მის შემდგომ ბედს.

ლონდონშივე აკაკი რამიშვილთან საუბრების დროს ზუსტდება, რომ თურმე საქართველოდან ეროვნული განძეულობის გატანის იდეა ეკუთვნოდა ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც ურჩია ექვთიმე თაყაიშვილს ხლებოდა ნოე ჟორდანიას და გადაეცა მისთვის ეს წინადადება. ნოე ჟორდანიამ მიზანშეწონილად ცნო ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება და ყველაფერი იღონა განძეულობის ტრანსპორტირებისათვის, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილს დააკისრა ამ განძეულობის მეურვეობა საზღვარგარეთ და, როგორც ცნობილია, საქართველოს სახელოვანმა მეჭურჭლეთუხუცესმა ეს მისია ბრწყინვალედ განახორციელა. ეს ახლებური ვერსია დასტურდება პოლიტემიგრანტის, სოციალ-დემოკრატის ვალიკო ჩუბინიძის დღიურებით, სადაც ავტორს სიტყვა-სიტყვით მოტანილი აქვს თვით ექვთიმე თაყაიშვილის მონათხრობი ივანე ჯავახიშვილის ზემოხსენებულ თაოსნობაზე და მის შემდგომ განხორციელებაზე.

გურამ შარაძის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გაბატონებული კონიუნქტურის მიუხედავად, ის თავის წიგნში ობიექტურად აშუქებს იოსებ სტალინის გადამწყვეტ როლს განძეულობათა დაბრუნებაში, რაც ნაწილობრივად მაინც ფანტავს მითს იმის შესახებ, რომ საქართველოს, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები უცხო იყო ამ მსოფლიო მასშტაბის ბუმბერაზი მოღვაწისა და პოლიტიკური ლიდერისათვის.

დიდად საინტერესოა – და არა მარტო სპეციალისტ-მკვლევარებისათვის – გურამ შარაძის წიგნში პირველად გამოქვეყნებული ექვთიმე თაყაიშვილის ანდერძი, რომელიც არქივის პარიზულ ნაწილში აღმოჩნდა და დათარიღებულია 1943 წლის 26 დეკემბრით.

მაგრამ რას ნიშნავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო არქივის (შემდგომში – არქივის) „პარიზული ნაწილი?“ მოვუსმინოთ წიგნის ავტორს:

„1921 წლის 18 მარტიდან, როცა ეროვნულმა მთავრობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია და იტალიური გემით ბათუმიდან საფრანგეთს (პარიზს) გაიხიზნა, თან წაიღო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ. წ.) ისტორიის ამსახველი სახელმწიფო-პოლიტიკური არქივი, რომელსაც ემიგრაციაში განაგებდა თვით ეროვნული მთავრობის წევრებისგან (ე. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, აკ. ჩხენკელი, გ. ერაძე, ნ. ცინცაძე, ს. ასათიანი) შემდგარი კომისია. შემდეგ ნოე ჟორდანიას წინადადებით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივისა და წიგნთსაცავის კომისიის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი შრომის მინისტრი გიორგი ერაძე (1882-1971) დაინიშნა არქივისა და წიგნთსაცავის მომვლელ-შემნახველი კომისიის თავმჯდომარედ და წლების განმავლობაში წარმატებით ასრულებდა ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას...

1944 წლის 1 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის ხელმოწერით პარიზის ცოცხალი აღმოსავლური ენების ინსტიტუტს შესანახად ჩაბარდა ქართული ეროვნული აქივი...“

1958 წლიდან ზემოხსენებული კომისიის მუშაობაში აქტიურად ჩაება ნოე რამიშვილის დისშვილი, მამია ბერიშვილი, რომელიც, როგორც ვნახავთ, დიდ როლს შეასრულებს არქივის პარიზული ნაწილის საქართველოში დაბრუნების საქმეში.

სხვათა შორის, გურამ შარაძის მეცნიერულ ობიექტურობაზე ისიც მეტყველებს, რომ ის გვერდს არ უვლის შემდეგ ფაქტს. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროს, კერძოდ, 1972 წელს საქართველოს ხელმძღვანელობამ სცადა არქივის დაბრუნება. ამ მიზნით პარიზში მიავლინეს პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და პროფესორი ილია ტაბაღუა. მაგრამ ამ ცდამ მაშინ უშედეგოდ ჩაიარა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ემიგრაციაში მყოფი ეროვნული მთავრობა არქივის დაბრუნებას უკავშირებდა საქართველოში დემოკრატიული მმართველობის აღდგენას.

1969 წლის 23 მარტს ლევილში მოუწვევიათ საარქივო კომისიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც საარქივო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ერაძე ოფიციალურად გადადგა და საარქივო კომისიის ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს მამია ბერიშვილი, ხოლო კომისიის ორ ახალ დამატებით წევრად – ვალიკო ჩუბინიძე და გრიგოლ ლომაძე. მამია ბერიშვილის ავტორიტეტულობაზე ნათლად მეტყველებს გურამ შარაძის წიგნში მოტანილი ნოე ჟორდანიას მიერ 1949 წლის 8 მარტს გაცემული შემდეგი მანდატი:

„მე, ქვემოთ ხელისმომწერი, ნოე ჟორდანია, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე, ვნიშნავ ბატონ მამია ბერიშვილს საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლად და ამ უფლებით, ის სრული უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები აღნიშნული მთავრობის სა-

ხელით მისი უმაღლესობის ბრიტანეთის მთავრობასთან და აგრეთვე ყველა ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ უწყებებთან და პირებთან ყველა ეროვნულ და პოლიტიკურ საკითხებზე, რომელიც ეხება საქართველოს.

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია".

როგორც ირკვევა, წერს გურამ შარაძე, „1974 წლამდე არც საქართველოს ეროვნული არქივი იყო გაყოფილი და არც მისი შემნახველი კომისია. წყალდიდობისგან პარიზში დაზიანებული არქივის დიდი ნაწილი კი შეელას ითხოვდა!

და აი, თითქმის 17 წლის დაგვიანებით, ჩვენს ეროვნულ არქივს მშველელად მსოფლიოში სახელგანთქმული ჰარვარდის უნივერსიტეტი მოევლინა!..."

გურამ შარაძე სიტყვას აძლევს ამ დიდმნიშვნელოვანი აქციის თანხანს – ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს, ცნობილ „სოვეტოლოგსა" და „კრემლენოლოგს". საბჭოთა ისტორიკოსებისაგან ათასგზის შეჩვენებულ და შერისხულ რიჩარდ პაიპსს:

„საქართველოს ეროვნული არქივის ჰარვარდში, ჰოუტონის ბიბლიოთეკაში მოხვედრა სამი ადამიანის ურთიერთშეთანხმების შედეგი გახლდათ. ესენი იყვნენ ნოე ცინცაძე – ქართული ემიგრაციის წამყვანი ფიგურა პარიზში, დუგლას ბრაიანი – ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი და მე – ჰარვარდის პროფესორი...

მოლაპარაკებები არქივის გაცემაზე 17 წელს გაჭიანურდა. მე ვფიქრობ, რომ იყო აზრთა სხვაობა პარიზელ ქართველთა შორის იმის თაობაზე, თუ რაოდენ მიზანშეწონილია ეს ნაბიჯი და ვინ იქნება პასუხისმგებელი. ბოლოს დაახლოებით 1973-1974 წლებში – ცინცაძემ მაცნობა, რომ ყველა პრობლემა მოგვარებულია და ყველაფერი მზად არის 17 ყუთის გადასაზიდად... ბრაიანთან საკითხის განხილვის შემდეგ მე თავად ვესწრებოდი დოკუმენტების ჩატვირთვას თვითმფრინავში. არქივის ჩამოტანისთანავე, ბრაიანმა დაავალა ბატონ გიორგი ნაკაშიძეს კლასიფიკაცია დოკუმენტებისა, რომლებიც მოითხოვდა ქიმიურ დამუშავებას, რადგანაც ძლიერ დაზიანებული იყო".

ამრიგად, არქივის უმეტესი ნაწილი ჰარვარდში აღმოჩნდა. აქედან აღმოცენდა ცნებები „პარიზული ნაწილი" და „ჰარვარდული ნაწილი".

გურამ შარაძე უდიდესი მადლიერებით იხსენიებს პროფესორ რიჩარდ პაიპსის ღვაწლს ქართული ეროვნული მთავრობის არქივის გადარჩენის საქმეში და საერთოდ დიდ შეფასებას აძლევს მას, როგორც მსოფლიოში განთქმულ ისტორიკოსსა და პოლიტოლოგს. ოღონდ ერთგვარად გაზვიადებულად მომეჩვენა შემდეგი პასაჟი: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ რიჩარდ პაიპსის ღრმა და სოლიდურმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა საბჭოთა კავშირისა და კომპარტიის ისტორიის შესახებ, მოამზადა სერიოზული ნიადაგი საბჭოთა კავშირის დაშლისა და კომპარტიის ავტორიტეტის შერყევის საქმეში". საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა განპირობებული იყო რიგი უძლიერესი საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლივი ორგანიზებული ამოქმედებით ოთხმოციანი წლების მიწურულსა და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში.

მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის. ახლა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს არც საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზთა ანალიზი და არც რიჩარდ პაიპსის ნაწარმოებთა გარჩევა. ჩვენ გვაინტერესებს მისი სანაქებო ძალისხმევა არქივის გადარჩენის საქმეში, რაც ბრწყინვალედ ჩამოაყალიბა აწ განსვენებულმა ვიქტორ ხომერიკმა:

„პროფესორმა რიჩარდ პაიპსმა უდიდესი სამსახური გაუწია ჩვენს ეროვნულ საქმეს, მისი შემწეობით შევძელით დამოუკიდებელი საქართველოს ხანის არქივის მოთავსება უსასყიდლოდ ჰარვარდის უნივერსიტეტში, მისი უანგარო დახმარებით შესრულებულ იქნა ყველა დაზიანებული დოკუმენტების გაწმენდა, აღდგენა, მიკროფილმების გადაღება, რომლებიც დიდ ხარჯებს მოითხოვდა და რომელიც მან გაალებინა უნივერსიტეტს".

„მაშასადამე, – წერს გურამ შარაძე, – ჩვენ უკვე დანამდვილებით ვიცოდით საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ეროვნული არქივის ორივე ნაწილის დღენების ზუსტი ადგილსამყოფელი – პარიზი (ლევილის ქართული მამული, ბატონი მამია ბერიშვილის განკარგულებაში) და ბოსტონი (ჰარვარდის უნივერსიტეტი, ჰოუტონის ბიბლიოთეკაში) და მათი იქ შენახვის პირობები.

ამის შემდეგ უკვე დავიწყეთ საქართველოში მისი დაბრუნების გზების ძიება".

შეგნებულად არ გადმოვცემ ამ „ოდისეას" ჭეშმარიტად თავბრუდამხვევ პერიპეტიებს, რაც არქივის ორივე ნაწილის საქართველოში დაბრუნებას შეეხება, რომ უნებურად მკითხველის ყურადღება წიგნისადმი არ გავანელო. დაე, თვითონ წაიკითხოს ეს სათავგადასავლო მძაფრსიუჟეტიანი რომანი იმის შესახებ, როგორ უბრუნდებოდა ქართველ ხალხს მისი ისტორიული მეხსიერება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ღვაწლი ამ დიდ ეროვნულ საქმეში, მისი წერილი ლევილის ქართული მამულის „სოსიეტეს" გამგის – ბატონ აკაკი რამიშვილისა და მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის თავმჯდომარის ბატონ მამია ბერიშვილის სახელებზე და მისი მიმართვა საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანისადმი, სადაც ბატონი ედუარდი აღნიშნავს გენერალ დე გოლის ღვაწლს ქართულ განძეულობათა დაბრუნებაში და გამოთქვამს რწმენას, რომ საფრანგეთი, რომელმაც ცნო ახალი დემოკრატიული საქართველო, მისი პრეზიდენტი ხელს შეუწყობენ არქივის დაბრუნებას სამშობლოში. ამრიგად, ტანდემი – სტალინი – დე გოლი თავისებურად აღორძინდა და აქლერდა ტანდემში – შევარდნაძე – მიტერანი.

უეჭველად თავისი დადებითი როლი ითამაშა იმან, რომ 1996 წლის 23-30 მარტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით ახლადარჩეული საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ეწვია საფრანგეთს.

1996 წლის 18 დეკემბერს ეროვნული არქივის პარიზული ნაწილი უკვე თბილისში იყო. არქივს ჩამოჰყვნენ მამია ბერიშვილი და გურამ შარაძე. დამხვედრთა შორის იყვნენ ზურაბ ჟვანია, ქართველი პარლამენტარები და საზოგადოების წარმომადგენლები. საქართველოს ტელევიზიამ მრავალგზის უჩვენა მაყურებელს ეს ამაღელვებელი კადრები.

ხოლო 1997 წლის 8 ოქტომბერს ეროვნული არქივის პარიზულ ნაწილს შეუერთდა ჰარვარდული ნაწილი, რაც მთელი არქივის სრულ გამთლიანებას ნიშნავდა. ნეტავ ასე გამთლიანდეს ჩვენი საქართველოც!

ამას, კვლავ გურამ შარაძის მეცადინეობით მოჰყვა ვიქტორ ნოზაძის, გრიგოლ რობაქიძისა და მრავალი სხვა ქართველი მოღვაწის პირადი არქივების დაბრუნება საქართველოში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მკვლევარებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებრიობისთვისაც.

გურამ შარაძე არ ივიწყებს და თავის წიგნში დაწვრილებით აშუქებს ყველა იმ ქართველი და არაქართველი მოღვაწის ძალისხმევას, რომლებიც მონაწილეობდნენ ეროვნული არქივისა და პირადი არქივების გადარჩენის, შენახვისა და მათი სამშობლოში დაბრუნების დიდ სამამულიშვილო საქმეში.

რაღა თქმა უნდა, მთელი ამ დიდებული, ჭეშმარიტად ფასდაუდებელი ეროვნული ქმედობის სული და გული იყო წიგნის ავტორი – გურამ შარაძე და მთელ მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში, ალბათ, ეს მეცნიერული და პატრიოტული საქმენი საგმირონი სრულიად გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებენ...

* * *

ქართველ ერს, მთელ საქართველოს დაუბრუნდა დიდად მნიშვნელოვანი პერიოდის, შეიძლება ითქვას, – ეპოქის ისტორიული მეხსიერება. ეს დიდი საქმეა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მთელი ამ საკმაოდ დიდი მოცულობის საარქივო მასალის ობიექტური ანალიზი და საჭირო დასკვნა. ისტორიული მეხსიერება უნდა განაპირობებდეს ისტორიულ გაკვეთილებს.

გადავედე თავი და გურამ შარაძის წიგნში დასტამბული არქივის ორივე ნაწილის – პარიზულისა და ჰარვარდულის ნუსხა წავიკითხე.

ეს ნუსხა თავისთავად ბევრის მთქმელია. ჯერ ერთი, ის მიგვანიშნებს იმ უცილობელ ფაქტს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არ იყო გულარხეინი და ძალზე მოკლე პერიოდში ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ღონისძიება განახორციელა ქვეყნის აღორძინებისა და განვითარებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღებით წავიკითხე ნუსხათა რკალი „საგარეო საქმეთა სამინისტრო". ამჯერად ჩემეული კომენტარისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ვიკითხავ: საინტერესოა, რამდენად სწორ, დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდა ნოე ჟორდანიას მთავრობა? ეს საკითხი სრულებითაც არ არის აკადემიური, მას დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელობისათვის. თუკი მენშევიკები საგარეო პოლიტიკაში შეცდნენ, გაითვალისწინა ეს ზვიად გამსახურდიას მმართველობამ? ან საჭიროებს თუ არა გარკვეულ შესწორებებს ჩვენი დღევანდელი საგარეო პოლიტიკა, არის კი ის მართლაც დაბალანსებული საქართველოს გეოპოლიტიკური გარემოებით?

მეცნიერულად დასაბუთებულ, ისტორიის გაკვეთილებთან საგულდაგულოდ შეჯერებულ საგარეო პოლიტიკას არაფერი არ უნდა ჰქონდეს საერთო განცდებიან ფსევდოპატრიოტულ წივილ-კივილთან, პოპულისტურ მანჭვა-გრეხასთან, უნიადაგო პოლიტიკურ რომანტიზმთან და ვოლუნტარიზმთან.

ამიტომაც სპეციალისტების უპირველესი მოვალეობაა – ახალი საარქივო მასალების მომარჯვებით გააანალიზონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიღწევებიცა და მარცხიც. მაშინ ისტორიული მეხსიერება იმუშავებს სწორი ისტორიული გაკვეთილების გასათვალისწინებლად.

**დევი სტურუა,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

გამოიცა

# საოჯახო სამართლის კომენტარები

**1997 წლის 26 ივნისი. წელიწადზე მეტი გავიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღების თარიღი შეიძლება ეროვნული იურიდიული კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენად ჩაითვალოს საქართველოს ისტორიაში.**

სამოქალაქო სამართალი სამართლის მთელ სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე რთული დარგთაგანია. მით უმეტეს, როდესაც კოდექსში გათვალისწინებულია უცხოური სამართლებრივი სისტემების აქამდე ჩვენთვის უცნობი მრავალი ინსტიტუტი, საზოგადოებისათვის სამართლებრივი ნორმების შინაარსის გასაგებად, საჭიროა საკანონმდებლო ბაზის გვერდით არსებობდეს იურიდიული ლიტერატურაც (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიული ნაშრომები, კომენტარები...).

ეროვნული იურიდიული დოქტრინის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესურას, რომელმაც შარშანდლიდან მოყოლებული, მთელი რიგი ნაშრომები გამოსცა. ეს ნაშრომები საინტერესო და გამოსადეგია არა მარტო იურისპრუდენციის სფეროში მომუშავეთათვის, არამედ ყველა სპეციალობის მოქალაქეთათვის, რადგან სამოქალაქო ნორმები ყველა ჩვენგანს ყოველ ნაბიჯზე ხვდება და თავს ახსენებს, მათი ინტერპრეტაცია კი სწორედ საქართველოს წამყვან ცივილისტებს ხელეწიფებათ.

წლეულს დღის შუქი კიდევ სამმა ნაშრომმა იხილა. საზოგადოებრიობას მიეცა შესაძლებლობა გასცნობოდა სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი ვრცელი კარის „საოჯახო სამართლის" კომენტარებს. პროფესორ რომან შენგელიას ნაშრომებით „ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი", „ოჯახის წევრთა სამართლებრივი ურთიერთობანი", „მეურვეობა და მზრუნველობა" საოჯახო სამართალი მთლიანად კომენტირებულია. ნაშრომებში მოცემულია კოდექსის აღნიშნული კარის შემადგენელი მუხლები და განმარტებულია თითოეული ნორმა, ქცევის წესი. ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო მართლმსაჯულების, სამართალდამცავი, აღმასრულებელ-განმკარგულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაკებს, არამედ საოჯახო სამართლის საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებრიობას, ვინაიდან პოპულარულ, მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელ ენაზეა დაწერილი. ამდენად, ნაშრომები განკუთვნილია მათთვისაც, ვინც იყენებს კანონებს და მათთვისაც, ვინც უზრუნველყოფს კანონების სწორ გამოყენებას.

ავტორი თანამიმდევრულად მიჰყვება კოდექსის სისტემას. ნაშრომში „ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი" განხილულია: დაქორწინების წესი და პირობები; ქორწინების შეწყვეტა; ქორწინების ბათილობა; მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები; მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა.

ნაშრომში „ოჯახის წევრთა სამართლებრივი ურთიერთობანი" ავტორი განიხილავს შემდეგ საკითხებს: შვილების წარმოშობის დადგენა; მშობლების უფლება-მოვალეობანი; მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობანი; ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი; ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი; შვილება.

წიგნში „მეურვეობა და მზრუნველობა" ავტორი განმარტავს სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს: მეურვეობა და მზრუნველობა – ზოგადი დებულებები, მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანი.

მკითხველი თავად დარწმუნდება, თუ რაოდენ ნათლად არის ნაშრომებში განმარტებული კანონმდებლის ნება, ნორმის შინაარსი. ამასთან, ავტორი საოჯახო სამართლის სფეროში შეტანილი ცვლილებების ხაზგასმის და მათი ანალიზის მიზნით, მიმართავს სამართლის ნორმათა განხილვას ისტორიულ ასპექტში, – თუ როგორ რეგულირდებოდა ესა თუ ის საზოგადოებრივი ურთიერთობა საბჭოთა სინამდვილეში.

მართალია, კომენტარს სავალდებულო ძალა არ გააჩნია, მაგრამ მას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ხელს უწყობს სამართლის ნორმის ტელეოლოგიურ შემეცნებასა და მისი მოქმედების ზუსტი ფარგლების განსაზღვრას.

ამ მხრივ პროფესორ რომან შენგელიას კომენტარები დიდ სამსახურს გაუწევს ქართველ საზოგადოებრიობას.

**ნანა მჭედლიძე,**
**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.**

# „უბრალო" მართალ კაცს ნიშნავს

უხვმოსავლიანი გამოდგა ეს წელიწადი ელგუჯა ლებანიძისათვის. აგერ უკვე 30 წელია, ქართულ პრესაში სისტემატურად იბეჭდება მისი ნარკვევები, კრიტიკული წერილები, ჩანახატები, მოთხრობები. ორიოდე თვის წინათ კი მკითხველმა მისი მოთხრობების პირველი კრებული მიიღო. ამას წინათ ბატონმა ელგუჯამ **ღირსეულ ადამიანებს საჩუქრად** (ასეა აღნიშნული წიგნის ტიტულზე), მოთხრობებისა და ნარკვევების ახალი კრებული **„მანძილი მოსახვევამდე"** – შესთავაზა.




კითხულობ ელგუჯა ლებანიძის მოთხრობებსა და ნარკვევების კრებულს და გული სიამით გევსება: ერთი შეხედვით უბრალო ენით, მაგრამ ძარღვიანი ქართულით არის მართლაც რომ ნაძერწი თითოეული სიტყვა, წინადადება თუ დიალოგი.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს წიგნი ქართველ მწერალთა რიგებში მისი აღიარების სერიოზული განაცხადია.

ელგუჯა ლებანიძემ ბავშვობა და ყრმობა კახეთის სოფელში გაატარა. ახლაც იქითკენ მიუწევს გული. თვე არ გავა, მამაპაპათა სახლ-კარი არ მოინახულოს, ვენახს ხელი არ შეავლოს, ჭიგო არ გაასწოროს. ჰოდა, სწორედ ძირითადად ქართული სოფლის, გლეხკაცების წინაალმდეგობით აღსავსე ყოფას აღწერს იგი კახური კილოს, ქილიკისა და იუმორის ოსტატური გადმოცემით, რისი ნიჭიც ასე უშურველად უბოძებია მისთვის მშობლიურ კახეთს, საქართველოს მთასა და ბარს.

„არაფერს ისე არ უხდება უბრალოება, როგორც ცხოვრებაზე საუბარს, აღნიშნავს ბატონი ელგუჯა წიგნის ბოლოთქმაში.

დავძენთ, რომ ცხოვრებაზე უბრალოდ და დამაჯერებლად საუბარი მხოლოდ ნიჭიერთა ხვედრია.

ამ წიგნით ავტორმა ზემოთ ნათქვამი დაადასტურა.

დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი ასეთი „უბრალო" – მართალი სიტყვით გაახარებს ქართველ მკითხველს ელგუჯა ლებანიძე.

**აბესალომ იმედაშვილი.**

# ორშაბათი - 7 დეკემბერი

## I არხი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.15,17.05 დოკ.ტელეფ. "მსოფლიოს ველური ბუნება". 10.10,20.55 დედაქალაქი. 10.25 ენერგია. 10.40 ხეირი. 10.50 როდის... 11.05,23.30 ტელესკოპი. 11.10,21.10 სერიალი "დინასტია-2: ქოლბების ოჯახი". 12.00,15.00,18.00,20.00,0.00 მოამბე. 12.15 ინტელექტკლუბი. 13.00,22.30 მო-TV. 13.10 "დიდების ზღაპარი". 13.30 მხ.ფ. "სხვა ქალი". 15.15 "შოკოლადის მიკროფონი". 15.35 გიორგი გიგაური. 16.00 პატარა კონცერტი. 16.15 დოკ.ტელეფ. "მაღლა ცაში ავფრინდები". 18.20 ციცინო ციცქიშვილი. 18.50 50/50. 19.50 ჩვენი ენა ქართული. 20.35 ბასტი-ბუბუ. 22.00 ვესტნიკი. 22.20 ვიდეოპატრული-02. 22.40 დღე. 23.00 დეკემბერი, დეკემბერი... 23.35 რამპა. 23.40,0.15 "ქართული ფილმი" - მხ.ფ. "რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე".

## II არხი

19.00,22.00 ინფორმაცია. 19.25 მულტფილმები. 20.00 გოლი. 20.30 სერიალი "ზღვის კაცი". 21.30 მოსკოვი-თბილისი. 22.25 მხ.ფ. "შუაღამის მოგონებები-1". 23.50 ჰიტ-პარადი.

## VII არხი

11.00 მულტფილმები. 12.10 ინდ.მხ.ფ. "გამონათება". 14.05,17.35,18.45,0.05 მუსიკა. 14.25 სტუმრები სტუმრებთან. 15.00 ფეხბურთის ლეგენდები. 15.30 ჯაზ-პარნასი. 16.00 ამერ.მხ.ფ. "დაუოკებელი გარღვევა". 17.50 ვარსკვლავები. 18.30 პოსტ-ფაქტუმ. 0.35 ამერ.მხ.ფ. "განშორების ღამე".

### მზიუმა

11.15 ზღაპრის ტელედარბაზი. 11.45 მხ.ფ. "ჯეკი". 13.30 მხ.ფ. "კასანდრას ულელტეხილი". 15.30 თქვენი ადვოკატი. 16.30 ყველაფერი როკზე. 17.30 "კვირის სპორტი". 19.00 კოკროჭინა. 19.35 მუს.კვირა. 20.35 თბილისური ოჯახები. 20.10 "ბედნიერი ერი". 21.15 სალონი. 23.15 მხ.ფ. "ირმის ნახტომი".

### საქართველოს ხმა

10.00 ექო. 10.15, 21.00 სერიალი. 11.00, 17.30 მულტფილმები. 11.30, 18.45 ქართ.მხ.ფ. 13.00, 20.15 დოკ.ფ. 13.45, 16.00, 22.00, 0.55, 1.30 მხ.ფ. 15.15, 0.00 გასართ. პროგრამა. 21.45, 1.15 მუს. კოლაჟი.

### 1ST

8.00 ტონიკი. 10.30 მხ.ფ. "მერლინი-ჩემი სიყვარული". 12.00 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმები. 18.45 დოკ.ფ. 19.20 რუს.მხ.ფ. "შეყვარებული მანეკენი". 20.40 მხ.ფ. "დოპელგანტერი". 22.25 ამერ.მხ.ფ. "ბრწყინვალება". 0.10 მხ.ფ. "მოჯადოებული". 2.30 ნონ-სტოპი.

### იბერია

8.00, 10.00, 15.00, 22.00, 0.30 ახალი ამბები. 8.10, 10.10, 11.20, 12.55, 14.20, 14.55, 16.40, 21.55 ძველი ჰანგები. 8.15, 19.00 ნახ.ფ. 9.15 სერიალი "მხოლოდ შენ". 11.00, 20.35 ფარული კამერა. 11.25 ბურთი და მოედანი. 11.40, 12.35, 14.25, 16.45, 20.55 დოკ.ფ. 12.00, 18.40 ოქროს გუნდი. 12.20 სახეები. 13.00 მხ.ფ. "გოძილა". 15.10 მხ.ფ. "კარალიოკი - ჩიტი. მგალობელი-7". 17.15 ქართ.მხ.ფ. "დონ ჟუანის დაბადება". 18.50 მემკვიდრეობა. 21.10 მხატვარი. 21.25 "კამერა ობსკურა". 21.45 გვარიშვილობა. 22.30 მხ.ფ. "დიდი მანევრები". 0.40 მხ.ფ. "მძინარე ძმა".

### ОРТ

08.55 Х/Ф "БАЛЛАДА О БЕРИНГЕ И ЕГО ДРУЗЬЯХ". 10.30, 17.40, 18.05 Диснсй-клуб. 11.00, 16.00, 02.20 Новости. 11.15 "Непутевые заметки". 11.35 Пока все дома. У актера Г. Назарова. 12.10 Утренняя звезда. 12.55 Армейский магазин. 13.25 Играй, гармонь любимая! 14.00 Х/Ф "СЛУГИ ДЬЯВОЛА НА ЧЕРТОВОЙ МЕЛЬНИЦЕ". 15.25 Смехопанорама. 16.15 Х/Ф "ПИРАТЫ XX ВЕКА". 18.35 "Колесо истории". 19.25 "Парижские тайны". Жан Марс. 20.15 Х/Ф "ГРАФ МОНТЕ-КРИСТО". 22.00 Время. 22.35 Алла Пугачева представляет "Рождественские встречи". 02.35 Х/Ф "ГВЕНДОЛИН".

### РТР

09.00, 10.00 Мультфильмы. 09.30 "Служу Отечеству". 10.30 Почта РТР. 11.00 Доброе утро, страна! 11.30 Фестиваль солдатской песни "Виктория". 12.00 "Аншлаг" и К0. 13.00 Русское лото. 13.40 Мир книг с Л. Куравлевым. 14.00 "НЕДЕЛЯ В САНТА-БАРБАРЕ". 15.00 Вести. 15.30 Федерация. 16.10 Парламентский час. 17.10 Сериал "ЗАКОН И ПОРЯДОК". 18.00 Диалоги о животных. 19.00 Ток-шоу "Наш сад". 20.00 Совершенно секретно. 21.00 Зеркало. 21.55 Праздничный концерт, посвященный 7-летию Государственной налоговой инспекции. 23.30 "Уловка 22". 00.25 Дежурная часть. 00.50 Х/Ф "ЖИЛ ПЕВЧИЙ ДРОЗД".

### НТВ

09.00 Мультсериал. 09.25 Х/Ф "В БОЙ ИДУТ ОДНИ "СТАРИКИ". 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 11.15 "Весь Жванецкий". 11.45 Устами младенца. 12.10 "Жизнь замечательных зверей". 12.40 Впрок. 13.15 Х/Ф "ПОСЛЕДНИЙ СУД". 15.45 Мультфильм. 16.00 Своя игра. 16.30 Русский век. 17.20 "Ключи от форта Байяр". 19.00, 22.00, 00.00 Итоги. 19.25 Х/Ф "ДЖЕЙМС БОНД - АГЕНТ 007". "ИСКРЫ ИЗ ГЛАЗ". 21.45 Куклы. 23.00 Сериал "ЕЕ ЗВАЛИ НИКИТА". 00.30 Х/Ф "ПОХОРОНЫ".

### ТВ6

09.05, 19.05 Дорожный патруль. 09.15 Диск-канал. 09.50 Мультфильм. 10.10 Мультсериал. 10.35 Х/Ф "ФЛИППЕР-2". 11.25 Мультсериал. 11.55 Сериал "Сокровища из прошлого". 13.00 Шесть новостей недели. 13.25 "Пальчики оближешь". 13.50, 15.25 Телемагазин. 14.00 Ток-шоу "Сделай шаг". 14.55 Канон. 15.40 О.С.П. студия. 16.35 Шоу "Мужской клуб". 17.30 Видеоклипы. 17.40 Сериал "ХРОНИКИ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 18.35 Звезды о звездах. Ю. Николаев. 19.25 Вы - очевидец. 20.00 "Обозреватель". 21.00 Х/Ф "ЗДРАВСТВУЙТЕ, Я ВАША ТЕТЯ". 23.05 Спорт недели. 23.35 Радиохит. 00.45 "ЭРА ВОДОЛЕЯ". 01.15 Х/Ф "СООБЩНИКИ".

### ТВ-ЦЕНТР

9.05 Дашуткины минутки. 09.35 Сразись с чемпионом! 09.50 Мир вашему дому. 10.20 Поздравлялка. 10.25 Хорошие книжки для девчонки и мальчишки. 11.30 Не моргай! 11.10, 15.15 Мультсериал. 11.35 Х/Ф "ЛЕССИ". 12.00 "Виртуальный мир". 12.25 Все народы России. 12.50 Книжный мир. 13.05 Х/Ф "СЕДЬМОЕ НЕБО". 14.45 Телеигра "Слободка". 14.55, 19.30, 01.05 Новости. 15.40 Х/Ф "ИСПРАВЛЕННОМУ ВЕРИТЬ". 17.35 Сериал "ПОЛИ". 18.00 Х/Ф "ИЩИ ВЕТРА". 19.45 Оставайтесь с нами. 20.00 "Место жизни изменить нельзя". Театральный капустник. 21.00 "День седьмой". 21.55 Х/Ф "КРЕСТНЫЙ ОТЕЦ". 01.10 Поздний ужин. 01.25 Постскриптум. 01.50 К 10-летию программы "А". Фестиваль "Рок-саммер".

### АСТ

10.00, 15.05 Мультфильмы. 10.30, 20.15 Х/Ф "ТАЙНЫ КАРПАТСКОГО ЗАМКА". 11.20 Звезды музыкального кино. 11.35 Близкое-далекое. 12.00, 16.00 Детский час. 13.00 "Музыкальная жизнь". 14.00 Фильм детям "КАЖДЫЙ ОХОТНИК ЖЕЛАЕТ ЗНАТЬ". 15.30 "В кругу друзей". 17.00, 22.50 "Телевидение - любовь моя". 17.50 Х/Ф "ПРИВАЛ СТРАННИКОВ". 19.00 "Золотые голоса в России". 19.30 В эти дни. 20.00 Е. Шифрин - музыка во мне. 21.05 Очевидное-невероятное. 21.35 Спорт на планете. 22.00 "Кумиры экрана". 22.30 "Факт". 22.40 Постфактум. 23.40 Х/Ф "МИРАЖ".

### МИР КИНО

11.35, 19.30 Сериал "ВТОРАЯ ВОЗМОЖНОСТЬ". 12.25 Х/Ф "ЭММА". 14.45 Х/Ф "ТАЙНА ПОДВОДНОГО УЩЕЛЬЯ". 16.05 Х/Ф "ПАРИЖСКИЕ ТАЙНЫ". 17.50 Х/Ф "ДЕНЬ СУРКА". 20.15 Х/Ф "БИНГО". 22.10 Х/Ф "ЖЕЛЕЗНАЯ МАСКА". 00.15 Х/Ф "ИСПАНСКАЯ РОЗА". 01.50 Х/Ф "СИНИЙ БАРХАТ".

### EUROSPORT

13.00, 16.00 Биатлон. Кубок мира. Австрия. 14.45 Горные лыжи. Кубок мира. Франция. 17.45 Тобоган. Кубок мира. Латвия. 19.00 Лыжный кросс. Италия. 20.00 Плавание. Чемп. Европы. 21.30, 03.30 Прыжки с трамплина. Кубок мира. Германия. 23.00 Автомобиль на льду. 23.30 Снукер. 03.00 Бокс.

## საქართველოს რადიო

მუდმივად:

I პროგრამით - 1587; 59,52 მეტრ ტალღებზე და საქალაქო ქსელით, აგრეთვე FM დიაპაზონის 102,4 მგჰ სიხშირეზე - "მოამბე" - ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) - 6.03, 7.00, 11.00, 15.00, 19.00 (ქართულად და რუსულად), 20.00 (ორშაბათის გარდა), 22.00, 23.50; შაბათს - 6.03, 7.00, 9.00, 11.00, 20.00, 22.00, 23.50; კვირას - 6.03, 7.00, 9.00, 11.00, 17.00, 19.00 (მხოლოდ ქართულად), 20.00, 23.50; „პლანეტის ამბები" - ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) -7.30; "პიკის საათი" - ყოველდღე /შაბათ-კვირის გარდა/ - 8.00, 12.00, 17.00; "ესტაფეტა" - 7.15, 14.00, 22.20 ყოველდღე/კვირის გარდა/.

I და II პროგრამებით - 1587; 59,52; 102,4; 287,3 მეტრ ტალღებზე და FM დიაპაზონის 97,7 მგჰ სიხშირეზე - "ეთერში აფხაზეთის რადიო" - ორშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს (რუსულად) - 9.30; "აქტუალური მიკროფონი" - სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს - 10.00; "რადიოპატრული" /ყოველდღე/ - 19.20; "ამერიკის ხმა" /პირდ. ტრანსლ. ვაშინგტონიდან/ - 19.30 /ყოველდღე/; „ძილისპირული" - ყოველდღე /ორშაბათის და კვირის გარდა/ - 20.45.

II პროგრამით - 287,3 მეტრ ტალღაზე და FM დიაპაზონის 97,7 მგჰ სიხშირეზე - ყოველდღე - "რადიო-2". დედაქალაქის ხმა - 10.00-19.30; რადიო-2. ქართული რადიო - 20.00-21.00,22.00-1.00; "თავისუფლება"(პირდ.ტრანსლ.პრაღიდან)-21.00-22.00.

ღამის პროგრამით - 1587; 59,52 და 102,4 მეტრ ტალღებზე - "მოამბე" -1.00 /ყოველდღე/; „ესტაფეტა" - 1.05/ყოველდღე/.

III პროგრამით - 370,4 მეტრ ტალღაზე - გადაცემები: სომხურ ენაზე /ყოველდღე/ - 18.30-19.30; აზერბაიჯანულ ენაზე /ყოველდღე/ - 19.30-20.00; ბერძნულ ენაზე - 18.15-18.30 /მხოლოდ შაბათს/; ქურთულ ენაზე - 18.15-18.30 /მხოლოდ კვირას/.

### ორშაბათი - 7 დეკემბერი

I და II პროგრამებით: 6.45 საქართველოს სოფლები. 7.45 ვიდრე შინიდან გახვიდოდეთ... 10.00 საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ. 10.25 მღერის "ცისფერი ტრიო".

I პროგრამით: 11.15 პროგრამა "აბი გლუკოზა". 11.45 ქართული ხალხური მუსიკა. 13.00 სამართლებრივი პროგრამა "კანონი კანონია" (პირდ.ეთ.).13.30 "ლიტერატურული კითხვა". თ.ბიბილური - "შვიდი ხმისა და ტოროლასათვის". 14.15 ეკონომიკა, ბიზნესი. 14.40 დ.არაყიშვილი, მ.ბალანჩივაძე. საოპერო მუსიკა. 15.05 მედეა გეგეშიძე რადიოარხით "თანაგრძნობა". 16.05 დ.გულიაშვილი. სიმღერები. 16.15 ყმაწვილთათვის. "ქვეყანათმცოდნეობის დარბაზი" - საფრანგეთი. 18.00 როკი, სმოკი და... (პირდ.ეთ). 20.00 დ.კლდიაშვილი - "სამანიშვილის დედინაცვალი". შ.რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. 22.30 რადიოკლუბი "ერთს პლუს ერთი, ანუ ქალი და მამაკაცი". 23.00 ანსამბლ "ქუინ"-ის კონცერტი.

ღამის პროგრამით: 0.03 კონცერტი ვ.ა.მოცარტის ნაწარმოებებიდან. 1.15 კინო სხვადასხვა რაკურსით (გამეორ.). 2.15 პროგრამა "ირაო" (გამეორ.). 2.45-3.18 უკრავს საქტელერადიო კორპორაციის სავსტრადო ორკესტრი.

### სამშაბათი - 8 დეკემბერი

I და II პროგრამებით: 6.45 "საგზალი სულის საზრდოდ". 7.45 საქართველოს სოფლები. 9.15 ლიტერატურული გადაცემა "ენაი შემკული და კურთხეული".

I პროგრამით: 10.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის ტრანსლაცია. 14.10 პროგრამა "ეკოლოგია". 14.40 კონცერტი ს.პროკოფიევის ნაწარმოებებიდან. 15.05,1.15 ლამარა კიკილაშვილი პროგრამით "სახსოვარი". 15.50 ქართული ხალხური სიმღერები. 16.00 სცენები სპექტაკლებიდან სცენის ოსტატთა მონაწილეობით. 18.00 კონცერტი 6 საათზე (პირდ. ეთ.). 20.05 პროგრამა "რეგლამენტი". 20.35 ქალაქური ჰანგები. 21.00 ახალგაზრდობისათვის. პროგრამა "დიალოგი თემაზე". 21.30 უბერებელი მელოდიები. 22.30 ქეთო ლანდიას სახ. რადიოს დიქტორთა ლიტერატურული სალონი. 23.00 მ.ფრენისა და ლ.პავაროტის კონცერტი.

ღამის პროგრამით: 0.03 "შედევრები" - ი.ბრამსი. 2.00 ანზორ გელაშვილის საავტორო პროგრამა "სარკე" - ტ.ტაბიძე (გამეორ.). 2.40-3.18 მღერის ზ.იგლესიასი.

### ოთხშაბათი - 9 დეკემბერი

I და II პროგრამებით: 6.45 ვიდრე შინიდან გახვიდოდეთ... 7.45 ბაზრის მონიტორი.

I პროგრამით: 10.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის ტრანსლაცია. 14.10,22.30 ილია კევლიშვილი წარმოგიდგენთ პროგრამას "ინფორმაცია განსჯისათვის". 14.40 მღერის მ.ამირანაშვილი. 15.05 საყმაწვილო საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა "აბლაბუდა". 16.00 ეროსი მანჯგალაძის სახ. რადიოთეატრი. მ.ანთაძე - "უ.წ.ღ.: უცნობი წარმოშობის ღრიალი". 16.35 უკრავს კამერული ორკესტრი რ.ბარშაის დირიჟორობით. 18.00 პროგრამა "ჯაზის საათი" (პირდ.ეთ.). 20.05,2.35 პროგრამა "გზა". 21.00 სცენები შ.რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლებიდან ე.მანჯგალაძის მონაწილეობით. 21.30 ლ.ბერნსტაინი. სერენადა ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. 23.00 გ.ყანჩელი. მეოთხე სიმფონია.

ღამის პროგრამით: 0.03 "კლასიკური ოპერა" - მ.მუსორგსკი. სცენები ოპერიდან "ბორის გოდუნოვი". 1.05 "რადიოდადგმა ნაშუაღამევს". ა.გრინი - "ალისფერი იალქნები". 2.01 სპორტული პროგრამა "ესტაფეტა" (გამეორ.). 2.11 მღერის თ.გვერდწითელი.

### ხუთშაბათი - 10 დეკემბერი

I და II პროგრამებით: 6.45 ბაზრის მონიტორი. 7.45 ვიდრე შინიდან გახვიდოდეთ...

I პროგრამით: 10.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის ტრანსლაცია. პატარებისათვის: 14.10 პროგრამა "ბარდნალა"; 14.40 რადიოსადგური "ციცინათელა". ზღაპარი-დადგმა. 15.05 შ.შამანაძე - "ღია შუშაბანდი". შ.რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. 16.48,20.35 ქართული ხალხური სიმღერები. 18.00,2.00 როკი,სმოკი და... (გამეორ.). 20.05 პროგრამა "რეგლამენტი". 21.00 ახალგაზრდობისათვის. შემეცნებით-გასართობი პროგრამა "კამარა". 21.45 ი.სტრავინსკი. კონცერტი კამერული ორკესტრისათვის. 22.30 ლიტერატურული გადაცემა "ენაი შემკული და კურთხეული" (გამეორ.). 23.15 ე.ვირსალაძის კონცერტი.

ღამის პროგრამით: 0.03 "შედევრები" - ჯ.გერშვინი. 1.15 საზოგადოებრივ-ლიტერატურული პროგრამა "დროება" (გამეორ.). 3.00-3.18 კ.სანტანას კონცერტი.

### პარასკევი - 11 დეკემბერი

I და II პროგრამებით: 6.45 პროგრამა "ირაო". 7.45 რამდენიმე წუთი საქართველოს რადიოს პროგრამების დირექციისათვის.

I პროგრამით: 10.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის ტრანსლაცია. 14.10,22.30 ილია კევლიშვილი წარმოგიდგენთ პროგრამას "ინფორმაცია განსჯისათვის". 14.40 ო.გორდელი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის. 15.05 ეროსი მანჯგალაძის სახ. რადიოთეატრი. ჯ.სელინჯერი - "თამაში ჭვავის ყანაში". 16.08 კონცერტი ფ. მენდელსონის ნაწარმოებებიდან. 18.00 კონცერტი 6 საათზე (პირდ.ეთ.). 20.05 კონცერტი ბ.კვერნაძის ნაწარმოებებიდან. 21.00 საზოგადოებრივ-ლიტერატურული პროგრამა "დროება". 21.45 ქართული ხალხური სიმღერები. 23.00 მარიკა ჩიჯავაძე პროგრამით "მხოლოდ ოპერა".

ღამის პროგრამით: 0.03 პროგრამა "ჯაზის საათი" (გამეორ.). 1.15 პროგრამა "აბი გლუკოზა" (გამეორ.). 1.45-3.18 კლასიკური მუსიკის კონცერტი.

### შაბათი - 12 დეკემბერი

I და II პროგრამებით: 6.13,7.35 დილის კონცერტი. 6.30 პროგრამა "მწყემსი კეთილი". 6.45,7.05 პროგრამა "ლილე". 8.00,21.35 პრეს-რევიუ. 8.10 სიმღერები აკაკის ლექსებზე. 8.25 იცოცხლეთ, ბატონო! 8.30 ქართული ხალხური მუსიკა. 8.45 პროგრამა "დილის სტუმარი". 9.10 ახალგაზრდობისათვის. პროგრამა "პირისპირ".

I პროგრამით: 10.00 რადიოკლუბი "კონტაქტი" (პირდ.ეთ.). 11.15 ჯ.ვერდი. ფრაგმენტები ოპერიდან "აიდა". 12.00 "პოეტი მიკროფონთან" - ხ.ბერულავა. 12.15 პროგრამა "პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!" 13.00 "ახალგაზრდების შემოქმედება" - უკრავს ნ.ასტახიშვილი. 14.10 პროგრამა "თეატრი". 15.10 ეროსი მანჯგალაძის სახ. რადიოთეატრი. ნ.პატიაშვილი - "ძახილი". 16.10 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა "დღეს" (პირდ.ეთ.). 17.00 საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა "კვირიდან კვირამდე" (რუსულად). 18.00,3.00 მედეა გეგეშიძე რადიოარხით "თანაგრძნობა". 19.00 მ.ჯაბუასა და გ.დოლიძის კონცერტი. 20.05 ანზორ გელაშვილის საავტორო პროგრამა "სარკე" - ვ.მაიაკოვსკი. 21.00 კ.დებიუსი. საფორტეპიანო ნაწარმოებები. 21.45 ქართული ხალხური სიმღერები. 22.30 სადირიჟორო პულტთანაა ბ.ვალტერი.

ღამის პროგრამით: 0.03 უბერებელი მელოდიები (გამეორ.). 0.33 "ლიტერატურული შედევრები" - გ.ქიქოძე. 1.15 "უნიკალური". 1.30 ძველებური მუსიკის კონცერტი. 2.15 მღერის თ.ოერნერი.

### კვირა - 13 დეკემბერი

I და II პროგრამებით: 6.13,7.35 დილის კონცერტი. 6.30 პროგრამა "მწყემსი კეთილი". 6.45,7.05 პროგრამა "ლილე". 7.55 პრეს-რევიუ. 8.00 საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა "დედაქალაქი". 9.10 ქართული ეკრანის მელოდიები. 9.30 რადიოაუქციონი.

I პროგრამით: 10.00 კინო სხვადასხვა რაკურსით. 11.15 დ.ბადრიძის კონცერტი. 11.30 საზოგადოებრივ-ლიტერატურული პროგრამა "დროება" (გამეორ.). 12.15 ი.ჰაიდნი. "ლონდონის სიმფონია". 12.40 პროგრამა "ყოველთა ქართველთა". 13.00 "უნიკალური". 13.15 მარიკა ჩიჯავაძე პროგრამით "მხოლოდ ოპერა". 14.10 უბერებელი მელოდიები. 14.40 "პოეზია უპირველეს ყოვლისა" - ზ.ბოლქვაძის ლექსები. 14.45 ქართული ხალხური სიმღერები. 15.00 პროგრამა "მხედრული". 15.30 კონცერტი საქართველოს ეროვნული არმიის მეომრებისათვის. 16.00 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა "ფაქტი პლუს" (პირდ.ეთ.). 17.15 პროგრამა "ირაო". 17.45 ქართული ხალხური მუსიკა. 18.00 საღამოს მელოდიები. 19.05 ტ.ალბინონი. ადაჯიო. 20.05 პროგრამა ქალებისათვის. 20.35 ქალაქური ჰანგები. 20.50 უკრავს კამერული ორკესტრი "მოსკოვის ვირტუოზები". 22.30 ლამარა კიკილაშვილი პროგრამით "სახსოვარი" (გამეორ.). 23.15 ა.მაჭავარიანი. სავიოლინო კონცერტი.

ღამის პროგრამით: 0.03 "ფენომენები და ვირტუოზები" - მღერიან მ.კიარა და კ.ბერგონცი. 1.15 კონცერტი ლ.ვ.ბეთჰოვენის ნაწარმოებებიდან. 2.33-3.18 ლიტერატურული გადაცემა "ენაი შემკული და კურთხეული" (გამეორ.).

საქართველოს რესპუბლიკა
№317-318, კვირა-ორშაბათი, 6-7 დეკემბერი, 1998 წელი.

# სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო გიწვევთ აუქციონებსა და კონკურსებზე

| რაიონი | ობიექტი | საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარებში) |
|---|---|---|
| თბილისში | გვირაბების მშენებლობის და ექსპლოატაციის სამმართველო - გარდაბნის გზატკ. -№48 | 38429,52 |
| | შ.პ.ს. „სინათლეს“ მიერ დაკავებული მუნიციპ. არასაცხ. ფართი ალ. ყაზბეგის №25ა-ში 101,14 კვ.მ. | 9000 |
| | სურსათის მაღაზია №13, გლდანის მას. მე-3 მ-რ, კორპ. 19-ში 312 კვ.მ. | 13211 |
| | ს.ს. „შენობა-ნაგებობების მშენებელ“-ის აქციათა 75,13% - ქინძმარაულის 29 | 128000 |
| | ს.ს. „დულაბ“-ის აქციათა 75,06% - ქინძმარაულის 29 | 77400 |
| | ს.ს. „ენერგორემმშენ“-ის აქციათა 75,01% -ვეკუას 1 | 413000 |
| | სახაზინო საწარმო „ინსტიტუტ„ენერგოქსელპროექტის“ ლაბორატორიულ-საძიებო კომპლექსი - ჯიქიას №2ა | 23000 |
| | ერისთავის №1-ში მდებარე ჩარხმშენებელი ქ-ნის სასადილოზე რიცხული ძირითადი საშუალებების პასიური ნაწ. (467,64 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი) და აქტიური ნაწილი | 19000 |
| | დიდი დიღმის მე-3 მ-რ-ნის მე-10 კორპუსში განთავსებული 97 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი | 3000 |
| | აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხთან მდებარე ტრესტ „საქავიამშენის“ მექ. საამქროზე რიცხული ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილი (1110,7 კვ.მ. არასაცხ. ფართი) და აქტიური ნაწილი | 37000 |
| | ჭავჭავაძის №17ა-ში მდებარე სახაზინო საწარმო „საქსოფლპროექტის“ 525 კვ.მ. ავტოფარეხი, 449 კვ.მ. სარდაფი და 600 კვ.მ. ნახევარსარდაფი | 78239,91 |
| გორში | ს.ს. „ნავთობბაზის“ (გორის კშს) აქციათა 63,43% - კეცხოველის №168 | 108919 |
| თეთრიწყაროში | თეთრიწყაროს სამშენებლო-სარემონტო უბანი | 5630,3 |
| | თეთრიწყაროს სამშენებლო-სარემონტო უბნის ქვის დამამუშავებელი საამქრო | 5457 |
| | სოფ. დაღეთის ყოფილი მცირე ჰესი | 338 |
| | სოფ. ბორბალოს სასოფლო საბჭოს ყოფ. შენობა | 485,8 |
| | თეთრიწყაროს სახ. მეურნეობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის შენობა | 5712,3 |
| | თეთრიწყაროს სახ. მეურნეობის ცხვრის ფარეხი | 1016,2 |
| ლაგოდეხში | სოფ. ნინიგორის ავტოტექმომსახურების სადგური | 17375 |
| | სოფ. ნინიგორის ავტოსამრეცხაო | 4832 |
| | ს.ს. „ღვინის ქარხანა „ბაისუბან“-ის ბალანსზე რიცხ. გამწმ. კომპ-ის ცალკე მდგომი გამოუყ. შენობა | 520 |
| | მარნეულის ყოფ. მეურნ. საწყობის მთ. კორპ. №1 | 16379 |
| | მარნეულის ყოფ. მეურნ. საწყობის მთ. კორპ. №2 | 16379 |
| | მარნეულის ყოფ. მეურნ. საწყობის მთ. კორპ. №3 | 16379 |
| | მარნეულის ყოფ. მეურნ. მარცვლის შეს. ფარდ.№1 | 3626 |
| | მარნეულის ყოფ. მეურნ. მარცვლის შეს. ფარდ.№2 | 5801 |
| | მარნეულის ყოფ. მეურნ. მარცვლის შეს. ფარდ.№3 | 7220 |
| | მარნეულის ყოფ. მეურნ. მარცვლის შეს. ფარდ.№4 | 4593 |
| | მარნეულის ყოფ. მეურნ. კარტოფილის შეს. სათვ. | 39690 |
| | ალგეთის მევენახეობის ყოფილი სახელმწიფო მეურნეობის ყურძნის შესანახი სათავსი | 38868 |
| | ალგეთის მევენახ. ყოფ. სახ. მეურნ. მარცვლის შეს. ფარდ.№1 | 1580 |
| | ალგეთის მევენახ. ყოფ. სახ. მეურნ. მარცვლის შეს. ფარდ.№2 | 1580 |
| | ალგეთის მევენახ. ყოფ. სახ. მეურნ. მარცვლის შეს. ფარდ.№3 | 1004 |
| | ალგეთის მევენახ. ყოფ. სახ. მეურნ. ლერწის შესანახი სათავსი | 1076 |

| რაიონი | ობიექტი | საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარებში) |
|---|---|---|
| მარნეულში | მულანლოს ყოფ. მეურნეობის შხამქიმიკატების საწ. | 9752 |
| | მულანლოს ყოფ. მეურნ. სასადილოს შენობა | 2636 |
| | მულანლოს ყოფ. მეურნ. საბრიგადო სახლი აგრეგატთან | 1250 |
| | მულანლოს ყოფ. მეურნ. საცხ. სახლი აგრეგატთან | 686 |
| | მულანლოს ყოფ. მეურნეობის სპეციალისტთა საცხ. სახლი | 1136 |
| | არაფლოს ყოფ. მეურნ. მარცვლის შესანახი საწ. | 3433 |
| | კირიჩ მულანლოს ყოფ. მეურნ. პავილიონი „ვოლგა“ | 3641 |
| | წერეთლის ყოფ. სასათბურე კომბ.-ის საშრობი | 17354 |
| | წერეთლის ყოფ. სასათბურე კომბ.-ის 59 სათბური | 247033 |
| | წერეთლის სახ. მეურნეობის საქვაბე | 1674 |
| | გამარჯვების ყოფ. სახ. მეურნეობის სალორე | 2782 |
| | ქეშალოს ყოფ. სახ. მეურნ. სასადილოს შენობა | 5723 |
| | ალმამედლოს ყოფ. სახ. მეურნ. სასადილოს შენობა | 2527 |
| | ალმამედლოს ყოფ. სახ. მეურნ. მაღაზიისშენობა | 3005 |
| | რესპუბლიკური დაქვემდ. მარნეულის სოფენერგო | 16381 |
| | თანაზკერტის ყოფ. სახ. მეურნ. თამბაქოს სახარისხებელი | 653 |
| | მარნეულის ყოფ. სახ. მეურნ. ბოსტნეულის შესანახი საწყობი | 1093 |
| | თამარისის ყოფ. სახ. მეურ. ღორების ფერმის შენ. | 3448 |
| | ალმამედლოს ყოფ. სახ. მეურნ. ფამბაქოს სახარისხებელი შენობა | 368 |
| | დამია გეურარხის ყოფ. მეურნეობის კარტოფილის შესანახი საწყობი | 10946 |
| | დამია გეურარხის ყოფ. მეურნეობის მინერალური სასუქების საწყობი | 870 |
| | ქეშალოს ყოფ. სახ. მეურნეობ. პავილიონი „ვოლგა“ | 1551 |
| მცხეთაში | გლდანის პავილიონი | 55 |
| | დიღმის ქვის საამქრო | 1044 |
| | გლდანის ქვის საამქრო | 1918 |
| | გლდანის ბლოკის საამქრო | 650 |
| | წილკნის საქმინის ეზო | 1415 |
| | მცხეთის სანერგე მეურნ. მეღორეობის ფერმა | 9633 |
| | წეროვნის მეურნ. №7 კორპუსის არასაცხ. ფართი | 3844 |
| | ქანდის სანერგე მეურნ. ბლოკის საამქრო | 4030 |
| | ქანდის სანერგე მეურნ. სასადილოს შენობა | 7036 |
| | ქანდის სანერგე მეურნ. მეცხოველეობის ფერმა | 2217 |
| | მცხეთის ტურბაზის ამორტიზ. ორსართ. შენობა | 5245 |
| | მუხრანის ქვის საამქრო | 4511 |
| | საგურამოს სახელმწიფო მეურნეობა | 115000 |
| | ს.ს. „საქენერგოტექრემონტ“-ის აქციათა 75,22% | 28900 |
| | ს.ს. „ენერგომექანიზაცი“-ის აქციათა 75,16 | 36700 |
| | ს.ს. „საქენერგოტექრემონტ“-ის ცენტრალური სარემონტო ქარხან“-ის აქციათა 75,02% | 385385 |

შენიშვნა: ნუსხაში მოყვანილი ობიექტების ღირებულების დაფარვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით.

კონკურსისა და აუქციონის წესით პრივატიზებული იქნება, აგრეთვე, გარდაბნის, მცხეთის და თეთრიწყაროს რაიონებში განლაგებული მცირეფასიანი სახელმწიფო ქონება.

გარდა ამისა, აუქციონები ნულოვანი საწყისი ფასით, რომლებზეც გამოტანილი იქნება ამორტიზებული და ფიზიკურად გაცვეთილი ობიექტები მოეწყობა ზესტაფონში, გარდაბანში, თეთრიწყაროში და საჩხერეში.

საპრივატიზებო ობიექტებზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრეს“ 20 ნოემბრის № 48-ში.

## საქართველოს ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ მასტიტის, მასტოპათიის და სხვა პათოლოგიური დაავადებებისაგან, მიიღეთ, წამალი „სალხინო“.

შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებების დროს, როცა შეიმჩნევა: შენელებული და გახშირებული შარდვა; შარდვის დროს წვა; შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება; სუნი; გამონადენი; ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის დაუკმაყოფილებლობა; სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, მეტწილად ვითარდება სექსუალური მოშლილობა. ზოგჯერ დაავადება მიდის სრულ იმპოტენციამდე. ამ და სხვა პრობლემებისაგან გაგანთავისუფლებთ წამალი „სალხინო“, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული ანტიბაქტერიული, სპაზმოლითური და ანალგეზიური მოქმედება.

„სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. გამოიყენება კოლიტის, გასტრიტის, ნაღვლის ბუშტის, ბრონქიტების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ღვიძლისა და თირკმელების ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების დროს. ამაგრებს დაჩირქებისგან მორყეულ კბილებს; აქრობს უსიამოვნო სუნს.

წამალი აპრობირებულია საქართველოს, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

წამალი „სალხინო“ მართალია კურნავს ნებისმიერ მასტიტს ოპერაციული ჩარევის გარეშე. ამასთან: თუ ნამშობიარები ქალი მას მიიღებს პროფილაქტიკის მიზნით, აიცილებს მასტიტს და გაიუმჯობესებს ბავშვის კვებას საკუთარი რძით, რაც მომავალი თაობის ჯანმრთელობისათვის აუცილებელია.

დაგვიჯერეთ, ენდეთ ჩვენს მრავალწლიან გამოცდილებას!

ყოველივე ზემოთ ნათქვამზე პასუხს აგებს შპს ფირმა „სალხინო“.

იკითხეთ აფთიაქებში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ალმაშენებლის №115 (პოლიციის ეზოში),
შპს ფირმა „სალხინო“
(ჩაგიტარდებათ ექიმთა
უფასო კონსულტაციები).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელმა შპს „პრესამ“ ცალკე წიგნად გამოსცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

„საქართველოს სისხლის
სამართლის
საპროცესო კოდექსი“
„საქართველოს სისხლის
სამართლის
საპროცესო კოდექსში
ცვლილებებისა
და დამატებების შეტანის
შესახებ“

დაინტერესებულ გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს წიგნის დიდი რაოდენობით ან უშუალოდ გამომცემლისგან შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

მისამართი: მ. კოსტავას 14,
მე-4 სართული,
ტელ: 93-26-99.

# სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

ჩვენებურები

## იური ოყროშიძე – საუკეთესო მეკარე

რუსული სპორტული პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ქვეყნის პირველობის შედეგებს ფეხბურთში პირველი დივიზიონის კლუბებს შორის. განსაკუთრებით გამოყოფენ ორ ოსტატს: დივიზიონის საუკეთესო სნაიპერს (27 გოლი!), ტულის „არსენალში“ მოთამაშე ბრაზილიელ ცენტრფორვარდ ანდრადინას და ცნობილ მეკარეს იური ოყროშიძეს (სარატოვის „სოკოლი“), რომელმაც, საყოველთაო აღიარებით, სეზონი ბრწყინვალედ წარმართა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო დივიზიონის ბევრმა ფეხბურთელმა. „სოკოლის“ ათმა მოთამაშემ დივიზიონის № 1 მოთამაშედ დაასახელა იური ოყროშიძე, თვით მეკარემ კი, ეტყობა, იმორცხვა და საუკეთესოდ მიიჩნია... ანდრადინა. მის გარდა, „სოკოლში“ თამაშობს კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი – გ. ჭელაძე, რომელმაც, ცხადია, საუკეთესოდ მეკარე ჩათვალა.

აღრინდელი სეზონების შემდეგ ქართველთა შორის ერთხელ (1996 წელს) აღინიშნა სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი ვარლამ კილასონია (რომელიც ახლა რუსთავის „გორდაში“ გამოდის). კილასონია იმ წელს პირველი დივიზიონის საუკეთესო სნაიპერი გახდა.

გივი გამრეკელი.

ჭადრაკი

## ხსოვნის ფესტივალი

რიგაში ჩატარებული ფესტივალი „მაესტრო-98“ მიეძღვნა ორი გამოჩენილი მოჭადრაკის ხსოვნას – „დიდ საჭადრაკო ჯადოქრად“ წოდებულ მიხეილ ტალს, მსოფლიოს მერვე ჩემპიონს, რომელიც პირდაპირ არნახული პოპულარობით სარგებლობდა, მათ შორის საქართველოშიც და მის შესანიშნავ მწვრთნელს, გამოჩენილ თეორეტიკოსსა და პუბლიცისტ ალექსანდრე კობლენცს.

ფესტივალს სპონსორობა გაუწიეს ლატვიის სხვადასხვა ორგანიზაციებმა, ხოლო რიგის უნივერსიტეტმა, სადაც გენიალური ტალი სწავლობდა, ტურნირის მონაწილეებს თავისი სააქტო დარბაზი დაუთმო.

ფესტივალი, რომელშიც 28 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა, ცნობილი ჩელიაბინსკელი მოჭადრაკის, ევგენი სვეშნიკოვის გამარჯვებით დამთავრდა. შემდეგში ასეთი ღონისძიება, ორგანიზატორების განცხადებით, რეგულარულად ჩატარდება.

## 27 ვაჟი და 1 ქალიშვილი

პრინიცაში (პოლონეთი) გამართულ მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. 28 მოჭადრაკეს შორის მხოლოდ ათს არ ჰქონდა დიდოსტატის წოდება. 4 გამარჯვებული ლას-ვეგასის, ანუ მსოფლიო პირველობის ფინალური ნაწილის საგზურს იღებდა. შეჯიბრება მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად.

6-6 ქულით პირველი-მეოთხე ადგილები გაინაწილეს და საგზურები მოიპოვეს ზოლტან ალმაშიმ (უნგრეთი), ვლასტიმილ ბაბულამ (ჩეხეთი), ბართოლომეი მაჩეიამ (პოლონეთი) და ლიფუიდიტერ ნისიპიამუმ (რუმინეთი).

დიდი ინტერესი გამოიწვია ყოფილი ვუნდერკინდის, ამჟამად უკვე 19 წლის ანტუანეტა სტეფანოვას (ბულგარეთი) გამოსვლამ. ბულგარელი მოჭადრაკე ისე ეთამაშებოდა უძლიერეს დიდოსტატებს, როგორც თანასწორი თანასწორს და საბოლოო ანგარიშით გამარჯვებულებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა.

იუმორის

### სპორტული დოზა

**კომენტატორები (არ) ხუმრობენ**

– სამწუხაროდ, ეს ფეხბურთელი ჩემკენ სახით დგას, ამიტომ არ შემიძლია, მისი გვარის დასახელება.

– თქვენ ეს ჭადრაკი არ გეგონოთ, ფეხბურთს ცოცხალი ადამიანები თამაშობენ.

– ბურთი ახტა და თავდამსხმელი მოატყუა.

**საინტერესო სტატისტიკა**

ამ სეზონში ფეხბურთის მინდორზე 29 პროცენტით მეტი ძაღლი გამოვარდა, ვიდრე შარშან, ხოლო შარშანწინდელთან შედარებით 50 პროცენტით მეტი.

ექსპერტების აზრით, მოსალოდნელია ძაღლების აქტივობის შემდეგი აღმავლობა 1999 წლის სეზონისათვის.

ფეხბურთის ამბები



## ესპანეთი ზეიმობს

როგორც უკვე ვწერდით, მადრიდის „რეალმა“ დიდი გამარჯვება მოიპოვა – დაამარცხა ბრაზილიური გუნდი „ვასკუ და გამა“ და საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა.

ძვირფასი ნადავლი ტოკიოდან უკვე მადრიდში ჩაიტანეს. მიუხედავად სიცივისა (დაახლოებით 0 გრადუსი), უამრავი გულშემატკივარი გამოეფინა ესპანეთის დედაქალაქის ქუჩებში გმირების შესახვედრად. მასობრივმა მოძრაობამ მეტროს დროებითი გაჩერებაც კი გამოიწვია.

ტრადიციისამებრ, ზეიმი სიბელესის მოედანზე გაიმართა. შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ მატჩის გმირს – რაულის, როცა ის თავზე შედგმული თასით გამოჩნდა, შემდეგ თასი ხელიდან ხელში გადადიოდა. ფეხბურთელები სხვებთან ერთად ცეკვავდნენ და „რეალის“ ჰიმნს მღეროდნენ.

**სურათზე: მადრიდელები ზეიმობენ გამარჯვებას – საკონტინენტთაშორისო თასის მოპოვებას.**

## რა ხდება საბერძნეთის ნაკრებში?

### იორდანესკუ რჩება

ყველა ცნობა, რაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქეს – საბერძნეთის ნაკრებს ეხება, გასაგებია, გარკვეულ ინტერესს იწვევს.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა ცნობა, რითაც ბოლო მოუღო მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, თითქოს რუმინელი სპეციალისტი **ანგელ იორდანესკუ** თავს ანებებს ნაკრებს და სამუშაოდ ათენის **აეკ**-ში გადადის. ათენში გავრცელებულ განცხადებაში ფედერაცია ხაზს უსვამს, რომ „ანგელ იორდანესკუ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად რჩება კონტრაქტის ბოლომდე, 2000 წლამდე“.

რუმინელი სპეციალისტი, რომელიც თავისი ქვეყნის ნაკრებს მსოფლიოს ორ უკანასკნელ ჩემპიონატში ხელმძღვანელობდა, ბერძნების გუნდს სათავეში მხოლოდ მიმდინარე წლის ივნისში ჩაუდგა. ამის მიუხედავად, ბერძნულ პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ ათენის კლუბი აეკ-ი თანახმაა გააორმაგოს ის ხელფასი, რომელსაც იორდანესკუ ნაკრებში იღებს – 320 ათასი დოლარი წელიწადში.

თვით იორდანესკუ თანახმა იყო, ერთდროულად ნაკრებშიც ემუშავა და **აეკ**-შიც, მაგრამ ეს მას ფედერაციამ კატეგორიულად აუკრძალა, იგი ნაკრებში დარჩა. **აეკ**-ს კი სათავეში ჩაუდგა ცნობილი უკრაინელი სპეციალისტი **ოლეგ ბლოხინი.**



ყოველი მხრიდან

### „გასვლის უფლება არა აქვს!“

ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, თუ მათი ინგლისელი „კოლეგები“ როგორ იქცევიან დიდი საერთაშორისო მატჩების დროს, როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ. ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ახლა, როცა ინგლისი ცდილობს, როგორმე მოიპოვოს 2000 წლის მსოფლიო პირველობის დასკვნითი ტურნირის მასპინძლობის უფლება, ბრიტანეთის მთავრობა და ინგლისური ფეხბურთის ხელმძღვანელობა ცდილობენ აქედანვე აღკვეთონ გულშემატკივართა ხულიგნობის ფაქტები. ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს იმ 29-პუნქტიან ღონისძიებათა ნაწილი, რაც ქვეყნის მთავრობამ დასახა საფეხბურთო ხულიგნობის აღსაკვეთად.

მნიშვნელოვან საერთაშორისო მატჩებამდე 5 დღით ადრე, განსაკუთრებულად „სახელგანთქმულ“ ფეხბურთის გულშემატკივარს, შეიძლება, ჩამოართვან პასპორტი, რათა არ მისცენ ბრიტანეთის კუნძულების დატოვების საშუალება. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, პრემიერ-ლიგის კლუბების მატჩების დღეს მთელ რიგ ქალაქებში აიკრძალება ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობა.

ასეთ მკაცრ ზომებს გამოიყენებენ მხოლოდ მაშინ, როცა პოლიცია და სპეცსამსახურები ამას საჭიროდ მიიჩნევენ.

წესრიგის დამრღვევებისადმი შეურიგებლობის გამოცხადებით ბრიტანეთის მთავრობასა და ქვეყნის საფეხბურთო ხელმძღვანელობას, როგორც ექსპერტები ასკვნიან, სურთ იმ ფაქტორების თავიდან აცილება, რომლებმაც დიდი უსიამოვნებანი გამოიწვია გასული მსოფლიო ჩემპიონატის დროს. ამასთან, ისინი ცდილობენ, გაზარდონ ინგლისის შანსები 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ხელში ჩასაგდებად.

მოელიან, რომ საფეხბურთო ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა პაკეტს მოიწონებს დიდი ბრიტანეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი თავის სესიაზე.

### „მერსედესის“ მილიონები – ჩოგბურთელებს

ჩოგბურთის მოყვარულები მიჩვეული არიან დიდი საჩოგბურთო მატჩების დროს მოედანთან „მერსედეს-ბენცის“ უკვე თვალსმიჩვეული ემბლემის ხილვას. უკვე ოთხი წელია პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ტურნირები გერმანია-ამერიკის კორპორაცია „დაიმლერ-კრაისლერის“ სპონსორობით მიმდინარეობს და ჯერჯერობით ასე გაგრძელდება 2002 წლამდე. როგორც კონცერნის წარმომადგენელმა შტუტგარტში განაცხადა, ხელმოწერილია ახალი ხელშეკრულება პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციასთან მისი შეჯიბრებების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.

„ჩვენ წინასწარვე გავაგრძელეთ სპონსორობა – წინა ხელშეკრულება მომავალი წლის ბოლოს მთავრდება, – განაცხადა კონცერნის პრეს-ატაშემ, – მე არ შემიძლია იმ თანხის დასახელება, რომელსაც პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ბიუჯეტში ვაგზავნით ტურნირების მხარდაჭერის მუხლით, მაგრამ ვბედავ, დაგარწმუნოთ – ლაპარაკია გვარიან ფულზე“.

ახალი ხელშეკრულება მომავალი საუკუნისათვის ასოციაციის სტრატეგიის ქვაკუთხედია – აღნიშნა კომპანიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა. ის ასოციაციას საშუალებას მისცემს 2000 წლიდან განახორციელოს არა მარტო მამაკაცთა შეჯიბრებების გამართვის ახალი სქემა, არამედ გაადიდოს კიდეც ჰონორარების ის თანხა, რომელიც, როგორც წესი, დიდოსტატ ჩოგბურთელ-მილიონერებს ხვდებათ ხოლმე.

სხვათა შორის, კორტებზე ასეთი გამომუშავებით გასული სეზონის მიხედვით შეიძლება დაიკვეხოს 17 ჩოგბურთელმა. აი, რა თანხა მოიხვეჭეს მათ ჩოგნის მარჯვე მოქნევით: სამპრასი – 3.931.497 დოლარი, რიოსი – 3.420.054, რაფტერი – 2.967.017, კორეჩა – 2.702.569, მოია – 2.572.553, კაფელნიკოვი – 2.543.077, ბორკმანი – 1.916.237, რუსედსკი – 1.869.437, აგასი – 1.836.233, ივანიშევიჩი – 1.541.177, ჰერმენი – 1.448.770, კუჩერა – 1.402.557, კორდა – 1.387.393, ფილიპუსისი – 1.272.620, კრაიჩეკი – 1.219.624, ჩანგი – 1.164.314, კოსტა – 1.013.446.

მართლაც კარგი ნადავლია, რაშიც „მერსედესის“ დიდი წვლილიც არის.

უღვებიან
გია პლატონიშვილი,
ვალიკო სიმონიშვილი.

## თსუ

# იმ დღეს დისერტაციის დაცვას სხვა ელფერი ჰქონდა...

**ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი ალექსანდრე გვახარია პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიისაკენ მიიჩქაროდა. იქ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო სხდომა იწყებოდა.**

დისერტაცია ორიენტალისტიკისაგან სრულიად განსხვავებულ თემაზე იყო და თუ რამ მიიყვანა პროფესორი ამ სხდომაზე, მოგვიანებით საჯაროდ განაცხადა: „დღევანდელი დისერტაციის დაცვა ჩვეულებრივი მოვლენაა უნივერსიტეტში, მაგრამ არ შემიძლია მის შესახებ ხმამაღლა არ ვთქვა, არ გამოვხატო ჩემი აღტაცება იმის გამო, რომ დღეს საქართველოში ებრაელი ქალი იცავს დესერტაციას ებრაული წარმოშობის დიდი რუსი პოეტის იოსებ ბროდსკის პოეზიაზე, სწორედ მაშინ, როცა ყველა ჩვენგანი შეძრწუნებულია თბილისში ებრაელთა სასაფლაოს წაბილწვის ამაზრზენი ფაქტით. მახარებს, ამ ველურობას ასეთი მშვენიერი დისერტაციით რომ დაუპირისპირდა თბილისის უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, სლავური ენების კათედრა".



პროფესორმა იგორ ბოგომოლოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: „დღევანდელ მოვლენას სხვა ელფერი აქვს, ამით ერთხელ კიდევ ცხადდება, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს. თუმცა, პოლიტიკურ შეფასებას არ ვაძლევ ებრაელთა სასაფლაოს დარბევის ფაქტს, არ შემიძლია, ეროვნულ უმცირესობათა სახელით არ განვაცხადო: ასეთ აღმაშფოთებელ ამბავს ვუკავშირებ იმ ანტისემიტურ ტალღას, მაკაშოველებმა რომ ააგორეს რუსეთში.

ტოლერანტი ქართველი ერისათვის ასეთი რამ წარმოუდგენელია".

დისერტანტი ეველინა კულიშოვა თბილისის უნივერსიტეტის 1992 წლის კურსდამთავრებულია. როგორც პროფესორებმა ნათელა ჭოხონელიძემ, ლინა ხიხაძემ, დიმიტრი თუხარელმა, დოცენტმა ვალენტინა ქიდკომ აღნიშნეს, წარჩინებული სტუდენტის შთაგონებას თავიდანვე იოსებ ბროდსკის პოეზიის განსაკუთრებული სიყვარული განაპირობებდა. სტუდენტობისას ის მრავალჯერ გამოსულა კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე მოხსენებებით დიდი რუსი პოეტის შემოქმედებაზე.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ოთარ ბაქრაძემ დამსწრეთ წარუდგინა ეველინა კულიშოვას მიერ ნათარგმნი რუსულ ჟურნალებსა და ალმანახებში დაბეჭდილი ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები. – მისი პოეტური სული დისერტაციის დაცვის პროცესშიც გამომჟღავნდა, როცა ასე დიდებულად წარმოაჩინა პოეტის სამყარო, – თქვა მან.

ეველინა კულიშოვას სადისერტაციო ნაშრომს „სიტყვა იოსებ ბროდსკის პოეზიაში" საბჭომ ერთხმად მიანიჭა საძიებელი ხარისხი.

**გივი შეყილაძე.**

**სურათზე: ეველინა კულიშოვა. ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

## იუმორი

# რა აქიმი დასნეულდეს...

კუკურის შაკიკი დასჩემდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ადიულტერის ნიადაგზე მომხდარი ოჯახური უსიამოვნების შედეგად, ღალატის ფაქტით აღშფოთებულმა ქალბატონმა კლარამ, პირველი რანგის იუსტიციის მრჩეველმა, ქმარს კეფის არეში სამსახურებრივი რევოლვერის სადაფის ტარი უხათქუნა, და მას შემდეგ სულ ტკიოდა თავი. გადაწყვიტა, პოლიკლინიკაში წასულიყო.

– ექიმებში სიარულს, გირჩევნია, სატაბელო იარაღი რომ გამიფუჭე, ის გამიკეთო, თორემ, სახელმწიფო ქონების განზრახ დაზიანებისათვის ორთჭალაში ამოგაყოფინებ თავს, – დაემუქრა ცოლი, რომელსაც შურისგების აქტის პროცესში რევოლვერის ლულა გაღუნვოდა, და ახლა ცხვირაპრეხილი „ბერეტას" ტყვია ყოველ 0,5 მ-ზე 3 მეტრი ვერტიკალური ცდომილებით მიდიოდა, რის გამოც მხარის კალთებზე დამნაშავეთა ბანდის ლიკვიდაციის ოპერაციის დროს კლარას შემთხვევით შემოამარცხდა წითელ წიგნში შეტანილი ორი შურთხი, ორი უცხოელი ალპინისტი, ერთი დელტაპლანერისტი და, ქედსგადაღმა, – ერთი აშუღი...

– აბა, რა ვქნა, კაცო, ეს ოხერი პარაცეტამოლი და ციტრამონი რომ არა მშველის?

– ვილა დადის დღეს ექიმთან, მთელი ევროპა ექსტრასენსებსა და ბალახით მკურნალობაზეა გადასული. ხვალ არა, და ზეგ მე თვითონ წაგიყვან ექსტრასენსთან, დაღესტნიდან არის ჩამოსული, ყველაფერს არჩენს! თან, აქვე ცხოვრობს, ავლაბარში, თეატრის გვერდით.

– ეგ რომელია, წერტილოვანი მასაჟით რომ მკურნალობს, თუ შელოცვებით?

– დაგავიწყდა, კაცო, კვირას რომ ვიყავით გასვენებაში, ცხონებულს სწორედ ის კაცი მკურნალობდა, შირალი-ბაბა. რაღა არ სჭირდა უბედურს – ციროზი, თირკმელების გადაგვარება, პნევმონია, ასთმა, ათამანგი, სუსუნატი, ენურეზი და სკოლიოზი, თან სვამდა, მაგრამ მთელ წელიწადს აცოცხლა...

* * *

ორი დღის შემდეგ ცოლ-ქმარი მეტრო „ავლაბრიდან" ხუთი წუთის სავალზე მდებარე კოხტა სამსართულიან სახლს მიადგა. კაკლის მასიურ ნაჩუქურთმევ კარზე გაკრულ სპილენძის ფირფიტაზე ეწერა: „შირალი-ბაბა აბულფაზ ტურსუნზადე, მთიელთა რესპუბლიკის სახალხო ჰაქიმი". გვერდით, ქართული აგურით ნაგებ კედელზე კი გამოკრული იყო აბრა, რომელიც იუწყებოდა: „ვმკურნალობ გულ-სისხლძარღვთა, ფსიქო-ნერვულ, ონკოლოგიურ, ფთიზიატრიულ, ინფექციურ, პარაზიტულ, ალერგიულ დაავადებებს, აგრეთვე, სიელმეს, უშ-



ვილობას, იმპოტენციას, ენაბლუობას, ჭარბთმიანობას და სიქაჩლეს არატრადიციული მეთოდებით, როგორც კონვერტირებადი, ისე ადგილობრივი ვალუტით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის მიხედვით".

– მართლა მიშველის? – ჰკითხა შეწუხებულმა კუკურიმ მეუღლეს.

– ეგ კი არა, ჩვენი თანამშრომელი იყო შირალი-ბაბასთან უშვილობის სამკურნალოდ, თან მაზლიშვილი, სდასუს ფრიადოსანი სტუდენტი, გასათხოვარი გოგო ახლდა. ერთი სეანსით ორივე დაათრსულა, ქალიშვილი – უნებურად, იმდენად ძლიერი ბიოველი ჰქონია!

ასე ლაპარაკ-ლაპარაკით შევიდა ცოლ-ქმარი სახალხო ჰაქიმის მოსაცდელში, სადაც ოცამდე ავადმყოფს მოეყარა თავი. რამდენიმე საათის ლოდინისა და ჩალმიან, ქდალწვერიან მკურნალთან 15-წუთიანი საუბრის, ჯერ – პიპნო, მერე კი ბიოსეანსის შემდეგ, რომლის დაწყებამდეც ექსტრასენსმა ტკივილის მოხსნისათვის ორგანიზმის შესამზადებლად კუკურის ფრიალა ჭიქით რაღაც მოყვითალო სითხე დაალევინა, ფრიად კმაყოფილნი გარეთ გამოვიდნენ. კუკურის აბსოლუტურად აღარ სტკიოდა თავი, თან ტანში რაღაც სასიამოვნო ამჩატებას და ლიტინს გრძნობდა.

– მახლას, სიბერემდე სიქაჩლეო, – ეუბნებოდა ცოლს, – რა სულელი ვიყავი, ექსტრასენსებისა რომ არა მჯეროდა. თვალის დახამხამებაში არ მომარჩინა კაცი? მორჩა, ამ დღის იქით ექიმთან, ქუდი რომ შემიგდო, არ შევალ...

* * *

– ქსენია, ქალო, დროზე მორჩი ფულის დახარისხებას და აქ მო, – წმინდა ქართულით გასძახა კაბინეტიდან მდივანს შირალი-ბაბა აბულფაზ ტურსუნზადემ, რომელსაც უკვე მოეხადა ჩალმა, ტახტზე მიეგდო თურქმენული ფარჩის ხალათი და ახლა სარკესთან ინით შეღებილ ქდალი წვერის პარიკს იძრობდა. – პრომედოლი აღარ უქნა წინასწარ შესამზადებელ სითხეს, ძალიან ძვირი მიჯდება, მხოლოდ – კოდეინი და ატარალგინი! რა თანხა შემოვიდა დღეს?

– 85 დოლარი, 200 დოიჩმარკა, 100 ფრანგული ფრანკი, 10 შეკელი, ნახევარი მილიონი თურქული ლირა, 1500 რუბლი, 2000 დრამი და 30 ლარი და 50 თეთრი.

– ძალიან კარგი. ეგ ვალუტა სეიფში შეინახე, 10 ლარი შენ დაიტოვე და ოცი მე მომეცი, ეს ორი დღეა, თავი მირატრატებს და ლეჩკომბინატში უნდა წავიდე ენცეფალოგრამის გადასაღებად, თან, ბარემ ექიმსაც გავესინჯები, თორემ, ამ ყეყეჩი ავადმყოფების გადამკიდე, მგონი, მეც ავად ვხდები...

**არჩილ მანჯგალაძე.**

## კროსვორდი



თარაზულად: 6. პანიკის ამყოლი ადამიანი. 7. საკონდიტრო ნაწარმი – რვიანის მოყვანილობის ფუნთუშა. 8. დეკლამაციის ხასიათის მელოდია, რომელიც უახლოვდება ჩვეულებრივ მეტყველებას. 11. სახელდახელოდ თქმული, გამკილავი შინაარსის ოთხტაეპიანი ლექსი. 12. რისამე მხარე (მარჯვენა ან მარცხენა). 13. ფინური აბანო. 16. გამანადგურებელი ქარიშხალი, რომელიც იცის წყნარი ოკეანის დას. ნაწილში, იაპონიაში, ჩინეთში. 17. პროფესიული ან წოდებრივი ინტერესების ერთობით გაერთიანებული ჯგუფი ადამიანებისა. 20. ევროპის სახელმწიფო. 21. საორკესტრო პიესის, ოპერის და მისთ. გადაღება ფორტეპიანოსათვის. 24. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი. 25. მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეში. 26. ადამიანთა მოდგმის წინაპარი იუდაისტურ და ქრისტიანულ რელიგიაში. 29. ქრესტომათიის სახელმძღვანელოს ან მისი ცალკეული ნაწილის ლექსიკონი. 30. XIX ს-ის ფრანგი მწერალი. 31. ერთგვარი თამაშობა: პასუხების გაცემა კითხვაზე ცოდნის სხვადასხვა დარგიდან.

შვეულად: 1. მთავრის უმაღლესი ტიტული ინდოეთში. 2. ძველებური ინგლისური ოქროს ფული. 3. ნაწევარი ზოგ ენაში, რომელიც წინ უძღვის არსებით სახელს და გამოხატავს მის განსაზღვრულობას ან განუსაზღვრელობას, ხშირად, აგრეთვე, სქესს, ბრუნვას, რიცხვს. 4. გოგირდისებრთა ოჯახის ბაღჩეული მცენარე. 5. ქალაქი იტალიაში. 7. თანრიგი. 9. პრეფექტის კანცელარია. 10. ქართველი თეატრალური მსახიობი ქალი. 14. მუქი ლურჯი საღებავი ნივთიერება. 15. ზნეობა. 18. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა. 19. რისამე დ[illegible] მამტკიცებელი საქმიანი ქაღალდი. 22. მუსლიმანური მთვარის კალენდრის მეცხრე თვე, რომლის განმავლობაშიც მორწმუნენი ინახავენ მარხვას მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე. 23. ერთგვარი შუქმგრძნობიარე პრეპარატი, იყენებენ ფოტოტექნიკაში. 27. თურქი კინომსახიობი ქალი. 28. გამოქვაბულის მსგავსი ხელოვნური ნაგებობა ბაღებში, პარკებში.

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა.**

**29-30 ნოემბერს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. კარიერა. 7. ალტი. 8. დანი. 10. აკიდო. 12. შაიბა. 13. ფსიზი. 15. ბლითი. 19. კორეა. 23. სიონი. 24. ფარგალი. 25. ქიშმიში. 26. ბაირონი. 27. სპაგეტი. 28. ოსაკა. 30. ამური. 33. ქიმია. 36. უბანი. 37. ვარნა. 38. დერბი. 40. არფა. 41. მესა. 42. პროლოგი.

შვეულად: 1. დანია. 2. სინდიყი. 3. კრედო. 5. კლუბი. 6. უნარი. 9. საკე. 11. აზრი. 14. კომიქსი. 16. ლერწამი. 17. თიანეთი. 18. ანანური. 20. აფიშა. 21. ოფისი. 22. ლიბია. 23. სკიპა. 29. კები. 31. გუნო. 32. ქნარი. 34. მირაკლი. 35. დაისი. 38. დაირა. 39. იმაგო.

---

იზოლდა ზუროშვილი, ნანული ბალანჩივაძე, თემურ ყიფიანი, მანანა იმესაშვილი, თამაზ ლატარია, თინა დევდარიანი, გუჯა პაპიძე, სერგო კოჩარიანი, ვილიკა ნერსესოვა, ალიკა აგანიანი, მარიკა დვალიძე, ნელი ფარჩუკაშვილი, რაისა შეროზია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა მახათაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---



მაია, ანზორ ხვადაგიანები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყველასათვის უსაყვარლესი ადამიანი

ნუნუ კობახიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

---

თამაზ ზამთარაძე, ლევან კლიმიაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ მარინა თოფურია-გურგენიძეს და დათო გურგენიძეს მამის და სიმამრის

ზურაბ თოფურიას

გარდაცვალების გამო.

---

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი არჩილ მანჯგალაძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.